

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „პოზიტიური ფსიქოლოგია -  
ემპირიული კვლევები“

**ნათია სორდია**

**შემოქმედებითი პოტენციალიდან მიღწევებამდე: პიროვნებისა და სოციუმის  
როლი შემოქმედებითობაში**

ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ხათუნა მარწყვიშვილი,  
ფსიქოლოგიის დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი, თსუ  
ალიოშა ნობაუერი,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
კარლ ფრანცის სახელობის გრაცის უნივერსიტეტი, ავსტრია

თბილისი

2020 წელი

## სარჩევი

აბსტრაქტი.....	vi
Abstract .....	ix
შესავალი .....	1
1. შემოქმედებითობა .....	3
1.1 შემოქმედებითობის თეორიული მოდელები.....	6
1.1.1.განვითარების და ევოლუციური თეორიები.....	6
1.1.2. კოგნიტური თეორიები .....	7
1.2.3. ეკონომიკური თეორიები.....	10
1.2.4. ტიპოლოგიური და სისტემური თეორიები.....	11
1.2.5.ფსიქომეტრული თეორიები .....	13
1.2 შემოქმედებითი სელფი.....	15
1.2.1. შემოქმედებითი სელფის კონცეფცია .....	16
1.2.2. შემოქმედებითი თვითფექტურობა .....	16
1.2.3. შემოქმედებითი მეტაკოგნიცია.....	17
1.2.4. შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა .....	18
1.3 შემოქმედებითობა და კულტურა.....	23
1.4. შემოქმედებითობა და პიროვნება .....	25
1.4.1. შემოქმედებითობა და ბაზისური პიროვნული ნიშნები.....	25
1.4.2. შემოქმედებითობა და სოციალურად ავერსიული პიროვნული ნიშნები.....	32
1.4.3. შემოქმედებითობა და ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული ნიშნები.....	36
1.4.4. შემოქმედებითობა და პერფექციონიზმი, როგორც პიროვნული ნიშანი.....	39
1.4.5. შემოქმედებითობა და მიზანსწრაფულობა (Grit) .....	42
1.4.6. შემოქმედებითობა და სოციალურ კონტექსტში ჩამოყალიბებული პიროვნული მახასიათებლები.....	44
2. შემოქმედებითობის საკვლევ ინსტრუმენტები.....	47
2.1. შემოქმედებითი პოტენციალი .....	47
2.2. შემოქმედებითი აქტივობები და მიღწევები .....	51
3. კვლევის საკითხის განსაზღვრა.....	55

3.1. მოსამზადებელი ეტაპი - კვლევის ინსტრუმენტების მომზადება.....	61
3.1.1. შემოქმედებითი სელფის საკვლევი ინსტრუმენტის ადაპტაცია .....	61
3.1.2. მიზანსწრაფულობის საკვლევი ინსტრუმენტის ადაპტაცია .....	66
3.2. ნაწილი პირველი.....	73
3.2.1. კვლევის მიზანი.....	73
3.2.2. კვლევის მეთოდი და დიზაინი.....	73
3.2.2. შედეგები და შედეგების განხილვა.....	75
3.3. მეორე ნაწილი.....	87
3.3.1. კვლევის მიზანი.....	87
3.3.2. კვლევის მეთოდი და დიზაინი.....	87
3.3.2. შედეგები.....	88
3.3.3. შედეგების განხილვა .....	91
3.4. ნაწილი მესამე.....	94
3.4.1. კვლევის მიზანი.....	94
3.4.2. კვლევის მეთოდი და დიზაინი.....	95
3.4.3. შედეგები.....	96
3.4.4. შედეგების განხილვა .....	101
3.5. ნაწილი მეოთხე .....	103
3.5.1. კვლევის მიზანი.....	103
3.5.2. კვლევის მეთოდი და დიზაინი.....	103
3.5.3. შედეგები.....	107
3.5.4. შედეგების განხილვა .....	116
4. შემაჯამებელი განხილვა და დასკვნები .....	120
გამოყენებული ლიტერატურა:.....	129
დანართი .....	156
დანართი 1. ჩაღრმავებული ინტერვიუს გზამკვლევი.....	156
დანართი 2 - შემოქმედებითი პოტენციალის შესაფასებელი ტესტი .....	157
დანართი 3 - შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების კითხვარი.....	158
დანართი 4 - შემოქმედებითი სელფის საკვლევი კითხვარი .....	169
დანართი 5 - დიდი ხუთეული საკვლევი კითხვარი .....	170
დანართი 6 - ბნელი ტრიადის საკვლევი კითხვარი .....	171

დანართი 7. ემოციური ინტელექტის საკვლევი კითხვარი.....	173
დანართი 8. ემოციური კრეატიულობის საკვლევი კითხვარი .....	183
დანართი 9. მიზანსწრაფულობის საკვლევი კითხვარი.....	185
დანართი 10. პერფექციონიზმის საკვლევი კითხვარი.....	186
დანართი 11. ნეგატიური შეფასების შიშის საკვლევი კითხვარი .....	189
დანართი 12. უარყოფისადმი მგრძობელობის შესაფასებელი კითხვარი .....	190
სურათი N1. შემოქმედებითი სელფის მოდელის ფაქტორული დატვირთვა .....	64
სურათი N2. მიზანსწრაფულობის მოდელის ფაქტორული დატვირთვა .....	69
სურათი N3. ნეგატიური შეფასების შიშის კითხვარის ფაქტორული დატვირთვა .....	72
სურათი N4. იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირი ორმაგი მედიაციის პირობებში .....	91
სურათი N5. იდეათა სიუხვისი არაპირდაპირი კავშირი კრეატიულ მიღწევებთან .....	98
სურათი N6. იდეათა სიუხვის კავშირი კრეატიულ მიღწევასთან, სიახლის საშუალო ქულიდან 1 SD-ით დაბალი მაჩვენებლის, საშუალო ქულისა და 1 SD-ით მაღალი ქულის ირობებში .....	99
სურათი N7. იდეათა სიუხვის კავშირი კრეატიულ მიღწევასთან, სოციალურობის საშუალო ქულიდან 1 SD-ით დაბალი მაჩვენებლის, საშუალო ქულისა და 1 SD-ით მაღალი ქულის პირობებში .....	100
სურათი N8. იდეათა ირიგინალურობის არაპირდაპირი კავშირი კრეატიულ მიღწევებთან .....	110
სურათი N9. იდეათა ირიგინალურობის კავშირი კრეატიულ მიღწევასთან, შემოქმედებითი იდენტობის საშუალო ქულიდან 1 SD-ით დაბალი მაჩვენებლის, საშუალო ქულისა და 1 SD-ით მაღალი ქულის პირობებში.....	111
სურათი N10. იდეათა ირიგინალურობის კავშირი კრეატიულ აქტივობებთან უარყოფის მოლოდინის საშუალო ქულიდან 1 SD-ით დაბალი მაჩვენებლის, საშუალო ქულისა და 1 SD-ით მაღალი ქულის პირობებში.....	112
სურათი N 11. იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირი ორმაგი მედიაციის პირობებში .....	114
სურათი N12. იდეათა სიუხვის კავშირი კრეატიულ მიღწევებთან ნეგატიური შეფასების შიშის საშუალო ქულიდან 1 SD-ით დაბალი მაჩვენებლის, საშუალო ქულისა და 1 SD-ით მაღალი ქულის პირობებში .....	115
ცხრილი N1. შემოქმედებითი სელფის კავშირის შემოქმედებით აქტივობებსა და მიღწევებთან. 66	
ცხრილი N2. მიზანსწრაფულობის კავშირი ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან, შემოქმედებით მიღწევებსა და ბაზისურ პიროვნულ ნიშნებთან.....	70
ცხრილი N3. ნეგატიური შეფასების შიშის კავშირი ბაზისურ პიროვნულ ნიშნებთან და უარყოფისადმი მგრძობელობასთან .....	73

ცხრილი N4. ძირითადი თემები.....	74
ცხრილი N5. შემოქმედებითობის დეფინიციის ძირითადი ასპექტები.....	77
ცხრილი N6. შემოქმედებითი მიღწევის ხელშემწყობი ფაქტორები .....	80
ცხრილი N7. შემოქმედებითი მიღწევის ხელის შემშლელი ფაქტორები .....	83
ცხრილი N8. მოტივი.....	85
ცხრილი N9. აღწერითი სტატისტიკა და ცვლადებს შორის კორელაცია .....	90
ცხრილი N10. აღწერითი სტატისტიკა და ცვლადებს შორის ურთიერთმიმართება .....	97
ცხრილი N11. რეგრესიული ანალიზის შედეგები .....	99
ცხრილი N12. რეგრესიული ანალიზი.....	100
ცხრილი 13. აღწერითი სტატისტიკა და ცვლადებს შორის ურთიერთმიმართება .....	109
ცხრილი 14. რეგრესიული ანალიზის შედეგები .....	111
ცხრილი 15. რეგრესიული ანალიზი .....	113
ცხრილი 16. რეგრესიული ანალიზი .....	116

## აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანს შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებასა და შემოქმედებით მიღწევებად ქცევაზე გავლენის მქონე ფაქტორების შესწავლა წარმოადგენს. შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორების საკვლევად დავგეგმეთ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები. სადისერტაციო ნაშრომი ასევე მიზნად ისახავდა კვლევის სამი ინსტრუმენტის [შემოქმედებითი სელფის საკვლევი მოკლე სკალა - CSS ( $N = 383$ ), მიზანსწრაფულობის მოკლე კითხვარი - Grit-O ( $N = 431$ ) და ნეგატიური შეფასების შიშის საკვლევი ინსტრუმენტი - BFNE ( $N = 272$ )] ადაპტირებას. ადაპტაციის პროცესში თითოეულმა კითხვარმა გაიარა შემდეგი საფეხურები - ინსტრუმენტის თარგმნა, გადამოწმება საპირისპირო თარგმანის საშუალებით, კითხვარის პილოტირება, რედაქტირება, მცირე ჯგუფში კითხვარის ადმინისტრირება, ფსიქომეტრული მახასიათებლების დადგენა, გადახედვა და ხელახალი სტანდარტიზაცია.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული პირველი, თვისებრივი კვლევა შემოქმედებითობის კრიტერიალური ჯგუფის წარმომადგენლებთან, დამწყებ მწერლებთან ( $N = 15$ ; 8 ქალი;  $M_{სსაკი} = 23$ ;  $SD_{სსაკი} = 3.6$ ) ჩავატარეთ. მიზანი ქართული კულტურის წარმომადგენლებთან შემოქმედებითობის დისკურსის შესწავლა და იმ ფაქტორების გამოვლენა იყო, რამაც ხელი შეუწყო ან შეუშალა მათ წარმატების მიღწევაში. კვლევის შედეგები თემატური ანალიზის გამოყენებით დავამუშავეთ. შედეგებიდან ჩანს, რომ შემოქმედებითი პოტენციალი, ორიგინალური და მნიშვნელოვანი ნამუშევრის შექმნის უნარს უკავშირდება, ხოლო შემოქმედებითი მიღწევა ისეთი ნამუშევრის შექმნას გულისხმობს, რომელსაც ადამიანები მიიღებენ, მოიწონებენ და რომელიც ამ ადამიანებზე გავლენას მოახდენს.

შემოქმედებითი პოტენციალის მიღწევებად გარდასაქმნელად საჭიროა ძალისხმევა, საკუთარ თავზე მუშაობა, ისეთი თემის შერჩევა, რომელიც აქტუალურია

მოცემულ დროსა და სივრცეში. აუდიტორიის თავისებურების გათვალისწინება და ამ აუდიტორიის ემოციებით მანიპულირების უნარი კი წარმატებული ნამუშევრის შექმნაში ეხმარებათ დამწყებ მწერლებს.

ამასთან, შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანს, ამ პოტენციალის მიღწევებად გარდაქმნაში სიზარმაცე, პერფექციონიზმი, საკუთარი თავისთვის მაღალი სტანდარტების დაწესება, თვითკრიტიკულობა, დაბალი თვითეფექტურობა და ნეგატიური შეფასების შიში უშლის ხელს.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩავატარეთ სამი რაოდენობრივი კვლევა, რომლებიც პირველ, თვისებრივ კვლევასთან შესაბამისობაში იყო და მიზნად ისახავდა შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებაზე გავლენის მქონე ფაქტორების შესწავლას. კვლევის მეორე ნაწილში ( $N = 130$ ; 85 ქალი;  $M_{age}=22.61$ ;  $SD=4.52$ ;  $min=18$ ;  $max=38$ ) შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებაზე სოციალურად ავერსიული პიროვნული მახასიათებლების გავლენა ვიკვლიეთ. ვვარაუდობდით, რომ სოციალური მანიპულირების უნარით გამორჩეულ ადამიანებს ეს მახასიათებელი შემოქმედებითი პოტენციალის მიღწევებად გარდაქმნაში დაეხმარებოდა. კვლევის მესამე ნაწილში ( $N = 342$ ; 253 ქალი;  $M_{age}=21.84$ ;  $SD=5.84$ ;  $min=18$ ;  $max=45$ ) ემოციებთან დაკავშირებული ისეთი პიროვნული მახასიათებლები ვიკვლიეთ, როგორც ემოციური ინტელექტი და ემოციური შემოქმედებითობაა. ამ მახასიათებლების მქონე ადამიანებს საკუთარი, უჩვეულო და გარშემომყოფების ემოციების გაგებისა და მართვის უნარი აქვთ, რაც შემოქმედებითი პროდუქტის საზოგადოებამდე ისე მიტანაში შეიძლება დაეხმაროს მათ, რომ გარშემომყოფებმა ამ პროდუქტის კრეატიულობა აღიარონ. მეოთხე ნაწილში ( $N = 273$ ; 191 ქალი;  $M_{age}=19.58$ ;  $SD=3.55$ ;  $min=17$ ;  $max=58$ ) შემოქმედებითი პოტენციალის მიღწევებად ქცევის ხელშემწყობ ფაქტორებთან ერთად (მიზანსწრაფულობა, შემოქმედებითი სელფი), ისეთი ფაქტორები ვიკვლიეთ, რომელთა არსებობაც, შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანს ხელს უშლის ამ პოტენციალის რეალიზებაში (უარყოფითი შეფასების შიში, უარყოფისადმი მგრძობელობა, პერფექციონიზმი). კვლევის ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოვიყენეთ მოდერაციული და მედიაციური ანალიზი.

შედეგებიდან ჩანს, რომ შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების შანსი იზრდება იმ ადამიანებთან, ვისაც ნარცისიზმი, სოციალურობა, უჩვეულო ემოციების განცდის უნარი, საკუთარი თავის შემოქმედ პიროვნებად განხილვა ახასიათებთ, ნეგატიური შეფასების შიში აქვთ და შესაბამისად, ზრუნავენ იმ პროდუქტის დახვეწაზე, რომელიც საზოგადოებამ უნდა შეაფასოს. ამის საპირისპიროდ, პოტენციალის რეალიზებაში ხელი ეშლებათ მათ, ვინც გარშემომყოფების მხრიდან უარყოფას ელის.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებაზე გავლენის მქონე ფაქტორების გამოყოფა, რაც შემოქმედებითობის სისტემური თეორიის გაფართოებასა და გამდიდრებას უწყობს ხელს. ამ მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია და მათ გამოვლენასა და განვითარებაზე ზრუნვა დაეხმარებათ მენეჯმენტსა თუ საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე ადამიანებს თანამშრომლებისა და მოსწავლეთა შემოქმედებითი პოტენციალის გავარჯიშებასა და რეალიზებაში, რაც ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებაზე მეტყველებს. თეორიული ცოდნის მოსაპოვებლად საჭირო კვლევების განხორციელებას კი ხელს შეუწყობს ქართულ ენაზე ადაპტირებული სამი ინსტრუმენტი.

## **Abstract**

In the current study we explored the factors affecting the relationship between creative potential and creative achievements. To examine these factors qualitative and quantitative studies were conducted. We also aimed to examine psychometric properties of the Georgian versions of three research instruments [Short Scale of Creative Self - (N = 383). The Short Grit Scale - Grit-O (N = 431), and Brief Fear of Negative Evaluation scale - BFNE (N = 272)]. Each of the instruments was prepared according to the following steps: preparation of independent translations, back-translation to check whether the content of items matched the original content. initial administration of the instruments to assess item coherence, and restandardization.

In the qualitative research we examined young writers as a criterion group members of which are known to possess creative potential and have creative achievements as well (N = 15; 8 women; Mage = 23; SDage = 3.6). We aimed to explore discourse of creativity in Georgian culture and factors helping or hindering the young Georgian writers on the way to creative achievements. According to the thematic analyses, creative potential was found to be an ability to create original and important products, while creating products that affect people around us and that are acknowledged by others as being creative is considered to be creative achievement. The factors helping young writers with creative potential to transform this potential into achievements are: Effort, continuous working to improve themselves, selecting the appropriate topic, considering the audience, and the ability to manipulate the emotions of the audience. Meanwhile laziness, perfectionism, setting too high standards to oneself, self-criticism, low self-efficacy, and fear of negative evaluation are factors hindering the process of realization of creative potential.

In accordance with the qualitative research we conducted three quantitative studies. In study 2 (N = 130; 85 women; Mage=22.61; SDage=4.52; min=18; max=38) we explored the role of socially aversive personality traits in the process of realization of creative potential. We assumed that the trait of social manipulation would help people with creative potential to gain

creative achievements. In study 3 (N = 342; 253 women; Mage=21.84; SDage=5.84; min=18; max=45) we explored emotion-related personality traits of emotional intelligence and emotional creativity. People with high scores on these traits are able to understand and manipulate their own and others' emotions, which might help them to promote creative products and make other people admit that promoted product is creative. In study 4 (N = 273; 191 women; Mage =19.58; SDage = 3.55; min=17; max=58) we examined factors (grit, creative self) helping creative people to transform their potential into creative achievements as well as factors (fear of negative evaluation, rejection sensitivity, perfectionism) hindering the relationship between creative potential and creative achievements. To test the hypothesis we used moderation and mediation analysis by Hayes (2018). The results from three studies indicate that the chances of realization of creative potential into creative achievements are higher when people with creative potential have high scores on traits like narcissism, sociability, novelty, creative personal identity or fear of negative evaluation, which makes them to improve the idea or product in accordance to people who might evaluate the creativity of the idea or product. Whereas chances of realization of creative potential are decreased when people with creative potential have high rejection expectancy too.

The current study provides insight into which personality traits facilitate the relationship between creative potential and creative achievements. The results might help teachers working in educational settings to plan intervention strategies to help students train their creative potential and develop the characteristics that will help them to realize this potential into creative achievements. Also, the instruments standardized in the current study seem well suited for future studies.

## შესავალი

ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში, სადაც ნებისმიერი ინფორმაცია - ხელმისაწვდომი, შესაძლებლობები კი უსაზღვროა, ინფორმირებულობაზე მნიშვნელოვანი ისაა, თუ როგორ ვახდენთ არსებული ინფორმაციის ინტეგრირებას, თუ რამდენად შეგვიძლია რაღაც ახლის, ორიგინალურის და სასარგებლოს შექმნა. სწორედ შემოქმედებითობა განსაზღვრავს ინოვაციური, ახალი, უჩვეულო და საზოგადოებისთვის ღირებული იდეებისა თუ პროდუქტის შექმნას (Sternberg & O'Hara, 2000) და საფუძვლად უდევს პიროვნების თვითრეალიზებას, თვითაქტუალიზებასა და კულტურის პროგრესს (Csikszentmihalyi, 1999). შემოქმედებითი მიდგომის არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე სამყაროს გამოწვევებთან გამკლავების თვალსაზრისით. ქვეყნის, საზოგადოების თუ კონკრეტული ინდივიდის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შემოქმედებითი უნარების ქონასა და ინოვაციური პროდუქტის შექმნაზე. სხვადასხვა სფეროში, შემოქმედებითობის აღსანიშნად სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება; განათლების მეცნიერებებში მას ინოვაციად მოიხსენიებენ, ბიზნესში - მეწარმეობად, მათემატიკაში - პრობლემის გადაჭრად, მუსიკაში კი - კომპოზიციად (Reid & Petocz, 2004). შემოქმედებითი აზროვნების მაგალითებს ყოველდღიურად ვხვდებით, მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში, საგანმანათლებლო სისტემებსა თუ პოლიტიკაში (Kaufman & Sternberg, 2010).

განათლებაში, ბიზნესში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში აქტიური გამოყენების გამო, შემოქმედებით აზროვნებასთან დაკავშირებული კვლევების რაოდენობა სწრაფად იზრდება (მაგ. Florida, 2002; Mamford & Simonton, 1997) და სხვადასხვა მიმართულებით იშლება. შემოქმედებითობის განხილვისას, ერთი მხრივ, შემოქმედებითი პოტენციალი და მეორე მხრივ, აქტივობები და მიღწევები გამოიყოფა; შემოქმედებითი პოტენციალი არის ადამიანის უნარი შექმნას რაღაც ახალი და აზრიანი/სასარგებლო (Sternberg & Lubart, 1996), შემოქმედებითი მიღწევა კი ამ პოტენციალის რეალურ ცხოვრებაში განხორციელების შედეგია (სამეცნიერო აღმოჩენა, რომანი, ნოველა და ა.შ.) (Kaufman &

Beghetto, 2009). შემოქმედებითობასთან დაკავშირებით ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევებში (Batey & Furnham, 2006), როგორც წესი, აქცენტი იმ ინდივიდუალურ ნიშნებზე კეთდება, რომელიც შემოქმედებით პიროვნებას გამოარჩევს. შემოქმედებითობა ისეთი პიროვნებების მახასიათებელია, რომელთაც მაღალი ფსიქოტიზმი (Sternberg & Lubart, 1992; Merten & Fischer, 1999), გამოცდილებისადმი ღიაობა (Chamorro-Premuzic & Furnham, 2005), ექსტრავერსია და დაბალი კეთილგანწყობა<sup>1</sup> აქვთ (Furnham, 1999). ეს ადამიანები ასევე ხასიათდებიან ინტელექტის კოეფიციენტის საშუალო/ზღვრული მაჩვენებლით (Guilford, 1967; Torrance, 1962; Jauk, Benedek, & Neubauer, 2014), ინტერნალური მოტივაცია კი პოზიტიურ აფექტთან, რისკიანობასთან, დაჟინებულობასა და კოგნიტურ მოქნილობასთან ერთად, შემოქმედებითობის განმსაზღვრელი ხდება (Shalley, Zhou, & Oldham, 2004).

შემოქმედებითი პიროვნების მახასიათებლების გარდა, მნიშვნელოვანია გარემოსთან დაკავშირებული იმ ფაქტორების კვლევა, რომლებიც გავლენას ახდენს შემოქმედებითობის განვითარებასა და რეალიზებაზე. სოციალური კონტექსტის მნიშვნელობის ხაზგასასმელად ჩატარებული კვლევები (მაგ. Amabile, 1988; Simonton, 1984; Woodman, Sawyer & Griffin, 1993) ორგანიზაციებში მიმდინარე შემოქმედებით აქტივობასა და შემოქმედებით პროცესზე შესაძლო გავლენის წყაროებზე ფოკუსირდება. ჩანს, რომ შემოქმედებითობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარემომცოფების მხრიდან გამოვლენილ ემოციურ მხარდაჭერაზე (Madjar et al., 2002), რაც ერთი შეხედვით მიუღებელი და ნორმასთან შეუსაბამო ქმედების (Catmull & Wallace, 2014) განხორციელების მოტივაციას ზრდის. ემოციური მხარდაჭერის გარდა, მნიშვნელოვანია კონსტრუქციული უკუკავშირი, რომლის არსებობაც შემოქმედ ადამიანს ეხმარება ორიგინალური იდეის დახვეწასა და გაუმჯობესებაში (Harrison & Rouse, 2015). გარემომცოფების აზრი, გაზიარებული შეხედულებების არსებობა (Hülshager, Anderson, & Salgado, 2009) და სოციალური კავშირების ისეთი თავისებურებები, როგორცაა ამ კავშირების ზომა, მრავალფეროვნება და სიმტკიცე

---

<sup>1</sup> ნაშრომში ტერმინი - კეთილგანწყობა - გამოყენებულია ინგლისური ტერმინის - Agreeableness აღსანიშნად, რომელიც ქართულენოვან ლიტერატურაში ხშირად გვხვდება, როგორც „თანხმობისადმი მზაობა“.

(Baer et al., 2015) მნიშვნელოვანია ორიგინალური პროდუქტის შესაქმნელად იმდენად, რამდენადაც სოციალური კონტექსტის ეს მახასიათებლები შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას, ისეთი ინოვაციური პროდუქტის შექმნას უზრუნველყოფს, რომელსაც საზოგადოება აღიარებს, მიიღებს და გამოიყენებს. შესაბამისად, შემოქმედებითობა შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ერთი მხრივ, პიროვნული მახასიათებელი (Eysenck, 1995), ხოლო მეორე მხრივ, სოციუმის, გარემოს, კულტურის პროდუქტი (Amabile, 1999; Csikszentmihaly, 1999).

## 1. შემოქმედებითობა

შემოქმედებითობის მიმართ ინტერესი უხსოვარი დროიდან მოყოლებული არსებობდა და იცვლებოდა არა მხოლოდ დროის, არამედ იმ კონტექსტის შესაბამისად, რომელშიც ხდებოდა მისი განხილვა (Albert & Runco, 1999). ამ ცნების მრავალფეროვან და განსხვავებულ განმარტებათა შეჯამებისას ჩანს, რომ ის ორიგინალური და აზრიანი/სასარგებლო პროდუქტის შექმნის უნარს უკავშირდება (Sternberg & Lubart, 1996).

შემოქმედებითობის ერთიანი და უნივერსალური განმარტების ფორმულირება გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება და იმის მიხედვით, თუ რომელი პარადიგმის წარმომადგენელი იყენებს, ცნების გამარტება განსხვავებულად ხდება (Chamorro-Premuzic, 2011). შემოქმედებითობის შესახებ შექმნილ თეორიათა შეჯამება საშუალებას იძლევა გამოვყოთ ის ძირითადი ასპექტები, რომელზეც ხსენებული თეორიები ამახვილებს ყურადღებას. ეს ასპექტები შემოქმედებითობის ოთხი p-ს (ზოგ წყაროში ექვსი p-ც გვხვდება) სახელით არის ცნობილი და მოიცავს პიროვნებას (person), პროცესს (process), პროდუქტს (product), გარემოს (press) და დამატებით, დამარწმუნებლობასა (persuasion) და პოტენციალს (potential) (Runco, 2004).

თეორიების ჯგუფი, რომელიც პროცესზე ამახვილებს ყურადღებას, როგორც შემოქმედებითი, ისე მისგან განსხვავებული, არაშემოქმედებითი აქტივობის საფუძვლად მდებარე პროცესების იდენტიფიკაციას ცდილობს (Mednick, 1962). ამ

თეორიათა შესწავლის ობიექტი თვითონ შემოქმედებითობაა და არა შემოქმედებითი პიროვნება.

პროდუქტის შესწავლაზე ორიენტირებული, შედარებით ობიექტური თეორიების წარმომადგენლები, შემოქმედებითი აქტივობის შედეგად მიღებულ ნიმუშებს იკვლევენ. ასეთი პროდუქტი შესაძლოა იყოს ნახატიც და სამეცნიერო პუბლიკაციაც. აქცენტი ადამიანის ნამოქმედარზე კეთდება და არა თვითონ ამ ადამიანის მახასიათებლებზე ან იმ პროცესზე, რომელიც საჭიროა პროდუქტის მისაღებად (Simonton, 2004).

გარემოზე აქცენტს ისინი აკეთებენ, ვინც ინდივიდს, როგორც შემოქმედსა და იმ კონტექსტს შორის კავშირის შესწავლას ცდილობენ, რომელშიც ეს ადამიანი მოღვაწეობს. თავისუფლება, დამოუკიდებლობა, წახალისება, საკმარისი დროის მიცემა, კრიტიკის ნაკლებობა, კარგი როლური მოდელები (Runco, 2004) ის კონტექსტუალური ფაქტორებია, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს შემოქმედებითი პროდუქტულობისთვისაც და შემოქმედებითი აზროვნებისთვისაც (Amabile, 1999).

იმ თეორიათა წარმომადგენლები, რომლებიც შემოქმედებითობის კვლევისას პიროვნული მახასიათებლების შესწავლაზე ამახვილებენ ყურადღებას, ცდილობენ ისეთი პიროვნული თავისებურებების გამოვლენას, რომელიც შემოქმედს გამოარჩევს. ეს შეიძლება იყოს ინტერნალური მოტივაცია, ინტერესთა მრავალფეროვნება, გამოცდილებისადმი ღიაობა და ავტონომიურობა (Feist, 1998, 1999). დღეისათვის პიროვნული მახასიათებლები განიხილება, როგორც შემოქმედებით ქცევაზე გავლენის მქონე ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფაქტორი (Feist & Barron, 2003).

შემოქმედებითი ადამიანები საზოგადოების აზრზე ახდენენ გავლენას - ცვლიან მას. შესაბამისად, იმისთვის, რომ საზოგადოება დაემორჩილოს გავლენას, შემოქმედი დამაჯერებელი უნდა იყოს (Simonton, 1990). ამ კომპონენტზე ყურადღების გამახვილებისას, წინა პლანზე სოციალური და გავლენის ფსიქოლოგიის ფარგლებში არსებული იდეები იწევს და მხარდამჭერ არგუმენტებს სისტემებთან დაკავშირებულ თეორიებში ვხვდებით (Csikszentmihalyi, 1999), სადაც პროდუქტი შემოქმედებითად ითვლება, თუ საზოგადოება აღიარებს მის ორიგინალურობასა და სარგებლიანობას.

ამისთვის კი შემოქმედი ადამიანის დამაჯერებლობას, შემფასებელთა პოზიციის გაგებას, გათვალისწინებასა და გავლენის მოხდენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება (იხ. Sordia, Martskvishvili, & Neubauer, 2019).

აღსანიშნავია, რომ შემოქმედებითი პროდუქტი პიროვნებისა და სოციუმის ჩართულობით იქმნება. შექმნილმა პროდუქტმა კი შესაძლოა საზოგადოებრივი აზრის ცვლილება გამოიწვიოს, თუმცა შემოქმედებითი პოტენციალი (Runco, 2004) შესაძლოა ისე არსებობდეს, რომ არ ვლინდებოდეს შემოქმედებით აქტივობებსა და მიღწევებში.

შემოქმედებითობის შესაფასებლად შექმნილი სხვადასხვა თეორია ჩამოთვლილი ასპექტებიდან ერთზე ან რამდენიმეზე ფოკუსირდება და სხვადასხვა კუთხიდან ცდილობს კონსტრუქტის შესწავლას.

## 1.1 შემოქმედებითობის თეორიული მოდელები

### 1.1.1. განვითარების და ევოლუციური თეორიები

შემოქმედებითობის ევოლუციურ თეორიათა ჭრილში განხილვას სიმონტონის შრომებში ვხვდებით (Simonton, 1984, 1988, 1997, 1999, 2004). ხსენებული ავტორის შეხედულებებს საფუძვლად ფსიქიკური პროცესების ორსაფეხურიანი სისტემა უდევს, რომელიც ერთი მხრივ, იდეათა გენერირებას და შერჩევით შეკავებას უკავშირდება, ამ დროს ცნობიერების საზღვრებს მიღმა ხდება იდეების კომბინირება და მეორე მხრივ, იდეათა დამუშავების პროცესებს უკავშირდება, რომლის ფარგლებშიც შედარებით საინტერესო კომბინაციების გადარჩევა, დამუშავება და შემოქმედებით პროდუქტად გარდაქმნა ხდება. აკმაყოფილებს თუ არა მიღებული პროდუქტი შემოქმედებითობის კრიტერიუმებს, შემფასებელზეა დამოკიდებული (Campbell, 1960). სიმონტონის მიერ შემოთავაზებულ მოდელში, საწყის წერტილად შემოქმედებითი პოტენციალი განიხილება, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე განხორციელებულ შემოქმედებით აქტივობებში ვლინდება და კარიერისა და განათლების მიღების პარალელურად ვითარდება (Kozbelt, Beghetto & Runco, 2010).

განვითარების თეორიები ინფორმაციას გვაწვდიან შემოქმედებითობის საფუძვლად მდებარე ფაქტორების და იმ გარემოს მახასიათებლების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ შემოქმედებითობის ფორმირებას. ყურადღებას შემოქმედებით პოტენციალზე, პიროვნებასა და გარემოზე - იმ მახასიათებლებზე ამახვილებენ, რაც საბოლოო ჯამში შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას უდევს საფუძვლად.

განვითარების თეორიები ინფორმაციას ცნობილი ადამიანების ცხოვრების შესახებ (Goertzel & Goertzel, 1976), ოჯახის სტრუქტურას, დაბადების რიგსა და შემოქმედებითობას შორის კავშირისა (Gaynor & Runco, 1998; Sulloway, 1996) და ლონგიტუდური კვლევებიდან იღებს (მაგ. Albert & Runco, 1999; Plucker, 1999). ჩანს, რომ შემოქმედებითი ადამიანები, ბავშვობაში, მრავალფეროვან გამოცდილებასთან ერთად, დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხითაც იყვნენ უზრუნველყოფილნი (Albert & Runco, 1989). ასეთი ადამიანების მშობლები შვილების შესახებ ინფორმაციას ფლობენ,

მაგრამ ზედმეტად არ ზღუდავენ მათ, საშუალებას აძლევენ გამოცდილება მიიღონ განსხვავებული და მრავალფეროვანი სიტუაციებიდან, რომელსაც თავადვე სთავაზობენ. ამდენად, ლოიალური გარემო, სადაც ბავშვს გამოკვლევითი და წარმოსახვითი თამაშის შესაძლებლობა აქვს, შემოქმედებითობის განვითარებას უწყობს ხელს (Pearson, Russ, & Cain Spannagel, 2008; Russ & Schafer, 2006).

მსგავსი გარემოსა და თავისუფლების არ არსებობის ან არსებობის პირობებში, მშობლებთან და ოჯახში არსებულ წესებთან, სტატუსკვოსთან მიმართებაში ამბოხით შუათანა შვილები გამოირჩევიან (Gaynor & Runco, 1998; Sulloway, 1996), რომელთაც ოჯახში ყურადღების მისაქცევად და ადგილის დასამკვიდრებლად, უფროსი დაძმებისგან განსხვავებით, ახალი და ორიგინალური გზების ძიება უწევთ. განვითარების თეორიების წარმომადგენლები თვლიან, რომ ეს მეამბოხეობა, მოგვიანებით, შესაძლოა ინოვაციურობაში გამოვლინდეს (Kozbelt et al., 2010).

### 1.1.2. კოგნიტური თეორიები

შემოქმედებითობის კოგნიტურ თეორიებში, გარემოსა და ოჯახში არსებული ვითარებიდან ყურადღება შემოქმედებითობის საფუძვლად მდებარე პროცესებსა და პიროვნებაზეა გადატანილი. ჩანს, რომ კოგნიტური უნარების თვალსაზრისით არსებული განსხვავება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემოქმედებითობაზე (Kozbelt et al., 2010). კოგნიტური თეორიების წარმომადგენლები შემოქმედებითობის განხილვისას ისეთ მახასიათებლებზე აკეთებენ აქცენტს, როგორც ყურადღება, მეხსიერება, დივერგენტული აზროვნების თვალსაზრისით არსებული ინდივიდუალური განსხვავებები, პრობლემის გადასაჭრელად საჭირო და არსებული ცნობიერი სტრატეგიები თუ არაცნობიერი, იმპლიციტური პროცესებია. ზოგ თეორიაში შემოქმედებითობა პრობლემის გადაჭრის, ზოგში კი პრობლემის აღმოჩენის უნარებს უკავშირდება. იდეები, რომლებიც პრობლემის აღმოჩენის ან პრობლემის გადაწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს, ასოციაციური კავშირების საფუძველზე ჩნდება და რაც უფრო დაშორებულია ერთმანეთისგან ასოციაციები, მათი ურთიერთდაკავშირების

შედეგად, მით უფრო ორიგინალური იდეა წარმოიქმნება (Mednick, 1962). შემოქმედებითი პროცესების ცნობიერი კონტროლისთვის დაქვემდებარების მცდელობა ჩანს მეტაკოგნიციის ცნებაში - იგულისხმება, რომ შემოქმედებითი აქტივობის პროცესი ისეთი ინსტრუქციებით წარიმართება, როგორცაა მაგ., „ეჭვი შეიტანე დანასკვის სისწორეში“, „პრობლემას სხვა კუთხიდან შეხედე“ და ა.შ. (Kozbelt et al., 2010).

ახალი და ორიგინალური იდეის შექმნაში დივერგენტული აზროვნებაა ჩართული, რომელიც არა ერთი და კონკრეტული იდეის შერჩევაში, არამედ განსხვავებული და მრავალფეროვანი ასოციაციების განხილვასა და შეჯერებაში ვლინდება (Mednick, 1962). გილფორდის (1980) მიერ შემოთავაზებული დივერგენტული აზროვნების ცნებისგან განსხვავებით, მისივე ტერმინი - კონვერგენტული აზროვნება ერთი, სწორი და წინასწარგანსაზღვრული პასუხის აღმოჩენის უნარს უკავშირდება და დივერგენტულ აზროვნებასთან ერთად, შემოქმედებითი - ორიგინალური და ეფექტური, სასარგებლო პროდუქტის შექმნაში მონაწილეობს (Cropley, 2006).

კოგნიტური ფსიქოლოგიის ფარგლებში შემუშავებულ თეორიათა შორის ვხვდებით ისეთებს, რომლებიც შემოქმედებითობის განხილვისას ყურადღებას პრობლემის გადაჭრის უნარზე ამახვილებს. ამ თეორიებში აქცენტი პიროვნებაზე, როგორც ექსპერტზე, როგორც სფეროს შესაბამისი და პრობლემის გადასაჭრელად საჭირო ცოდნის მფლობელზე კეთდება. პრობლემის გადაჭრის საფუძვლად კი ისეთი პროცესები განიხილება, როგორც ევრისტიკა ან პრობლემის რეპრეზენტაციაა. დაგროვილი ცოდნის და გამოცდილების მნიშვნელობა ჩანს ე.წ. „ათი წლის წესში“ რომელიც, გამონაკლისების არსებობის მიუხედავად (Galenson, 2006) აჩვენებს, რომ სახელგანთქმული შემოქმედების დიდი ნაწილისთვის, მნიშვნელოვანი ნაწარმოების შექმნას იმავე სფეროში გატარებული ათი წელი უძღვის წინ (Hayes, 1989). ამასთან, ექსპერტული ცოდნა და პრობლემის გადაჭრის უნარები შესაძლოა თანამონაწილეობდნენ შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში. ასე, მაგალითად, ისეთი პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრა, რომელსაც ერთი და სწორი პასუხი არ აქვს, ამავე სფეროში დაგროვილი ცოდნის საფუძველზე, მოცემული პრობლემის მცირე პრობლემებად ჩაშლას და მათ სათითაოდ გადაჭრაში შეიძლება

ვლინდებოდეს (Kozbelt et al., 2010). პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული თეორიების ძირითადი პრობლემა ისაა, რომ ამ თეორიათა წარმომადგენლები შემოქმედებითი მიღწევების განსახორციელებლად აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის მახასიათებლებზე ამახვილებენ ყურადღებას და ტალანტზე მეტად გავარჯიშების მნიშვნელობას უსვამენ ხაზს (Kozbelt et al., 2010; Simonton, 2007).

რამდენადაც პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული თეორიები ვერაფერს გვეუბნება იმაზე, თუ როგორ ხდება გადასაჭრელი პრობლემის აღმოჩენა, შეიქმნა პრობლემის აღმოჩენაზე ორიენტირებული თეორიები, რომლის ფარგლებშიც აქცენტი მცირე c-ზე (little creativity - ყოველდღიური შემოქმედებითი აქტივობები, საყოველთაოდ ცნობილი/აღიარებული შემოქმედებითი მიღწევების საპირისპიროდ) კეთდება და მიიჩნევა, რომ პრობლემის აღმოჩენა და განსაზღვრა ის საწყისი ეტაპია, რომელიც შემდგომში, შესაძლოა, დიდი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნით გაგრძელდეს. ისეთი ამოცანის შემთხვევაში, როგორც ნახატის შექმნა, ცხადად ფორმულირებულ პრობლემასთან არ გვაქვს საქმე, ამიტომ მხატვრისთვის, „გადასაჭრელი პრობლემის“ აღმოჩენა (შემოქმედების ნიმუშის შექმნა) ძიებით იწყება, რაც საკითხთან დაკავშირებული საგნებითა და მოვლენებით ხანგრძლივ და მრავალფეროვან მანიპულაციებს მოიცავს (Getzels & Csikszentmihalyi, 1976).

შემოქმედებითი პროცესების საფუძვლად მდებარე კოგნიტურ კომპონენტებთან დაკავშირებული, საფეხურეობრივი ან ციკლური პროცესებია აღწერილი საფეხურებისა და კომპონენტების თეორიებში. ამ თეორიათაგან ერთ-ერთში (Wallas, 1926) შემოქმედებითობა წარმოდგენილია, როგორც მომზადების, ინკუბაციის, ინსაიტისა და ვერიფიკაციის საფეხურების მომცველი პროცესი, სადაც პირველი საფეხური ინფორმაციის შეგროვებას და გადასაჭრელი პრობლემის განსაზღვრას უკავშირდება. ამ საფეხურს მოსდევს ინკუბაციის ეტაპი, რომლის დროსაც პრობლემაზე ყურადღების ფოკუსირება აღარ ხდება (პრობლემა ცნობიერების მიღმა), რასაც მესამე და „აჰა-განცდასთან“ დაკავშირებულ საფეხურთან მივყავართ - აქ პრობლემის ორიგინალურ გადაწყვეტას აქვს ადგილი. გადაწყვეტილების განხორციელება ან მისი სისწორის შემოწმება ბოლო, ვერიფიკაციის საფეხურზე ხდება.

გარდა იმისა, რომ სხვადასხვა თეორიულ მოდელში ხსენებული საფეხურები შესაძლოა სპეციფიკურად იყოს აღწერილი ან ჩაშლილი, ამ მოდელის ძირითადი კრიტიკა მის სწორხაზოვნებას უკავშირდება და მიიჩნევა, რომ რეალურად, შესაძლოა, საფეხურების ციკლურ მონაცვლეობას ჰქონდეს ადგილი და ადამიანი რამდენჯერმე დაუბრუნდეს წინა საფეხურს, სანამ საუკეთესო გადაწყვეტამდე მივა (Kozbelt et al., 2010).

თეორიათა ნაწილი არა საფეხურებზე, არამედ შემოქმედებითობის განმსაზღვრელ კომპონენტებზე ამახვილებს ყურადღებას. ერთ-ერთ ასეთ თეორიულ მოდელში (Amabile, 1999) სამი ასპექტი გამოიყოფა: სფეროს შესაბამისი უნარები, შემოქმედებითობის განმსაზღვრელი უნარები და მოტივაცია. პირველი აერთიანებს კონკრეტულ სფეროში არსებულ ცოდნასა და ტექნიკურ უნარებს, რომლებიც თანდაყოლილ უნარ-ჩვევებს ეყრდნობა. მეორეში ისეთი მახასიათებლები მოიაზრება, როგორც ვთქვით ორიგინალური იდეების გენერირებისთვის საჭირო ევრისტიკული ხერხების ფლობაა, რაც გავარჯიშებას ექვემდებარება. მესამე ფაქტორი ინტერნალურ და არა ექსტერნალურ მოტივაციას უკავშირდება. ეს უკანასკნელი, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნისთვის ხელის შემშლელიც შეიძლება იყოს (Amabile, 1999).

### 1.2.3. ეკონომიკური თეორიები

შემოქმედებითობის შესახებ არსებული შედარებით თანამედროვე ხედვა ეკონომიკურ თეორიებში მჟღავნდება, სადაც აქცენტი მაკრო დონის პროცესებზე კეთდება. თეორიათა ეს ჯგუფი იძლევა მთელ რიგ პრაქტიკულ ინფორმაციას. ასე მაგალითად, დიდ ჯგუფებში ტვინის შტურმის მეთოდი ნაკლებად ეფექტურია იმიტომ, რომ ორიგინალური და განსხვავებული იდეის გამოთქმის საფასური მეტია, ან დიდი ექსპერტული ცოდნის მქონე ადამიანები, რომლებსაც დიდი ძალისხმევის ფასად დაუჯდათ ამ ცოდნის დაუფლება, ნაკლებად მოქნილები იქნებიან ისეთი ალტერნატივების მიმართ, რომელიც ცოდნის ჭეშმარიტობას ეჭვქვეშ აყენებს (Kozbelt et al., 2010; Simonton, 2007).

ეკონომიკური ან იგივე ინვესტირების თეორიათა ფარგლებში ვხვდებით ისეთებსაც, რომლებიც ფსიქო-ეკონომიკურ პერსპექტივას ეყრდნობა და აქცენტს იმ გარემო ფაქტორებზე აკეთებს, რომლებიც შეიძლება კონკრეტული შემოქმედებითი აქტივობის ხელშემწყობი ან ხელის შემშლელი იყოს (Rubenson & Runco, 1992, 1995). განსხვავებული ადამიანების მიმართ საზოგადოებაში არსებული სტიგმა შესაძლოა ხელს უშლიდეს ადამიანს შემოქმედებითი - ორიგინალური და ნორმისგან გადახრილი ქცევების განხორციელებაში. ამდენად, არაკონვენციურობის მიმართ ტოლერანტული საზოგადოება, სადაც შემოქმედებით ადამიანს იღებენ მისი განსხვავებულობის მიუხედავად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს შემოქმედებითობის სტიმულირებაში (Florida, 2002).

შემოქმედებითობის ხელშემწყობი ბაზრის მახასიათებლების გარდა, ეკონომიკისა და ინვესტირების თეორიებში აქცენტი კონკრეტული ინდივიდის ალლოზეც კეთდება - იდეებში ინვესტირებაზე, რაც შედარებით იაფფასიანი იდეის „ყიდვის“ და მოგვიანებით მისი ძვირად „გაყიდვის“ უნარს უკავშირდება (Sternberg & Lubart, 1992, 1995).

#### 1.2.4. ტიპოლოგიური და სისტემური თეორიები

თეორიათა ნაწილში შემოქმედებით ადამიანთა ტიპებს გამოყოფენ. შემოქმედთა ერთ-ერთი ტიპოლოგიზაცია ერთი მხრივ, კარიერულ განვითარებას და მეორე მხრივ, ამ კარიერის მფლობელთა მუშაობის მეთოდების აღწერას ეყრდნობა. აქ ორი ძირითადი ჯგუფია გამოყოფილი, რომელთაგან ერთში ესთეტიკური მოტივებით მოქმედი ექსპერიმენტალისტები - „მამებრები“ ერთიანდებიან, მეორეში კი - ინოვაციური „აღმომჩენები“ (Galenson, 2001, 2006). პირველ ტიპს ის შემოქმედები წარმოადგენენ, რომლებიც ძიებას კონკრეტული იდეის გარეშე იწყებენ, ცდისა და შეცდომის მეთოდით მოქმედებენ და ხშირად უჭირთ იმის სიტყვებით გადმოცემა, თუ რას აკეთებენ ან ეძებენ. დროთა განმავლობაში ამ ადამიანების შესაძლებლობები უმჯობესდება, იხვეწება და დიდი რაოდენობით „ნაშრომების“ მფლობელებად გვევლინებიან, თუმცა ამ ნაშრომებიდან მხოლოდ მცირეა ჭეშმარიტად ღირებული. მამებრები ადრეულ ასაკში

არსებული მიღწევებით არ გამოირჩევიან, რამდენადაც ჯერ ექსპერტულ ცოდნასა და საჭირო უნარებს არ ფლობენ. „მამებრებისგან“ განსხვავებით, „ადმომჩენები“ ნათლად ფორმულირებული მიზნებით და შრომის ეფექტურობით გამოირჩევიან, საზოგადოებაში დამკვიდრებული ხედვის შემცვლელებად გვევლინებიან და როგორც წესი, მათი მიღწევები შედარებით მცირე, მაგრამ ღირებულია.

მხოლოდ შემოქმედებით პროდუქტზე ყურადღების გამახვილების ნაცვლად, სისტემურ თეორიებში შემოქმედებითობა განხილულია, როგორც რთული და მრავალი კომპონენტის ინტერაქციის ამსახველი სისტემა, სადაც თითოეულ კომპონენტს თავისი როლი და მნიშვნელობა აქვს, ამიტომაც, სრული სურათის შესაქმნელად, თითოეული მათგანის გათვალისწინებაა საჭირო. ამ თეორიათაგან ზოგიერთი აქცენტს შემოქმედის პიროვნების შესწავლაზე აკეთებს (Gruber & Wallace, 1999) მაშინ, როცა სხვაგან (Csikszentmihalyi, 1988, 1999) გარემოსა და კონტექსტის მნიშვნელობას ესმება ხაზი და კითხვა „რა არის შემოქმედებითობა?“ იცვლება კითხვით „სად არის შემოქმედებითობა?“ (Kozbelt et al., 2010).

შემოქმედებითობაზე საუბრისას, ჩიქსენტმიჰალი (1999) ცნებას არამხოლოდ ფსიქოლოგიურ, არამედ სოციალურ და კულტურასთან დაკავშირებულ ფენომენად განიხილავს და სამ კომპონენტს გამოყოფს: 1) კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებით არსებული, დაგროვილი ინფორმაცია/ცოდნა, რომელიც გარკვეულ დროსა და ადგილას არსებობს; 2) ინდივიდი, რომელიც ითვისებს ამ ინფორმაციას და ქმნის გარკვეულ ვარიაციებს ამავე ინფორმაციაზე დაყრდნობით და 3) ველი, რომელიც სფეროს წარმომადგენლებისგან შედგება და რომლებიც წყვეტენ ამავე სფეროს ფარგლებში შექმნილი კონკრეტული, ორიგინალური პროდუქტებიდან, თუ რომელს აქვს არსებობის უფლება. ჩიქსენტმიჰალისთვის პროდუქტი ორიგინალურობის ფარგლებს არ სცდება, სანამ კულტურა არ დაადასტურებს მის ვალიდურობას, სანამ სოციუმი არ აღიარებს ორიგინალურ პროდუქტს, როგორც შემოქმედების ნიმუშს. ამდენად, კულტურაში არსებული ცოდნა, შეფასების სტანდარტები და დანაკლისი არის სისტემის ის მცირე ელემენტი, რომელიც შემოქმედებით ადამიანს აძლევს საშუალებას შექმნას

შემოქმედების ისეთი ნიმუში, რომელიც საზოგადოების გადაწყვეტილებით, თაობიდან თაობას გადაეცემა და კულტურის ევოლუციაში მიიღებს მონაწილეობას.

### 1.2.5. ფსიქომეტრიული თეორიები

აქამდე განხილული თეორიებისგან განსხვავებით, ფსიქომეტრიული თეორიები აქცენტს შემოქმედების პროდუქტსა და მის გაზომვაზე, გაზომვის პროცესის ვალიდურობასა და სანდობაზე აკეთებს (Kozbelt et al., 2010; Simonton, 2007). თუმცა საკითხავია, ნამდვილად ზომავენ შემოქმედებითობის მკვლევრები შემოქმედებითობას? და რამდენად სანდოა მათ მიერ მიღებული შედეგები?

ვალიდობაზე საუბრისას, კრიტერიალური, კერძოდ, პრედიქტული და დისკრიმინანტული ვალიდობა გამოიყოფა და პასუხის პოვნის საშუალებას გვაძლევს ისეთ კითხვებზე როგორცაა მაგალითად, შემოქმედებითობის გასაზომად შექმნილი ინსტრუმენტები გვაძლევენ თუ არა საშუალებას ვისაუბროთ შემოქმედებითი აქტივობის შესახებ? რამდენად განსხვავდებიან შემოქმედებითობის გაზომვის მეთოდები შემოქმედებითობის მსგავსი ისეთი მახასიათებლების გაზომვის მეთოდებისგან, როგორც ვთქვათ, ინტელექტი ან კონვერგენტული აზროვნება?

შემოქმედებითი მიღწევების შესაფასებლად შექმნილი ბიოგრაფიული და თვითანგარიშის კითხვარები (რომლებიც ინფორმაციას გვაწვდიან ყოველდღიური შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების შესახებ) შემოქმედებითი პოტენციალის შესაფასებელ დივერგენტულ ტესტებში მიღებულ შედეგებს დადებითად უკავშირდება (Jauk, Benedek, & Neubauer, 2013), რაც ამ უკანასკნელის პრედიქტულ ვალიდობაზე მეტყველებს.

დისკრიმინანტულ ვალიდობაზე საუბრისას კი ისეთი ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო, როგორც კვლევის მონაწილეთა უნარები, ტესტის თავისებურებები და ტესტირების გარემოს მახასიათებლებია (Kozbelt et al., 2010). კვლევის მონაწილეთა უნარებზე საუბრისას, ინტელექტსა და შემოქმედებითობას შორის ურთიერთმიმართების აღსაწერად არსებული ზღურბლის ჰიპოთეზა

განხილვა, რომელიც აჩვენებს, რომ ინტელექტის გარკვეულ ზღვრამდე შემოქმედებითობასა და IQ-ს შორის კავშირი მჭიდროა და ინტელექტი შემოქმედებითობის წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა, თუმცა მას შემდეგ, რაც ეს მაჩვენებელი საშუალოდ 120 ქულას აღემატება, კავშირი უმნიშვნელო ხდება (Guilford, 1967; Torrance, 1962; Jauk, Benedek, Dunst, & Neubauer, 2013).

ტესტირების გარემოს მნიშვნელობის განხილვისას ჩანს, რომ განათლების სფეროში არსებული შედარებით ლოიალური და მხარდამჭერი გარემო შემოქმედებითობის წამახალისებელია. შემოქმედებითობის შესაფასებლად შექმნილი ტესტების მნიშვნელობა კი დივერგენტული და კონვერგენტული აზროვნების შესაფასებელი მეთოდების განხილვისას იკვეთება; თუ კონვერგენტული აზროვნების ტესტები ერთი და სწორი პასუხის მოფიქრებაზეა ორიენტირებული, დივერგენტული აზროვნების შესაფასებელ ტესტებში მნიშვნელოვანია არა - სწორი, არამედ, რამდენიმე, ალტერნატიული ვერსიის არსებობა და ითვლება, რომ რაც უფრო შორსაა ვერსია სტანდარტული პასუხისგან, მით უფრო შემოქმედებითია (Kozbelt et al., 2010).

ამდენად, შემოქმედებითობის შესაფასებლად შექმნილი ტესტები ინტელექტისა და პიროვნული მახასიათებლებისგან განსხვავებულ უნარებს უნდა ზომავდნენ ისეთი მეთოდების გამოყენებით, სადაც აქცენტი ერთი და სწორი პასუხის აღმოჩენაზე არ კეთდება. შედეგების ინტერპრეტაციისას ან ტესტირების გარემოს შერჩევისას კი ისეთი მახასიათებლები უნდა გავაკონტროლოთ, რომელთაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ან შეცვალონ ტესტირების შედეგები.

## 1.2 შემოქმედებითი სელფი

გარკვეული უნარის, პოტენციალის ქონა ავტომატურად არ გულისხმობს ამ უნარის რეალურ, ყოველდღიურ აქტივობებში გამოვლენას და მასთან დაკავშირებული მიღწევების ქონას. ზოგჯერ საკუთარი თავის რწმენა უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს პიროვნების მიერ გარკვეული აქტივობების განხორციელებაში, ვიდრე ამ აქტივობის განხორციელების უნარი. შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანების შემთხვევაში, შემოქმედებითი თვით-რწმენების შესახებ კვლევები განსაკუთრებით აქტუალური ბოლო ათწლეულში გახდა.

კარვოვსკი (2015) შემოქმედებით სელფს განიხილავს, როგორც მრავალი ასპექტისგან შედგენილ კონსტრუქტს, რომელიც შემოქმედებით თვითეფექტურობას, შემოქმედებით პიროვნულ იდენტობას, საკუთარი თავის, როგორც შემოქმედებითის შეფასებას და შემოქმედებით მეტაკოგნიციას აერთიანებს. კარვოვსკის მიერ ჩატარებული კვლევიდან ჩანს, რომ შემოქმედებითი სელფ-კონცეფციის ფორმირება ადრეული ასაკიდან იწყება და მკაფიოდ ვლინდება 10 წლის ბავშვებთან. თუმცა შემოქმედებითი სელფი ისევე, როგორც შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა ცვლილებებს განიცდის გვიანი მოზარდობისა და ადრეული მოზრდილობის პერიოდში და მხოლოდ ზრდასრულობისას ხდება სტაბილური.

გარდა იმისა, რომ შემოქმედებითი სელფის ფორმირებას, შემოქმედებითი თვითეფექტურობის ჩამოყალიბებას გარკვეული პიროვნული სისუსტეების დამლევა და სფეროს შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება სჭირდება, მნიშვნელოვანია, ასევე, სიმბოლური ან ფორმალური დოკუმენტი (მაგ. დიპლომი), რომელიც ასაბუთებს, რომ ადამიანი კონკრეტულ შემოქმედებით სფეროს მიეკუთვნება (Lebula & Csikszentmihalyi, 2017). ეს საბუთი ავტომატურად მიაწერს მფლობელს იმ მახასიათებლებს, რასაც საზოგადოება კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლისგან ელის. პროფესიის შესაბამისი, კონკრეტული როლის მორგება, ამ როლთან დაკავშირებულ შეხედულებებს სელფის კონცეფციის ნაწილად აქცევს და ამავე სფეროს წარმომადგენელ, მსგავს ადამიანებთან დაახლოებას და განსხვავებულებისგან დისტანცირებას განაპირობებს.

პროფესიულ სფეროში მოღვაწეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს შემოქმედის თვითრწმენების ფორმირებაში, თუმცა რთულია იმის დადგენა შემოქმედებითი ადამიანის სელფი მისი პროფესიული წარმატების მიზეზია თუ შედეგი.

### 1.2.1. შემოქმედებითი სელფის კონცეფცია

შემოქმედებით თვითრწმენებთან დაკავშირებით, ბეგეტოსა და კარვოვსკის (2017) მიერ შემოთავაზებულ ნაშრომში შემოქმედებითი სელფი განხილულია, როგორც შემოქმედებითი პიროვნული იდენტობის ერთ-ერთი მდგენელი, შემოქმედებით თვითეფექტურობასა და შემოქმედებით მეტაკოგნიციასთან ერთად. შემოქმედებითი სელფი დანარჩენ კონსტრუქტებთან შედარებით ზოგადია და აფექტური და კოგნიტური რწმენების კომბინაციას წარმოადგენს (Bong & Skaalvik, 2003). შემოქმედებითი თვითეფექტურობა და შემოქმედებითი მეტაკოგნიცია კი მეტწილად კოგნიტური კონსტრუქტებია. შემოქმედებითი სელფი სხვებთან შედარებით და სხვების მიერ მოწოდებულ უკუკავშირზე დაყრდნობით ფორმირდება მაშინ, როცა შემოქმედებითი თვითეფექტურობა კონკრეტულ აქტივობას და პრობლემის გადაჭრის უნარებთან დაკავშირებულ რწმენებს მოიაზრებს. შემოქმედებითი სელფი რეტროსპექტულია - გამოცდილების შეჯამების საფუძველზე იქმნება და შედარებით სტაბილურია. თუმცა, ცალკეული მძაფრი გამოცდილების კვალდაკვალ შესაძლოა შეიცვალოს, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან, ვინც შემოქმედებითი კომპეტენციის ფორმირების ეტაპზე არიან (Kaufman, Beghetto & Dilley, 2016).

### 1.2.2. შემოქმედებითი თვითეფექტურობა

ბეგეტო და კარვოვსკი (2017) შემოქმედებით თვითეფექტურობაზე საუბრისას ზანდურას (1997) მოდელს ეყრდნობიან და განმარტავენ მას, როგორც ადამიანის რწმენას, რომ შეუძლია ეფექტურად გაუმკლავდეს ისეთ პრობლემებს, რომლებიც შემოქმედებით აზროვნებას მოითხოვს. ის კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტულ ამოცანასთან მიმართებაში აქტიურდება და ძირითადად, მომავალზეა

ორიენტირებული. შემოქმედებითი თვითფექტურობა განსაზღვრავს, თუ რამდენად ჩაერთვება ადამიანი კონკრეტულ აქტივობაში, რამდენად დაიხარჯება წამოწყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად და ამოცანის გადაწყვეტის შემდგომ, რამდენად მოინდომებს, რომ ხელახლა ჩაერთოს მსგავსი ამოცანის გადაჭრის პროცესში. თვითფექტურობა უკვე განხორციელებული ქცევის შედეგზეა დამოკიდებული, თუმცა მნიშვნელოვანია ამოცანასთან დაკავშირებული ისეთი სოციო-ფსიქოლოგიური გარემოებების როლიც, როგორცაა კონკრეტული ადამიანის ფიზიოლოგიური მდგომარეობა, სოციალური მხარდაჭერა და მოდელის ქცევებზე დაკვირვება (Beghetto & Karwowski, 2017). შემოქმედებითი თვითფექტურობის ფორმირებას მნიშვნელოვანი გარემომცოვების მხრიდან მიღებული დადებითი უკუკავშირი უწყობს ხელს (Beghetto, 2006). სამსახურში, საქმის შემოქმედებითად შესრულების მოთხოვნამ კი შეიძლება თვითფექტურობის შემცირება გამოიწვიოს (Tierney & Farmer, 2011). მაღალი შემოქმედებითი თვითფექტურობა შემოქმედებითი აქტივობების წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა (Tierney & Farmer, 2002; Tierney & Farmer, 2011). მაღალი შემოქმედებითი თვითფექტურობის წინასწარმეტყველების საშუალებას კი, თავის მხრივ, ისეთი პიროვნული ნიშნები იძლევა, როგორც კეთილსინდისიერება, გამოცდილებისადმი ღიაობა და დაბალი ნევროტიზმია (Karwowski, Lebula, Wisniewska, & Gralowski, 2013).

### 1.2.3. შემოქმედებითი მეტაკოგნიცია

შემოქმედებითი მეტაკოგნიცია ერთი მხრივ, საკუთარ შემოქმედებითობასთან დაკავშირებულ ცოდნას მოიცავს (შემოქმედებითობის თვალსაზრისით არსებული ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ ინფორმაცია), მეორე მხრივ, კონტექსტის შესახებ არსებულ ცოდნას უკავშირდება და მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როდის, სად, როგორ და რატომ უნდა იყო შემოქმედებითი (Kaufman & Beghetto, 2013). მაღალი შემოქმედებითი მეტაკოგნიციის მქონე ადამიანებმა იციან რა შეუძლიათ და იციან, როდის და რისი გაკეთებაა საჭირო შემოქმედებითობის განსავითარებლად და

გამოსავლენად და დროს არ ხარჯავენ ისეთ სფეროში აქტივობაზე, რომელიც მათ უნარებს არ შეესაბამება. შემოქმედებითი მეტაკოგნიცია აწმყოზე ორიენტაციით ხასიათდება და კონკრეტულ სიტუაციაში მოხვედრისას აქტიურდება, რათა განვსაზღვროთ, კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად საჭირო შემოქმედებითი უნარები გვაქვს თუ არა და მიზანშეწონილია თუ არა მათი გამოყენება ამ კონკრეტულ სიტუაციაში. მას შემდეგ, რაც ადამიანი გადაწყვეტს, რომ კონკრეტული პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარი აქვს და თან ღირს ამისთვის ენერჯის დახარჯვა, მეტაკოგნიცია პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს იწყებს და მიღწეული შედეგის შესაბამისად, გარკვეულ ცვლილებებსაც განიცდის. შემოქმედებითი მეტაკოგნიცია ცვლილებას ექვემდებარება, თუმცა რამდენადაც ზოგადი თვითცნობიერებისა და თვითრეგულაციის სისტემებს ეყრდნობა, შედარებით სტაბილურია და კონკრეტულ სიტუაციაშიც, კონკრეტულ პრობლემასთან შეჯახებისას, უმეტესწილად ზოგად სტრატეგიებს ეყრდნობა, რაც ნაკლებ სპეციფიკურ კონსტრუქტად წარმოაჩენს მას (Beghetto & Karwowski, 2017). შემოქმედებითი მეტაკოგნიცია მნიშვნელოვან კავშირშია შემოქმედებით პოტენციალთან და აქტივობებთან. შემოქმედებითი აქტივობა მეტაკოგნიციის გავლენას განიცდის და თვითონაც ახდენს მასზე გავლენას (Lizarraga & Baquedano, 2013).

#### 1.2.4. შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა

შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა განისაზღვრება პიროვნების იდენტობაში შემოქმედებითობისთვის მინიჭებული ადგილით და ასახავს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პიროვნებისთვის საკუთარი თავის, როგორც შემოქმედებითის აღქმა და განხილვა. შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა შემოქმედებით სელფს და შემოქმედებით მეტაკოგნიციას აერთიანებს (Beghetto & Karwowski, 2017). ის დადებითად უკავშირდება სამსახურში გამოვლენილ შემოქმედებითობას (Jaussi, Randel & Dionne, 2007), მაღალ გამოცდილებისადმი ღიაობასა და ექსტრავერსიას და დაბალ ნევროტიზმს. მაღალი კეთილსინდისიერების მქონე კაცები, ასევე, მაღალ ქულებს

აგროვებენ შემოქმედებითი პიროვნული იდენტობის სკალაზე, ხოლო ქალების შემთხვევაში კეთილგანწყობის დაბალი მაჩვენებელი უკავშირდება მაღალ შემოქმედებით პიროვნულ იდენტობას (Karwowski et al., 2013).

შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა სოციალური კონსტრუქტია და სოციალური რეპრეზენტაციის თეორიაზე (Marková, 2003) დაყრდნობით განხილვისას, ავტორები (Glaveanu & Tanggaard, 2014) ხაზს უსვამენ, რომ შემოქმედებითი პროდუქტი თუ პიროვნება სოციალურ აგენტთა (ინდივიდი, ჯგუფი, საზოგადოება) ინტერაქციის/დიალოგის საფუძველზე ფორმირდება. პიროვნება/სელფი შემოქმედებით იდენტობას გარშემომყოფებთან სოციალური ინტერაქციის საფუძველზე იძენს და შემოქმედებითობაში, როგორც საკუთარ, ისე სხვების მიერ ჩადებულ მნიშვნელობას ეყრდნობა. სხვები სოციალური რეპრეზენტაციის თეორიაში ყოველთვის მრავლად არიან და როგორც წესი, შემოქმედებითი იდენტობის ფორმირებაც ამ სხვებთან, სხვადასხვა სიტუაციაში (მაგ. სახლში, სამსახურში, სკოლაში) ინტერაქციის შედეგია.

შემოქმედებითი იდენტობის შინაარსი შესაძლოა სელფის სხვებთან ინტერაქციის პროდუქტი იყოს, თუმცა ის შემოქმედებითობასთან დაკავშირებული სოციალური დისკურსების სახითაც გვეძლევა. შემოქმედებითობასთან დაკავშირებული სოციალური დისკურსები, როგორც კონკრეტული კონსტრუქტის შესახებ საზოგადოებაში გაბატონებული მოსაზრებები, აჩვენებენ, რომ შემოქმედებითობა მეტწილად პიროვნებასთან დაკავშირებული მახასიათებელია და ნაკლებად ხდება (თუმცა ხანდახან ხდება) სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინება. შესაბამისად, შემოქმედებითობის შესწავლისას საჭირო ხდება შემოქმედებითი პიროვნებიდან აქცენტის კონტექსტთან დაკავშირებულ იმ ფაქტორებზე გადატანა, რომლებიც შემოქმედებითი იდენტობის ფორმირებაში მონაწილეობენ:

1. შემოქმედებით ან პოტენციურად შემოქმედებით აქტივობაში ჩართული **სელფი**;
2. **სხვები**, როგორც სელფის მიერ საკუთარი შემოქმედებითობის რეპრეზენტაციისთვის მნიშვნელოვანი და ინტერაქციაში მყოფი აგენტები;

3. შემოქმედებითობის **გაზიარებული გაგება**, რომელიც სელფი-სხვების ინტერაქციის საფუძველზე მოლაპარაკებას/გადახედვას ექვემდებარება;
4. შემოქმედებითობის შესახებ არსებული **სოციალური დისკურსები**, რომლებიც ინფორმაციას გვაწვდიან ამ მოლაპარაკებების შესახებ;
5. შემოქმედებითობის განვითარების პროცესში მყოფი, **დროებითი ტენდენციები**;
6. სელფის მიერ წახალისებული და სოციალურ კონტექსტში გამოვლენილი **იდენტობა** (Glaveanu & Tanggaard, 2014).

მოცემული კომპონენტების საფუძველზე გამოიყოფა სამი სახის შემოქმედებითი იდენტობა: წახალისებული (Promoted), უარყოფილი (Denied) და პრობლემური (Problematic) შემოქმედებითი იდენტობა. პირველი საზოგადოებაში აღიარებულ შემოქმედებთან გვხვდება. მათთან, ვისთვისაც მნიშვნელოვანია სხვებთან ინტერაქცია, სხვების მხრიდან აღიარება და უკუკავშირი, თუმცა, ასევე, მნიშვნელოვანია პირველობა, უნიკალურობა ან განსხვავებულობა (Glaveanu & Tanggaard, 2014). შემოქმედებითი იდენტობის ამ ფორმის შესწავლა სფეროში წარმატებული შემოქმედი ადამიანების ინტერვიუებზე დაყრდნობით ხდება.

უარყოფილი შემოქმედებითი იდენტობის მფლობელებს, განსხვავებით იდენტობის პირველი ფორმისგან (Tanggaard, 2011), შემოქმედებითობა მოეთხოვებათ, მაგრამ მათი შემოქმედებითობა აღიარებული ნაკლებადაა (მაგ. მასწავლებლებთან). პრობლემურ შემოქმედებით იდენტობას შესაძლოა ისეთ ხელოვანებთან შევხვდეთ, რომლებსაც ტრადიციებთან შეხება უწევთ და შემოქმედებითობასთან ერთად, ტრადიციების შენარჩუნებაც მოეთხოვებათ (მაგ. ფოლკლორული ანსამბლის ქორეოგრაფი). შემოქმედებითი იდენტობის ეს ფორმები სოციალური ინტერაქციის საფუძველზე იქმნება და შესაძლოა, დროისა და სივრცის, სოციალური ინტერაქციის ცვლილების შესაბამისად შეიცვალოს. ისინი კონკრეტული შემოქმედებითი იდენტობის მქონე ადამიანის ქცევას განსაზღვრავენ (Glaveanu & Tanggaard, 2014) და ხსნიან ჩაერთვება თუ არა წახალისებული, უარყოფილი ან პრობლემური შემოქმედებითი იდენტობის მქონე ადამიანი შემოქმედებით აქტივობებში, რასაც საბოლოო ჯამში, შემოქმედებით მიღწევამდე მიყვავართ.

აღიარებულ შემოქმედთა სელფის კონცეფციის განხილვისას, ავტორები (Lebula & Csikszentmihalyi, 2017) ცნობილ შემოქმედთა განმასხვავებელ მახასიათებლებს აჯამებენ და აღნიშნავენ, რომ შესაძლოა ხუთი ხედვა გამოიყოს. მათგან პირველი შემოქმედებით საქმიანობას განიხილავს, როგორც პოტენციალის რეალიზებისთვის თავის მიძღვნას. შემოქმედებითი პოტენციალი განხილულია, როგორც ძღვენი, რომლის რეალიზებაც ადამიანს ევალება, თუნდაც ამისთვის პირადი ცხოვრებისა და გართობის მსხვერპლად შეწირვა მოუწიოს. მეორე ტიპი შემოქმედებითი უნარების ქონას, როგორც საზოგადოების წინაშე არსებულ ვალდებულებას განიხილავს, სამყაროს გაუმჯობესების პასუხისმგებლობას გრძნობს და ავლენს მუშაობის პროცესში. მესამე ხედვის მქონეთათვის შემოქმედებითობა ცხოვრების განმსაზღვრელი ფაქტორი და შემოქმედის სელფ-კონცეფციის ცენტრალური მდგენელია. ეს ადამიანები შემოქმედებითობას როგორც პროფესიული საქმიანობის, ისე ყოველდღიური აქტივობების თანმდევ ნაწილად განიხილავენ. შემოქმედებითობა, როგორც გარკვეულ მოთხოვნებთან დაკავშირებული როლი და საქმიანობა, თვითდისციპლინირებულობას, დამარცხებისადმი ტოლერანტობას და გარანტირებული წარმატების გარეშე მოქმედებისთვის საჭირო სიმამაცეს აერთიანებს. ამ, მეოთხე ხედვის მქონე შემოქმედები აცნობიერებენ და აღნიშნავენ, რომ მათი შრომა შესაძლოა სათანადოდ ვერ დაფასდეს, რომ არ არის აუცილებელი ყველას მოსწონდეს და ყველა იღებდეს იმას, რაც მათ შეეძინეს. განსხვავებით წინა პოზიციებისგან, მეხუთე ხედვის მქონე შემოქმედები შემოქმედებითობას განიხილავენ, როგორც დამატებით აქტივობას, ჰობის, ყოველდღიურობისგან თავის დაღწევისა და ეგოისტური იმპულსების დაკმაყოფილების საშუალებას. ამ ადამიანებთან შემოქმედებითობა მეორეხარისხოვანია და შესაძლოა წინა პლანზე ისეთი სფერო დააყენონ, როგორც ოჯახია.

რამდენად არის შესაძლებელი, რომ სხვადასხვა კულტურის (ამ შემთხვევაში ამერიკა და პოლონეთი) წარმომადგენლ შემოქმედებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზიდან მიღებული ეს ინფორმაცია განვიხილოთ, როგორც შემოქმედის როლის შესახებ არსებული უნივერსალური დისკურსი? თუ შემოქმედის როლის და

შემოქმედებითობის შესახებ გაზიარებული შეხედულებები შესაძლოა კულტურიდან კულტურაში იცვლებოდეს?

### 1.3 შემოქმედებითობა და კულტურა

შემოქმედებითობასთან დაკავშირებულ ანთროპოლოგიურ დებატებში შემოქმედებითობა ერთი მხრივ, განიხილება, როგორც უკვე არსებულ მოცემულობათა ქსელში რეალიზებული მოვლენა, მეორე მხრივ კი, როგორც ამ მოცემულობის შემცვლელი რამ. ლიპი (2001) იმპროვიზაციის ინოვაციისგან განსხვავებისას აღნიშნავს, რომ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ყოველდღიურ შემოქმედებითობასთან, რომელიც კულტურაში, სოციალურ გარემოში არსებული კონვენციებით არის შეზღუდული. მეორე კი - ინოვაცია, „ჭეშმარიტი კრეატიულობა“ - მაშინ იჩენს თავს, როცა ახლად აღმოცენებულ, განსხვავებულად მოაზროვნე ჯგუფებსა და კულტურას შორის განსვლას და ამ განსვლის გაცნობიერებას აქვს ადგილი. ასეთ შემთხვევაში, ადგილი აქვს აქამდე დაუკავშირებელ მოვლენათა ურთიერთდაკავშირებას, რაც შემოქმედებითობის ჭეშმარიტობაზე მეტყველებს. იმპროვიზაციის შემთხვევაში აქცენტი შემოქმედებითობის პროცესზე კეთდება, ინოვაციის შემთხვევაში კი - პროდუქტზე (Ingold & Hallam, 2007).

ლინგვისტიკისა და სემიოტიკის სფეროში მომუშავე ანთროპოლოგებიც ცდილობდნენ ახლის ფორმირების ამხსნელი მექანიზმი შემოეთავაზებინათ (Wilf, 2014). თუკი ინდექსურობაზე (Indexicality) შევჩერდებით, ჩანს, რომ ყოველი ახალი ქმედება, პროდუქტი, გამონათქვამი უკვე არსებულ ჟანრებს, გამოთქმებსა და ქმედებათა ნიმუშებზე დაიყვანება (Silverstein, 2005). ამასთან, ინდივიდები „კრეატიულებად“ ან „ტრადიციულებად“ ყოფნის საკუთარ მოთხოვნას ეყრდნობიან და შესაბამისად, აზვიადებენ ან ამცირებენ განსვლას უკვე არსებულ ნიმუშებსა და მათ მიმდინარე ქცევას შორის (Wilf, 2012). შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე კრეატიული აქტივ კი კოლექტივის არტიკულაციებით არის გაშუალებული (Wagner, 1981). თუ იმპროვიზაციას განვიხილავთ იმ პროცესად, რომელიც წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ინოვაციურ პროდუქტს გვაძლევს და თან გავიხსენებთ, რომ იმპროვიზაციის დროს, ადამიანები, კულტურის მიერ შემოთავაზებულ მოცემულობათა მრავალფეროვანი კომბინაციების გზით ქმნიან ინოვაციურ პროდუქტს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ

კულტურა განსაზღვრავს შემოქმედებითობის პროცესსაც და პროდუქტსაც, რაც ჩიქსენტმიჰალის (1999) მიერ შემოთავაზებულ იდეას ეხმიანება.

საინტერესოა, რა მექანიზმების საშუალებით ახდენს გავლენას კულტურა შემოქმედებითობაზე, როგორ ყალიბდება და ვრცელდება კონკრეტული კულტურის წარმომადგენლებში შემოქმედებითობის კულტურული ჩარჩო და „ფორმულა“, რომელიც ქმედების კრეატიულობას განსაზღვრავს?

ბეიტსონი (1967) „დასწავლის სწავლის“ (learning learn) შესახებ არსებულ თეორიაში აღნიშნავს, რომ ადამიანებს შეუძლიათ ისწავლონ წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შექმნან ახალი წესები. ამასთან, შემოქმედებითობაზე კულტურული კონტექსტის გავლენის განხილვისას იკვეთება სირთულე, რომელიც მეტად სტრუქტურირებული გარემოს კრეატიულობას, ავთენტურობასა და სპონტანურობასთან მიმართებას ახლავს თან. მსგავსი სირთულეების დაძლევის მკვლევარები ისეთი ცნებების შემოტანით ცდილობენ, რომლებიც საკითხის დიალექტიკურობას უსვამს ხაზს და ასე ჟღერს: „გავარჯიშებული სპონტანურობა“ (Mahmood, 2005) და „შემოქმედებითობის რიტუალი“ (Wilf, 2012). ამასთან, სოციალიზაციის პროცესში, შემოქმედებითობის დასწავლა, თავისთავად საჭიროებს კულტურაში არსებული წესებისა და შეხედულებების გაშინაგნებას, რაც შემოქმედს საშუალებას აძლევს ამ მოცემულობის გათვალისწინებით და ამავე მოცემულობის ფონზე შექმნას რაღაც ახალი და ორიგინალური (Csikszentmihaly, 1999; Howard, 2009).

ამრიგად, კონტექსტი გავლენას ახდენს შემოქმედებითობაზე და ეს გავლენა, სოციალიზაციის პროცესში, გარკვეული წესებისა და ინფორმაციის გადაცემით რეგულირდება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ პროდუქტის შემოქმედებითად შეფასების კრიტერიუმი არ არის უნივერსალური და ხშირად ის დამოკიდებულია იმ კულტურის წარმომადგენელთა ღირებულებებზე, რომლის ფარგლებშიც იქმნება პროდუქტი (Csikszentmihaly, 1999; Gell, 1998).

#### 1.4. შემოქმედებითობა და პიროვნება

##### 1.4.1. შემოქმედებითობა და ბაზისური პიროვნული ნიშნები

შემოქმედებითობაზე საუბრისას, კულტურისა და იმ კონტექსტის გარდა, რომელშიც ორიგინალური და ეფექტიანი პროდუქტი იქმნება, მნიშვნელოვანია ამ პროდუქტის შემქმნელის პიროვნული მახასიათებლების განხილვა. ცნებაში პიროვნება ინდივიდისთვის დამახასიათებელ და კონსისტენტურ ფსიქოლოგიურ ნიშანთა და მექანიზმთა ერთობლიობა იგულისხმება. ამ ნიშნებისა და მექანიზმების შედარებით მყარი და ორგანიზებული სისტემა გავლენას ახდენს ინდივიდის ინტერაქციასა და ადაპტაციაზე ინტრაფსიქიკურ, ფიზიკურ და სოციალურ გარემოსთან (Larsen & Buss, 2005). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ერთმნიშვნელოვანი შეთანხმება არ არსებობს იმასთან დაკავშირებით თუ რომელი ნიშნები და მექანიზმები იგულისხმება ამ ცნებაში (Batey & Furnham, 2006). სხვადასხვა თეორიულ საფუძველზე შექმნილ პიროვნულ კითხვარებში, განსხვავებული ნიშნების გამოყოფა და გაზომვა, შეფასება ხდება (Batey & Furnham, 2006), რაც თავის მხრივ, პიროვნებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი და განსხვავებული მონაცემებიდან ერთი და შეჯერებული დასკვნის გამოტანას ართულებს.

ამ სირთულეს გვერდს ვერ ავუვლით პიროვნებასა და შემოქმედებითობას შორის კავშირის კვლევათა მიმოხილვის დროსაც. ბარონი (1963) იყო პირველი, ვინც ყურადღება გაამახვილა შემოქმედებით და ნაკლებად შემოქმედებით ადამიანებს შორის არსებულ პიროვნულ განსხვავებებზე. დაბალი ინტელექტისა და მაღალი შემოქმედებითობის მქონე ადამიანებს ის აღწერს, როგორც აფექტურ, აგრესიულ, მომთხოვნ, დამოუკიდებელ პიროვნებებს, რომლებიც ამავდროულად, დომინანტურობით, თავაზიანობის დაბალი მაჩვენებლით, ინიციატივის გამოჩენისკენ სწრაფვით, სარკასტულობით და შთაგონებადობით ხასიათდებიან. მაღალი ინტელექტისა და დაბალი კრეატიულობის მქონე ადამიანის აღსაწერად კი ისეთ

ზედსართავებს იყენებს, როგორც რბილი, ოპტიმისტი, თავაზიანი, წყნარი და „არაეგოსტია“ (Barron, 1963).

შემოქმედებითობასა და ინტელექტს შორის კავშირის კვლევებს შემოქმედებითობის პიროვნული კორელატების კვლევა მოჰყვა. საწყის ეტაპზე, კრეატიული პიროვნების აღსაწერად იყენებდნენ შემდეგ თავისებურებებს - „გამოცდილების ესთეტიკურობის მნიშვნელოვნება, ფართო ინტერესები, სირთულეების და კომპლექსურობის სიყვარული, ენერგიულობა, კრიტიკისგან თავისუფლება, ავტონომიურობა, ინტუიტიურობა, თავდაჯერებულობა, ურთიერთშეუსაბამობათა გადაჭრის უნარი ან მე-კონცეფციაში დაპირისპირებულ, კონფლიქტურ ნიშანთა მორიგების უნარი და ბოლოს, საკუთარი თავის, როგორც შემოქმედებითის აღქმა“ (Barron & Harrington, 1981. P.453).

შემოქმედებითი პიროვნების აღსაწერად იყენებდნენ ისეთ ზედსართავებსაც, როგორცაა აქტიური, სხარტი, ამბიციური, არგუმენტირებაზე ორიენტირებული, არტისტული, ასერტული, საღად მოაზროვნე, ჭკვიანი, კომპლექსური, საიმედო, ცნობისმოყვარე, ცინიკური, მომთხოვნი, ეგოსტი, ენერგიული, ენთუზიასტი, იდეალისტი, წარმოსახვის უნარიანი, იმპულსური, დამოუკიდებელი, ინდივიდუალისტი, გონებამახვილი, ინსაიტიანი, ინტელექტუალი, გამომგონებელი, ორიგინალური, პრაქტიკული, სწრაფი, რეფლექსიის უნარიანი, თავდაჯერებული, მგრძნობიარე, სპონტანური, მრავალმხრივი, არაკონვენციური და თავშეუკავებული (Barron & Harrington, 1981).

შემდგომ წლებში, პიროვნებასა და შემოქმედებითობას შორის კავშირის კვლევა ორი მიმართულებით იშლება - განსხვავებული პროფესიის წარმომადგენელ ჯგუფებს შორის და ერთი პროფესიული ჯგუფის შიგნით, შემოქმედებითობით მეტად და ნაკლებად გამორჩეულ წარმომადგენლებს შორის (Feist, 1998).

არქიტექტორებთან ჩატარებულ კვლევაში ჩანდა, რომ შემოქმედებითი არქიტექტორები, მათ ნაკლებად შემოქმედებით კოლეგებთან შედარებით, ნაკლებად მოკრძალებულები და სოციალიზებულები, ჯგუფზე ნაკლებად ორიენტირებულები

იყვნენ. კვლევა აჩვენებდა, რომ შემოქმედებითობა უფრო მეტად იყო დაკავშირებული აგრესიულობასთან, დომინანტურობასა და ავტონომიურობასთან (Gough, 1957).

ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებთან (კინემატოგრაფია) ჩატარებული კვლევაც ავლენდა, რომ შემოქმედებითობა უფრო უკავშირდებოდა აგრესიულობის ტენდენციას, დაბალ კეთილგანწყობას, ნაკლებ სოციალიზებულობას. ჩანდა, რომ კრეატიული კინემატოგრაფები ნაკლებად ითვალისწინებენ კონვენციებსა და კეთილსინდისიერებას (Domino, 1974).

მოგვიანებით, კვლევებში, სადაც შემოქმედებითობასა და პიროვნებას შორის კავშირით ინტერესდებოდნენ, აქტიურად დაიწყო აიზენკის პიროვნული კითხვარის გამოყენება. აიზენკის (1993, 1995) მიერ გამოყოფილ პიროვნულ ნიშანთაგან (ექსტრავერსია-ინტროვერსია, ნეიროტიზმი - ემოციური სტაბილობა და ფსიქოტიზმი - სუპერეგოს ძალა), შემოქმედებითობის საფუძვლად ავტორი ფსიქოტიზმს განიხილავდა. ის აღნიშნავდა, რომ ფსიქოტიზმი ფსიქოპათოლოგიის საფუძველიც შეიძლება იყოს. ამის არგუმენტი კი ისაა, რომ მაღალი მაჩვენებლები ფსიქოტიზმის სკალაზე უჩვეულო იდეებისა და ფსიქიკური პრობლემების წინაპირობა ხდება. რამდენადაც ფსიქოპათოლოგია უფრო განზომილებაა, ვიდრე კატეგორია (DSM-V), ის შესაძლოა განვსაზღვროთ, როგორც გარკვეულ პიროვნულ ნიშანთა მოჭარბებული გამოვლინება (Eysenck & Eysenck, 1976). შესაბამისად, ნიშანი, რომლის გარკვეული ხარისხით არსებობა შემოქმედებითობის საფუძველია, უკიდურესად მაღალი მაჩვენებლებით გამოვლენის შემთხვევაში და გარკვეულ სტრესულ სიტუაციასთან თანაარსებობისას ფსიქოპათოლოგიის საფუძველიც შეიძლება გახდეს (Eysenck, 1993).

ფსიქოტიზმისა და შემოქმედებითობის განსხვავებულ ასპექტებს შორის კავშირის კვლევათა მიმოხილვისას (Batey & Furnham, 2006) ჩანს, რომ შედეგები ერთმნიშვნელოვანი არ არის - ფსიქოტიზმი ზოგან შემოქმედებითობას, როგორც ნიშანსაც უკავშირდება და მიღწევასაც, ზოგან კი ამ კავშირის მნიშვნელოვნება არ დასტურდება. ასევე, საშუალო დონით გამოვლენილი ორიგინალურობა შესაძლოა შემოქმედებითობის ინდიკატორი იყოს მაშინ, როცა უკიდურესად მაღალი

ორიგინალურობა ფსიქოტიზმსა და ისეთ დარღვევებს უკავშირდება, როგორც შიზოფრენია - უკიდურესად უცნაური და უნიკალური პასუხები დაკავშირებულია ფსიქოტიზმთან და ფსიქოპათიურ დევიაციასთან მაშინ, როცა საშუალოდ უჩვეულო პასუხები შემოქმედებითობასა და განვითარებულ ვერბალურ უნარებს უკავშირდება (Upmanyu, Bhardwaj & Singh, 1996). შესაბამისად, ფსიქოტიზმი შემოქმედებითობის ხელშემწყობი იმით ხდება, რომ ადამიანს არსებული ნორმებისადმი წინააღმდეგობის გაწევისკენ უბიძგებს. ეს შედეგები ფსიქოტიზმის ანტისოციალურ ქცევასა და დაბალ კონფორმულობასთან კავშირის ამხსნელიც შეიძლება იყოს (Batey & Furnham, 2006).

შემოქმედებით ადამიანებს სტიმულაციისადმი გადაჭარბებულად მაღალი მგრძობელობა ახასიათებთ და ამასთან, მათ ინჰიბიციის დაბალი დონე აქვთ (Martendale, 1999). ისინი სტიმულის მრავალ და განსხვავებულ მხარეს აქცევენ ყურადღებას და შესაბამისად, ახალ და განსხვავებულ ასოციაციებს ქმნიან. რაც შესაძლოა შემოქმედებით ადამიანს ფსიქოპათოლოგიის მქონეს ამსგავსებდეს, თუმცა მსგავსებასთან ერთად, მნიშვნელოვანია განსხვავებების ხაზგასმა - შემოქმედებითი ადამიანები მოქმედებენ განზრახვის საფუძველზე მაშინ, როცა ფსიქიკური პრობლემების მქონე ინდივიდებისთვის რთულია, და ხშირად წარმოუდგენელიც, საკუთარი უჩვეულო, ორიგინალური და ექსცენტრული პასუხების კონტროლი (Merten & Fischer, 1999), მათ აზრადაც არ მოსდით, რომ მათი იდეები ორიგინალურია.

თუკი აიზენკის (1995) მიერ შეწყნარებული იდეა შემოქმედებითობასა და ფსიქოპათოლოგიას შორის კავშირის შესახებ ათწლეულების განმავლობაში დომინირებდა და გარკვეულ ახსნასა და განვრცობასაც პოულობდა, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები (მაგ. Maslow, 1971) - მიიჩნევდნენ, რომ შემოქმედებითი ადამიანები მეტად თვითაქტუალიზებულნი არიან. ამ პოზიციის მომხრეები თვლიდნენ, რომ ფიზიკური ჯანმრთელობიდან გამომდინარე, შემოქმედებითი ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ უფრო მაღალია. თუმცა ამ მონაცემებს უპირისპირდება ის კვლევები, სადაც კრეატიულობა პოზიტიურად კორელირებს ალკოჰოლიზმთან (Nobel, Runco & Ozkaragoz, 1993), სუიციდთან და სტრესთან (Runco, 2004).

თვითაქტუალიზებულობისა და ფსიქოტიზმის გარდა, პიროვნულ ნიშანთა განხილვისას ჩანს, რომ ნიჭიერი და წარმატებული ხელოვანები, მათ ნაკლებად ნიჭიერ კოლეგებთან შედარებით მაღალ ქულებს აგროვებენ ნევროტიზმის და ინტროვერსიის სკალებზე (Gotz & Gotz, 1973). ზოგან კი შემოქმედებითობასთან მნიშვნელოვან კავშირს მხოლოდ ექსტრავერსია ავლენს ( $r=.14$ ) (Furnham & Bachtiar, 2008).

აიზენკის მიერ გამოყოფილი სუპერ ფაქტორებიდან სამივე მნიშვნელოვანია, მხოლოდ კონკრეტული სფეროს გათვალისწინებით. ასე მაგალითად, ექსტრავერსია ხელს უწყობს დივერგენტულ აზროვნებას და ქმედებას იმ სფეროებში, სადაც სოციალური ინტერაქციაა მნიშვნელოვანი. საპირისპიროდ, ინტროვერსია მნიშვნელოვანია იმ სფეროებში, სადაც ინტროსპექციაა საჭირო (Eysenck & Graydon, 1989). ნეიროტიზმი ხელოვანებთან, მსახიობებთან ემოციური გარდასახვის ხელშემწყობი შეიძლება იყოს. რაც შეეხება ფსიქოტიზმს, ის დაკავშირებულია არა მხოლოდ ყურადღების დეფიციტთან, რაც იდეათა უჩვეულო კომბინაციების მოფიქრების ალბათობას ზრდის, არამედ არაკონფორმულობასთანაც, რაც შემოქმედს ეხმარება საზოგადოებაში გაბატონებული აზრის, ბრბოს წინააღმდეგ სვლაში (იხ. Sternberg & Lubart, 1992; Sternberg, 2006).

არსებული ტრადიციებიდან გადახვევა მოხდა 1980, 1990-იან წლებში, როცა პიროვნების ახლებურად კონცეფტუალიზაცია სცადეს. დიდ ხუთეულში ან იგივე პიროვნების ხუთფაქტორიან მოდელში (NEO; Costa & McCrae, 1992) გამოყოფილია ხუთი პიროვნული ნიშანი - ნევროტიზმი, ექსტრავერსია, გამოცდილებისადმი ღიაობა, კეთილგანწყობა და კეთილსინდისიერება. მკვლევრებმა შემოქმედებითი პიროვნების შესწავლა სწორედ ამ პიროვნულ ნიშნებთან მიმართებაში დაიწყეს. დროთა განმავლობაში პიროვნების ეს კონცეფცია პოპულარული გახდა, შემოქმედებითობის კვლევაც განვითარდა და მათი ურთიერთმიმართების განხილვა ტრადიციად იქცა.

მას შემდეგ, რაც დიფერენციალური ფსიქოლოგიის არენაზე ხუთი პიროვნული ნიშანი და ამ ნიშნების გასაზომად შემუშავებული დიდი ხუთეულის კითხვარი გამოჩნდა, შემოქმედებითობის პიროვნული კორელატების განსაზღვრის შესაძლებლობა

გაიზარდა. ამ მიმართულებით ჩატარებულ კვლევათა მიმოხილვისას (Batey & Furnham, 2006) ჩანს, რომ ვერბალური შემოქმედებითობა მნიშვნელოვნად კორელირებს ექსტრავერსიასთან და გამოცდილებისადმი ღიაობასთან. მნიშვნელოვანია კორელაცია შემოქმედებით აქტივობასა და გამოცდილებისადმი ღიაობას შორის. ამასთან, შემოქმედებითობა ნეგატიურად უკავშირდება კეთილგანწყობას. რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ მხოლოდ გამოცდილებისადმი ღიაობაა შემოქმედებითობის მნიშვნელოვანი პრედიქტორი (Jauk et al., 2014). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედებითობასა და დიდი ხუთეულის პიროვნულ ნიშნებს შორის კავშირის არსებობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ ინსტრუმენტს ვიყენებთ შემოქმედებითობის გასაზომად.

კვლევაში (Martindale & Dailey, 1996), სადაც შემოქმედებითობის შესაფასებლად, დივერგენტული აზროვნების საზომები და ფანტაზიაზე დაყრდნობით ისტორიების შეთხზვის მეთოდი გამოიყენებოდა, არ გამოვლინდა მნიშვნელოვანი კავშირი გამოცდილებისადმი ღიაობასთან. ხოლო დივერგენტულ აზროვნებასა და ექსტრავერსიას შორის კავშირი კი მნიშვნელოვანი იყო.

თუმცა, საერთო ჯამში, შემოქმედებითობის ყველაზე მნიშვნელოვანი კორელატი გამოცდილებისადმი ღიაობაა (Batey & Furnham, 2006; Jauk et al., 2014). ნიშანი, რომელიც ადამიანებს განასხვავებს ერთმანეთისგან ესთეტიკური ღირებულებების, ფანტაზიის, განცდების, მოქმედებებისა და სიახლისა და ინტელექტუალურ გამოცდილებასთან დაკავშირებული იდეების თვალსაზრისით. არსებობს მოსაზრება, რომ გამოცდილებისადმი ღიაობა შემოქმედებითობის თვითანგარიშის საზომია და უკეთესი იქნება ამ ნიშანს „შემოქმედებითობა“ ერქვას (Chamorro-Premuzic & Furnham, 2005). კვლევებში ჩანს გამოცდილებისადმი ღიაობის კავშირი შემოქმედებითობის სხვადასხვა ასპექტთან; ის ნახატებზე დაფუძნებულ ავტობიოგრაფიულ ისტორიათა იმპროვიზებას უკავშირდება, მონათხრობის მდიდრულობა ესთეტიურ ღიაობასთან ასოცირდება კაცების და იდეებთან დაკავშირებულ ღიაობასთან - ქალების შემთხვევაში. ქალებთან, მონათხრობის სიმდიდრე დაკავშირებულია ნევროტიზმთან (Dollinger & Clancy, 1993). აღსანიშნავია, რომ ვერბალური შემოქმედებითობა პოზიტიურად არის დაკავშირებული

ექსტრავერსიასთან და გამოცდილებისადმი ღიაობასთან და უარყოფითად - კეთილგანწყობასთან (King, Walker & Broyles, 1996).

ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენლებთან, შემოქმედებითობისა და პიროვნულ მახასიათებელთა კავშირის კვლევები აჩვენებს, რომ მეცნიერები და არა მეცნიერები ერთმანეთისგან განსხვავდებიან გამცოდინებისადმი ღიაობის, ექსტრავერსიისა და კეთილსინდისიერების თვალსაზრისით. ნიშნები, რომლებიც შემოქმედებით მეცნიერებს განასხვავებს ნაკლებად შემოქმედებითისგან ექსტრავერსია და გამოცდილებისადმი ღიაობაა. ასევე, მსახიობები, არა მსახიობებთან შედარებით, ერთი სტანდარტული გადახრით დაბალ ქულებს იღებენ კეთილსინდისიერების სკალაზე და ნახევარი სტანდარტული გადახრით მაღალს - გამოცდილებისადმი ღიაობის სკალაზე (Feist, 1998).

ამასთან, ზოგიერთი პიროვნული ნიშანი ორივე ჯგუფში გვხვდება. ასე მაგალითად, შემოქმედებითი მეცნიერები და ხელოვანები გამოირჩევიან გამოცდილებისადმი ღიაობით, ნაკლებად კონვენციურობი, კეთილსინდისიერები და უფრო თავდაჯერებულები, თვითმიმღებლები, მოტივირებულები, ამბიციურები, დომინანტურები, მტრულები და იმპულსურები არიან. ხელოვანები უფრო აფექტურები, ემოციურად არასტაბილურები, ნაკლებად სოციალიზებულები და ჯგუფის ნორმების ნაკლებად მიმღებლები არიან, ვიდრე მეცნიერები. მეცნიერები უფრო კეთილსინდისიერები არიან, ვიდრე ხელოვანები (Feist, 1999). სწორედ ეს მონაცემები მოწმობს, რომ შემოქმედებით ადამიანთა პიროვნული მახასიათებლების განსაზღვრა რთულია, რამდენადაც მხოლოდ შემოქმედებითობის მაჩვენებელი არ არის საკმარისი და საჭიროა იმ სფეროს ცოდნაც, რომელშიც მოღვაწეობს ადამიანი.

გამოცდილებისადმი ღიაობის, კეთილსინდისიერების და სამუშაო გარემოს შემოქმედებით ქცევაზე გავლენის კვლევაში (George & Zhou, 2001) გამოჩნდა, რომ შემოქმედებითი პოტენციალი რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. აღმოჩნდა, რომ შემოქმედებითად შეფასებული ქცევა უმაღლესია, როცა ინდივიდები მაღალი გამოცდილებისადმი ღიაობით, ისეთ დავალებას ასრულებდნენ, რომელსაც ნაკლებად

ცხადი მოთხოვნები აქვს, ან ასრულებდნენ ისეთ პირობებში, სადაც მისაღწევი შედეგი - ბუნდოვანი, უკუკავშირი კი პოზიტიურია. ასევე, საქმიანობის უშუალო მონიტორინგის პირობებში, თუკი თანამშრომელთა შემოქმედებითობისკენ მოწოდება არ ხდება, მაღალი კეთილსინდისიერება შემოქმედებითობის შემაკავებელ ფაქტორად გვევლინება.

55 წლიანი ლონგიტუდური კვლევის შედეგები, სადაც 14 სხვადასხვა აკადემიური დეპარტამენტიდან 80 მამაკაცი მონაწილეობდა, აჩვენებდა, რომ პიროვნული ნიშნები 27 წლის ასაკში, წინასწარმეტყველებს ორიგინალურობასა და შემოქმედებით მიღწევას 72 წლის ასაკში მაშინაც კი, როცა პოტენციალი და უნარი გაკონტროლებული იყო (Feist & Barron, 2003).

შემოქმედებითი მიღწევის პროგნოზირების საშუალებას გამოცდილებისადმი ღიაობის გარდა ინტელექტიც იძლევა, შემოქმედებითი აქტივობებიც და პოტენციალიც, თუმცა შემოქმედებითი პოტენციალის ქულათა განაწილებისგან განსხვავებით, შემოქმედებითი მიღწევების ქულათა განაწილება ნორმალური არ არის (Eysenck, 1995; Jauk et al., 2014), რაც აჩვენებს, რომ შემოქმედებითი მიღწევებისთვის მხოლოდ პოტენციალის ქონა საკმარისი არ არის და საჭიროა დამატებით ისეთი ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანს ამ პოტენციალის რეალიზებაში, მიღწევადაც ქცევაში.

#### 1.4.2. შემოქმედებითობა და სოციალურად ავერსიული პიროვნული ნიშნები

როგორც ვხედავთ, შემოქმედებითი ადამიანები გამოცდილებისადმი ღიაობით, ავტონომიურობით, საკუთარი ძალების რწმენით გამოირჩევიან (Feist, 1998). სამსახურში, როგორც ფასაუდებელი კადრები (Horn & Salvendy, 2009) ინოვაციურობის, ეფექტურობისა და წარმატების წინაპირობებს ქმნიან (Amabile, 1988; Lee, Rho, Kim, & Jun, 2007), რაც შემოქმედებითობის წახალისებისა და განვითარების მნიშვნელობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

თუმცა, კრეატიულობა ყოველთვის სასურველ შედეგებს არ უკავშირდება (მაგ. Cropley, 2010) და არც გარშემომყოფების მხრიდან არის ყოველთვის დადებითად

შეფასებული (Ng & Smith, 2004; Westby & Dawson, 1995) - კრეატიული სტუდენტები მათ „კარგ“ თანატოლებთან შედარებით, კეთილგანწყობის დაბალი მაჩვენებლით და არაკეთილსინდისიერებით ხასიათდებიან (Karwowski, 2010). შემოქმედებითობა ამბიციურობას, დომინანტურობას, იმპულსურობასა და არსებული ნორმების ეჭვქვეშ დაყენების ტენდენციას უკავშირდება (Feist, 1998). შემოქმედებითი სტუდენტებისთვის ეს არაკონვენციურობა და ორიგინალურობა შესაძლოა რისკთანაც იყოს დაკავშირებული, რამდენადაც შეცდომის დაშვების, დამარცხების შანსი არსებობს (Runco, 2019). ამდენად, კრეატიულობის გამოვლენა რისკიანობასაც გულისხმობს (Runco, 2019), რაც მედიდურობასთან (Silvia, Kaufman, Reiter-Palmon, & Wigert, 2011), მტრულობასა და არაკონფორმულობასთან ერთად, კრეატიული პიროვნების განმასხვავებელი ნიშანია (Feist, 1999). ეს ადამიანები კონფლიქტის მოგვარების პროცესში ამორალურობას (Beaussart, Andrews, & Kaufman, 2013), აგრესიულობასა და არადისციპლინირებულობას ავლენენ (Butcher & Niec, 2005; Lee & Dow, 2011), არაკეთილსინდისიერად იქცევიან (Gino & Ariely, 2012) და შეუძლიათ მთელი რიგი ორიგინალური ტყუილების მოფიქრება (Walczyk, Runco, Tripp, & Smith, 2008).

შემოქმედებითი პიროვნებისთვის დამახასიათებელი, ეს სოციალურად ავერსიული მახასიათებლები ბნელი ტრიადის კომპოზიტშიც გვხვდება. ბნელ ტრიადას ნარცისიზმის, მაკიაველიზმისა და ფსიქოპათიის კომბინაცია ქმნის (Paulhus & Williams, 2002). ამ პიროვნული მახასიათებლებით გამორჩეული ადამიანები შარმიანი, ასერტული და ეგექტური ლიდერები არიან (Jonason, Slomski, & Partyka, 2012), თუმცა მათი ეგექტურობა არ ვლინდება ხანგრძლივ ინტერპერსონალურ ურთიერთობებში (მაგ. Koladich & Atkinson, 2016), რაც შესაძლოა სოციალური სტანდარტების მიმართ მათი დაუმორჩილებლობით იყოს გამოწვეული. ბნელი ტრიადის ნიშნებით გამორჩეულ ადამიანთა ისეთი მახასიათებლები, როგორცაა არაკონფორმულობა, არაპროგნოზირებადობა, გაზვიადებულად მაღალი თვითრწმენა და მანიპულატორობა (Paulhus & Williams, 2002), ამავდროულად, კრეატიულ ადამიანთა ცენტრალურ მახასიათებლებად ითვლება, რაც ზოგიერთ მკვლევარს იმასაც კი აფიქრებინებს, რომ

შემოქმედებითობასა და ამ სოციალურად ავერსიულ პიროვნულ ნიშნებს, შესაძლოა საერთო ნეიროფსიქოლოგიური მექანიზმი ჰქონდეთ (Galang, 2010).

ნარცისიზმის ცენტრალური მახასიათებლები - საკუთარი თავის მნიშვნელოვნად მიჩნევისა და უპირატესობის განცდა - ექსტრავერსიასა და ემოციურ სტაბილურობასთან კომბინაციაში გრანდიოზულ ნარცისიზმს ქმნის. ინტროვერსიასა და ნევროტულობასთან კომბინაციაში კი - მოწყვლად ნარცისიზმს (Krizan & Herlache, 2018; Miller, Lynam, McCain, Few, Crego, Widiger, & Campbell, 2016). მაღალი გრანდიოზული ნარცისიზმის მქონე ადამიანები საკუთარ თავს კრეატიულად თვლიან (Dahmen-Wassenberg et al., 2016; Furnham, Hughes, & Marhsall, 2013; Goncalo, Flynn, & Kim, 2010; Jonason et al., 2017; Jonason et al., 2015), თუმცა მათი კრეატიულობა, არც შემოქმედებით ქცევაში ვლინდება და არც სხვების მხრიდან არის აღიარებული (Dahmen-Wassenberg et al., 2016; Goncalo et al., 2010) მანამ, სანამ ენთუზიაზმი და ქარიზმა, რომლის დახმარებითან ნარცისები არეკლამებენ თავიანთ იდეებს არ უბიძგებს შემფასებელს, რომ ეს იდეები კრეატიულად ჩათვალოს (Goncalo et al., 2010). ნარცისიზმის სკალაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ადამიანები ამბობენ, რომ შემოქმედებითი მიღწევები ბლომად აქვთ (Galang et al., 2016), ამასთან ეს ადამიანები ისეთ მახასიათებლებსაც ფლობენ, როგორცაა ამბიციურობა, ემოციური სტაბილურობა, მოტივირებულობა (Martinsen, Arnulf, Furnham, & Lang-Ree, 2019), რაც შესაძლოა, კრეატიული პოტენციალის არარსებობის შემთხვევაშიც, ხელს უწყობდეს მათ კრეატიულ სფეროში გარკვეული წარმატების მიღწევაში (Dahmen-Wassenberg et al., 2016; Goncalo et al., 2010). გრანდიოზულ ნარცისიზმსა და კრეატიულ მიღწევებს შორის არსებული დადებითი კავშირი შესაძლოა აიხსნას ნარცისების დაუცხრომელი სურვილით აღიარონ და დააფასონ გარშემომყოფებმა, რაც თავის მხრივ, შესაძლოა კრეატიულ აქტივობებში ხშირად ჩართვის მიზეზი გახდეს, სანაცვლოდ მიღებულმა დადებითმა უკუკავშირმა კი ნარცისული ტენდენციების გაძლიერებას შეუწყოს ხელი (Jauk & Sordia, 2018).

მაკიაველიზმი მოიცავს ადამიანის ტენდენციას იყოს არაემოციური, არაკონვენციური და შესაბამისად, საკუთარი მიზნების მისაღწევად გარშემომყოფების გამოყენების უნარიანი (Christie & Geis, 1970). ეს ადამიანები კეთილსინდისიერებისა და

კეთილგანწყობის სკალაზე დაბალ, ხოლო ნევროტიზმის სკალაზე მაღალ ქულებს აგროვებენ (O'Boyle, Forsyth, Banks, Story, & White, 2014; Vernon, Villani, Vickers, & Harris, 2008). მაკიაველიზმით გამორჩეული ადამიანები, როგორც სტრატეგიული მანიპულატორები, გამორჩეული ფსიქიკური შესაძლებლობების მქონეებად ითვლებიან (Jones & Paulhus, 2017). დივერგენტული აზროვნების შესაფასებელ ტესტებში მათ მიერ გაცემული პასუხების შინაარსი მეტწილად ზიანის გამოწვევას უკავშირდება (Jonason et al., 2017; Kapoor, 2015), გარკვეულ სფეროებში საკუთარ კრეატიულობას მაღალი ქულებით აფასებენ (Galang et al., 2016; Jonason et al., 2015), თუმცა კრეატიულ პოტენციალს (იდეათა სიუხვის სახით) არ ავლენენ (Jonason et al., 2017), ან დაბალ ქულებს იღებენ დივერგენტული აზროვნების შესაფასებელ ამოცანებში (Dahmen-Wassenberg et al., 2016). თუმცა მაკიაველიზმისა და ფსიქოპათიის კორელაციები განსხვავდება ერთმანეთისგან, (Jones & Paulhus, 2017), ზოგიერთი მეტა-ანალიტიკური კვლევა კიდევ ერთხელ აცოცხლებს იდეას, რომლის მიხედვითაც ეს ორი ნიშანი ერთი მედლის მხარეებს ქმნიან, სადაც მაკიაველიზმი შესაძლოა ფსიქოპათიის ასპექტად განვიხილოთ, თუმცა პირიქით - არა (O'Boyle et al., 2014; Vize, Lynam, Collison, & Miller, 2018).

ფსიქოპათია „ბნელ“ პიროვნულ ნიშნებს შორის ყველაზე ბნელად ითვლება იმდენად, რამდენადაც ის კრიმინალს და ანტისოციალურ ქცევას (Neumann, Hare, & Pardini, 2015), თაღლითობას (Jones & Paulhus, 2017), ინტერპერსონალურ ანტაგონიზმს და სტიმულის მამიებლობას უკავშირდება (იხ. Hare & Neumann, 2008). ეს ადამიანები დაბალი კეთილგანწყობით, კეთილსინდისიერებითა (O'Boyle et al., 2014) და მაღალი რისკიანობით ხასიათდებიან (Malesza & Ostszewski, 2016). ფსიქოპათიური ტენდენციის მქონე ადამიანები საკუთარ თავს აღწერენ, როგორც სხვებთან შედარებით მეტად კრეატიულს, განსაკუთრებით ისეთ სფეროში, როგორცაა მაგალითად, მეცნიერება და აღნიშნავენ, რომ კრეატიული მიღწევები იუმორსა (Jonason, Richardson, & Potter, 2015) ან არქიტექტურაშიც აქვთ (Galang et al., 2016). მიუხედავად ამისა, ფსიქოპათია ნეგატიურად უკავშირდება შემოქმედებით პოტენციალს (დივერგენტულ აზროვნებას) (Dahmen-Wassenberg et al., 2016; Jonason et al., 2017). ასევე, ჩანს, რომ ფსიქოპათიის სკალაზე

მაღალი ქულების მქონე ადამიანები თავიანთ პოტენციალს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნეგატიური მიზნებისთვის იყენებენ (Kapoor, 2015).

#### 1.4.3. შემოქმედებითობა და ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული ნიშნები

გარშემომყოფებზე გავლენის მოხდენის უნარი არა მხოლოდ ბნელი ტრიადით გამორჩეულ ადამიანებს აქვთ. კვლევების თანახმად (მაგ. Petrides & Furnham, 2000), მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანებს შეუძლიათ როგორც საკუთარი, ისე სხვების ემოციების გაგება და მართვა. ერთი მხრივ, ემოციური ინტელექტი განიხილება, როგორც უნარი - ზოგადი ინტელექტის სპეციფიკური სახე (Mayer & Salovey, 1993), მეორე მხრივ, როგორც პიროვნული ნიშანი, რომელიც საკუთარ და გარშემომყოფთა ემოციებთან გამკლავების შესაძლებლობებს უკავშირდება (Petrides & Furnham, 2003). ემოციური ინტელექტი, როგორც ნიშანი ემოციურ თვითაღქმათა ერთობლიობაა, რომელიც პიროვნულ მახასიათებელთა იერარქიის საფუძველში მდებარეობს და პიროვნების აფექტურ მხარეს უკავშირდება (Petrides, Pita, & Kokkinaki, 2007). ის ოთხი ფაქტორის ქვეშ გაერთიანებულ თხუთმეტ ასპექტს მოიცავს. ეს ფაქტორებია: კარგად ყოფნა/დისპოზიციური ოპტიმიზმი, თვითკონტროლი, ემოციურობა და სოციალურობა (Petrides, 2009). კარგად ყოფნა ისეთ ასპექტებს მოიცავს, როგორცაა ბედნიერება და ოპტიმიზმი, როგორც პიროვნული ნიშნები და თვითშეფასება. ამ ფაქტორზე მაღალი ქულის მქონე ადამიანები თავდაჯერებულები, წარმატებულები არიან, პოზიტიური ემოციებითა და ცხოვრებით კმაყოფილებით ხასიათდებიან და მეტწილად ცხოვრების ნათელ მხარეზე ამახვილებენ ყურადღებას (Baudry, Grynberg, Dassonneville, Lelorain, & Christophe, 2018; Petrides et al., 2007; Petrides, 2009). თვითკონტროლის ფაქტორი მოიცავს ემოციათა რეგულაციის, სტრესისა და იმპულსის მართვის ასპექტებს. მაღალი თვითკონტროლის მქონე ადამიანები საკუთარი ემოციების მართვის უნარით ხასიათდებიან და შეუძლიათ გარემოს სტრესორებისა და მოთხოვნებისთვის წინააღმდეგობის გაწევა (Baudry et al., 2018; Petrides et al., 2007). ემოციურობა ემოციათა აღქმის, ემოციათა გამოხატვის, ურთიერთობისა და ემპათიის

ასპექტებს მოიცავს და საკუთარი და სხვების გრძნობების, სხვისი პერსპექტივის გაგების, კომუნიკაციისა და სრულფასოვანი ურთიერთობების ფორმირებისთვის ემოციების მიზანშეწონილად გამოყენების უნარს უკავშირდება (Baudry et al., 2018; Petrides et al., 2007). და ბოლოს, სოციალურობა მოიცავს ასერტულობის, ემოციათა მართვისა და სოციალური ცნობიერების ასპექტებს. მაღალი სოციალურობით გამორჩეული ადამიანები, როგორც პირად ურთიერთობებში, ისე პროფესიულ გარემოში სოციალური ქსელების ფორმირებისა და მართვის უნარებს ფლობენ, შეუძლიათ ასერტულები და პირდაპირები იყვნენ ურთიერთობისას და გავლენა მოახდინონ გარშემომყოფების გრძნობებზე (Baudry et al., 2018; Petrides et al., 2007).

ემოციური ინტელექტი ზოგადი ფუნქციონირების ეფექტიანობას განაპირობებს (Dawson, Kettler, Burton, & Galletly, 2012; O'Boyle, Humphrey, Pollack, Hawver, & Story, 2011), დელიქვენტური და აგრესიული ქცევის შემცირებას უკავშირდება (Santesso, Reker, Schmidt, & Segalowitz, 2006) და სკოლაში პროსოციალური ქცევის მასტიმულირებელიც ხდება (Petrides, Sangareau, Furnham, & Frederickson, 2006). ემოციური ინტელექტი, როგორც ნიშანი საშუალო სიძლიერით უკავშირდება (Parker, Summerfeldt, Hogan, & Majeski, 2004; Parker, Creque, Barnhart, Harris, Majeski, Wood, & Hogan, 2004) დაბალი IQ-ს მქონე მოსწავლეების აკადემიურ ქცევას. ამ მოსწავლეებს ემოციური ინტელექტი ეხმარება იმ გამოწვევებთან გამკლავებაში, რომელსაც ისინი თავიანთი კოგნიტური შესაძლებლობებით ვერ უმკლავდებიან (Petrides, Frederickson, & Furnham, 2004).

გარდა იმისა, რომ მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანები წარმატებულები არიან სკოლასა თუ სამსახურში, ემოციათა გაგების და მართვის ეს უნარი კრეატიულობასაც უკავშირდება (Ivcevic, Brackett, & Mayer, 2007; Sanchez-Ruiz, Hernandez-Torrano, Perez-Gonzalez, Batey, & Petrides, 2011). ემოციური ინტელექტი, როგორც ნიშანი შესაძლოა განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი იმ ფაქტორებიდან, რომლებიც ადამიანს ეხმარება გარშემომყოფების ემოციებსა და შეხედულებებზე გავლენის მოხდენაში და შედეგად, მათი მხრიდან აღიარების მოპოვებაში.

ადამიანებს ემოციურ სფეროში არსებული შემოქმედებითობის მაღალი მაჩვენებლით, ახასიათებთ ახალი, ეფექტიანი და აზრიანი/სასარგებლო ემოციების კომბინაციათა განცდის უნარი და ამ ემოციების შემდგომი გამოკვლევისთვის მზაობა (Averill & Thomas-Knowles, 1991). ავერილის (1999) მიხედვით ემოციური კრეატიულობის პირველი და უმთავრესი კრიტერიუმი სიახლეა. სიახლე ემოციის უნიკალურობას გულსიხმობს, სადაც ემოცია ინდივიდის გამოცდილებასთან მიმართებაში ახალია ან არ არის ტიპური კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლებისთვის. ექსცენტრიული ემოციების ჭეშმარიტად ახალი ემოციებისგან განსხვავებაში გვეხმარება მეორე კრიტერიუმი - ეფექტიანობა, რაც კონკრეტული ინდივიდისთვის ან ჯგუფისთვის ემოციის მიერ მოტანილ პოტენციურ სარგებელს გულისხმობს. ახალი და ეფექტიანი ემოცია არ არის კრეატიული მანამ, სანამ არ დადგინდება, რომ ის ამავდროულად, კონკრეტული პიროვნებისთვის სპეციფიკურიც არის. ამ მესამე კრიტერიუმს ავთენტურობა ეწოდება. ასევე, საკუთარი და სხვების ემოციებისთვის ყურადღების დათმობა, მათი გაგების მცდელობა, საკუთარი თავის ემოციურად განვითარების ტენდენცია ერთიანდება მეოთხე კრიტერიუმში, რომელსაც მზაობა ეწოდება.

ემოციური კრეატიულობის განვითარებას ხელს უწყობს ისეთი გარემო, რომელიც ადამიანებს ავტონომიურობისა და კომპეტენტურობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში ეხმარება (Moltafet, Firoozabadi, & Pour-Raisi, 2018). ემოციური კრეატიულობა და მისი ასპექტები ისეთ პოზიტიურ განცდებთან ასოცირდება, რაც ახლავს მაღლიერებას, იმედს, სიყვარულს, სიამაყეს, ინსპირაციას, ინტერესსა და კმაყოფილებას. ეს განცდები ემოციურ კრეატიულობასა და ინტერნალურ მოტივაციას შორის კავშირში მედიატორის როლს თამაშობენ და ემოციურ კრეატიულობასა და აკადემიურ საქმიანობაში ჩართულობას შორის კავშირსაც აშუალებენ (Oriol, Amutio, Mendoza, Da Costa, & Miranda, 2016). ემოციური კრეატიულობა შემოქმედებით აქტივობებსა (Martskvishvili, Abuladze, Sordia, & Neubauer, 2017) და თვითანგარიშის კითხვარებით შეფასებულ კოგნიტურ კრეატიულობას უკავშირდება (Averill & Thomas-Knowles, 1991; Ivcevic et al., 2007), თუმცა არაა დაკავშირებული კრეატიულ

პოტენციალთან (Ivcevic et al., 2007; Martskvishvili et al., 2017). რამდენადაც მაღალი ემოციური კრეატიულობის მქონე ადამიანები ორიგინალურ ემოციებს, როგორც ვერბალურად, ისე არავერბალურად გამოხატავენ (Gutbezahl & Averill, 1996), ეს მახასიათებელი შესაძლოა დაეხმაროს მათ პროდუქტის ისე შეფუთვაში, საზოგადოებისთვის ისე მიწოდებაში, რომ ამ უკანასკნელმა აღიაროს პროდუქტის შემოქმედებითობა.

#### 1.4.4. შემოქმედებითობა და პერფექციონიზმი, როგორც პიროვნული ნიშანი

პერფექციონიზმი მრავალასპექტიანი პიროვნული ნიშანია, რომელიც უკიდურესად მაღალი მიზნების მიღწევის, ცხოვრების ყველა სფეროს უშეცდომოდ გავლის ტენდენციითა და უკიდურესი თვითკრიტიკულობით ხასიათდება (Frost, Marten, Lahart, & Rosenblate, 1990; Hewitt & Flett, 1991). ეს პიროვნული ნიშანი, ერთი მხრივ - შფოთვისა და დეპრესიულობას, მეორე მხრივ კი აკადემიურ და სპორტულ სფეროში არსებულ წარმატებებს უკავშირდება (Egan, Wade, & Shafran, 2011; Hewitt & Flett, 1991). ჩანს, რომ პერფექციონიზმი უარყოფითთან ერთად დადებით მახასიათებლებსაც უკავშირდება. სწორედ ამიტომ, მეტწილად პათოლოგიასთან ასოცირებულ პერფექციონიზმში სხვადასხვა ასპექტი გამოიყოფა, რომელთაგან ნაწილი - დადებითი, ნაწილი კი უარყოფითი შედეგის პროგნოზირების საშუალებას იძლევა. საწყის ეტაპზე, პერფექციონიზმის შესაფასებლად შემუშავებული კითხვარი დისფუნქციურ, ნევროტიზმის მსგავს მახასიათებელს ზომავდა, რომელიც შეიძლება ქრონიკულ დისტრესში ვლინდებოდეს. მოგვიანებით, პერფექციონიზმის მრავალასპექტიანი ბუნებით, ერთდროულად და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მკვლევართა ორი ჯგუფი დაინტერესდა. მათგან ერთი-ერთი პერფექციონიზმის განხილვისას, სამ ასპექტს გამოყოფს - საკუთარ თავზე ორიენტირებულობა, სხვებზე ორიენტირებულობა და სოციალურად განსაზღვრულობა (Hewitt & Flett, 1991). მეორე ჯგუფის მიერ შემუშავებული მოდელის მიხედვით, პერფექციონიზმი ექვსი ასპექტის (Frost et al., 1990) კომბინაციით იქმნება; პირადი სტანდარტები, ორგანიზებულობა,

შეცდომებზე დარდი, მოქმედებასთან დაკავშირებული ეჭვები, მშობლების მოლოდინები და მშობლების მხრიდან კრიტიკა. მოგვიანებით ამ ასპექტების საფუძვლად მდებარე ორი მეორე რიგის ფაქტორი გამოყვეს, სადაც პირადი სტანდარტები, ორგანიზებულობა, საკუთარ თავზე ორიენტირებული და სხვებზე ორიენტირებული პერფექციონიზმი პოზიტიური მისწრაფებების ფაქტორს ქმნის. ხოლო შეცდომებზე დარდი, აქტივობასთან დაკავშირებული ეჭვები, სოციალურად განსაზღვრულობა, მშობლების მოლოდინები და მშობლების მხრიდან კრიტიკა კი შეფასებასთან დაკავშირებულ არაადაპტურ ფაქტორს ქმნის (Burgess, Frost, & DiBartolo, 2016; Frost et al., 1993; Stoeber & Otto, 2006). პერფექციონიზმის საკვლევ კომპლექსურ ინსტრუმენტში, კეთილსინდისიერი და თვითკრიტიკული პერფექციონიზმის ფაქტორები გამოიყოფა (Hill et al., 2004). პირველი ისეთი ასპექტების კომბინაციით იქმნება, როგორცაა სხვებისთვის წაყენებული მაღალი სტანდარტები, ორგანიზებულობა, დაგეგმვისა და სრულყოფილებისკენ სწრაფვაა. ამ შემთხვევაში მამოტივირებელი ძალა მაღალი სტანდარტების მიღწევისა და იდეალურობისკენ სწრაფვის სურვილშია. თვითკრიტიკულ პერფექციონიზმს შეცდომებზე დარდი, აღიარების მოთხოვნილება, მშობლების მხრიდან წნეხის აღქმა და რუმინაცია ქმნიან. პერფექციონიზმის ამ ფორმას შეცდომებზე დარდი და იმის რწმენა ასაზრდოებს, რომ სხვები შენგან იდეალურობას ელიან (Hill et al., 2004).

პერფექციონისტული მისწრაფებების, იგივე კეთილსინდისიერი პერფექციონიზმის ცალკეული ასპექტები ისეთ პოზიტიურ მახასიათებლებს უკავშირდება, როგორც ცხოვრებით კმაყოფილება, პოზიტიური აფექტი ან ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა (Gotwals, Stoeber, Dunn, & Stoll, 2012; Hill, Huelsman, & Araujo, 2010) თვითკრიტიკული პერფექციონიზმის ასპექტები კი დადებითად კორელირებს დეპრესიასთან, სტრესსა და შფოთვისასთან (Enns, Cox, & Clara, 2002; Kawamura, Hunt, Frost, & DiBartolo, 2001; Smith, Saklofske, & Yan, 2015).

პერფექციონიზმსა და შემოქმედებითობას შორის კავშირის კვლევებში, საწყის ეტაპზე, პერფექციონიზმის ერთიანი ქულის შეფასება ხდებოდა და ეს ქულა ნეგატიურად უკავშირდებოდა შემოქმედებით მისწრაფებებს (Khatena & Torrance, 1970),

შემოქმედებითობასთან დაკავშირებულ ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა განსხვავებულად ყოფნის მოთხოვნილება ან გამოცდილებისადმი ღიაობა (Gallucci et al., 2000). თუმცა პერფექციონიზმის ცალკეული ფაქტორების განხილვისას ვხედავთ, რომ კეთილსინდისიერი პერფექციონიზმი - პერფექციონისტული მისწრაფებები დადებითად უკავშირდება შემოქმედებით თვით-აღქმას და მაღალი ხარისხის იდეების გენერირებასაც (Wigert, Reiter-Palmon, Kaufman, & Silvia, 2012). ამავე კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ კავშირი შემოქმედებითობასა და ადაპტურ პერფექციონიზმს შორის არაწრფივია - ადაპტური პერფექციონიზმის არა უკიდურესად მაღალი, არამედ საშუალო მაჩვენებელი უკავშირდება შემოქმედებითობას.

პერფექციონიზმსა და შემოქმედებითობას შორის დაპირისპირება კარგად ჩანს ისეთ სფეროში, როგორც მაგალითად ბალეტა, სადაც ტექნიკის დახვეწა და სრულყოფა პერფექციონიზმზეა დამოკიდებული და თითქოს ადგილს არ ტოვებს შემოქმედებისთვის. შემოქმედებითობის სტიმულირებას ბალეტის მასწავლებლების ნაწილი სამომავლოდ დებს იმ მოტივით, რომ სხეულის განვითარება ბიოლოგიურად განსაზღვრული პროცესია და გარკვეული დრო აქვს. ამ დროს უნდა მოხდეს ცეკვის ტექნიკის სრულყოფა. თუმცა მსგავსი მიდგომა შემოქმედებითობის განვითარების შეფერხებასთან მიმართებაშიც შეიძლება განვიხილოთ. სხეულის სრულყოფასა და შემოქმედებითობის სტიმულირებას შორის არჩევანთან დაკავშირებული - „მოცეკვავის დილემის“ გადასაჭრელად ჩატარებული კვლევა ხანმოკლე ინტერვენციის ეფექტიანობას აჩვენებს, პერფექციონისტული ტენდენციების შემცირებისა და შემოქმედებითობის ზრდის სახით (Karin & Nordin-Bates, 2019).

იმის გათვალისწინებით, რომ პერფექციონიზმის კავშირი შემოქმედებითობასთან არაწრფივია, რომ შემოქმედებით მიღწევებთან უარყოფითი კავშირი არ დასტურდება (Ahmetoglu, Harding, Akhtar, & Chamorro-Premuzic, 2011), ხოლო იდეების ორიგინალურობა კი დადებითად არის დაკავშირებული პერფექციონიზმთან, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ადაპტური პერფექციონიზმი ეხმარება შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანს ისეთი ორიგინალური პროდუქტის შექმნაში, რომელსაც მიღწევად ქცევის დიდი შანსი აქვს, ხოლო არაადაპტური, თვითკრიტიკული

პერფექციონიზმი კი შეაფერხებს პოტენციალის რეალიზების პროცესს იმდენად, რამდენადაც გარშემომყოფების შეფასების მიმართ სიფხიზლე და შეცდომებზე დარდი თავისთავად ეწინააღმდეგება შემოქმედი ადამიანებისთვის დამახასიათებელ რისკიანობას.

#### 1.4.5. შემოქმედებითობა და მიზანსწრაფულობა (Grit)

პიროვნული მახასიათებელი, რომელიც აერთიანებს მოცეკვავეს, ჯარისკაცს, თუ სხვა სფეროს წარმატებულ წარმომადგენლებს მიზანსწრაფულობაა (Duckworth, Peterson, Matthews, & Kelly, 2007). მიზანსწრაფული ადამიანები (Grit) მიზნისკენ მიმავალ გზაზე შეუპოვრობითა (ძალისხმევა) და ჟინიანობით (ინტერესთა თანმიმდევრულობა) ხასიათდებიან. ეს ეხმარება მათ იმოქმედონ ენერგიულად დაბრკოლებასთან შეჯახებისას და შეინარჩუნონ მიზნის მიღწევის მოტივაცია - გაყვნიან არჩეულ გზას წლების განმავლობაში და წინააღმდეგობების მიუხედავად (Duckworth et al., 2007). მიზანსწრაფულობა დიდი ხუთეულის პიროვნულ ნიშანთაგან ყველასთან (მხოლოდ ნევროტიზმთან კორელირებს უარყოფითად), თუმცა ყველაზე მეტად კეთილსინდისიერებასთან ( $r=.77$ ) კორელირებს და მეტიც, ითვლება, რომ მიზანსწრაფულობის ეტიოლოგია სხვა პიროვნულ ნიშანთა ეტიოლოგიის მსგავსია და კეთილსინდისიერებასთან ამ მახასიათებელს როგორც გენოტიპური ( $r=.86$ ), ისე ფენოტიპური ( $r=.53$ ) საფუძვლები აერთიანებს (Rimfeld, Kovas, Dale, & Plomin, 2016).

თუმცა კეთილსინდისიერებისგან განსხვავებით, რომელიც საქმის პირნათლად და დროულად შესრულებაში შეიძლება გამოვლინდეს, შეუპოვრობის შემთხვევაში არამხოლოდ კონკრეტულ საქმეზე ინტენსიური მუშაობა, არამედ შორეულ მიზნებზე ხანგრძლივად ფოკუსირება იგულისხმება; მაღალი მიზანსწრაფულობით გამორჩეული ადამიანები დროში გადავადებულ მიზნებს ისახავენ და პოზიტიური უკუკავშირის არარსებობის პირობებშიც კი აგრძელებენ ამ მიზნისკენ სწრაფვას (Duckworth et al., 2007).

მიზანსწრაფულობასთან დაკავშირებული კვლევების მეტაანალიზიდან (Crede', Tynan, & Harms, 2016) ჩანს, რომ ეს კონსტრუქტი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული კეთილსინდისიერებასთან, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის კონტროლის შემთხვევაშიც ინარჩუნებს ქცევის წინასწარმეტყველების უნარს. ხსენებულ კონსტრუქტებს შორის მნიშვნელოვანი კავშირია და იმისთვის, რომ მიზანსწრაფულობა განვიხილოთ, როგორც კეთილსინდისიერებისგან განსხვავებული და დამოუკიდებელი მახასიათებელი, დამატებითი კვლევებია საჭირო.

კეთილსინდისიერებასა და დიდი ხუთეულის სხვა პიროვნულ ნიშნებთან კავშირზე აქცენტირებასთან ერთად, მიზანსწრაფულობას განათლებასა და სხვა სფეროებში არსებულ მიღწევებთან, ასაკთან დაკავშირებული გამოცდილების მატებასთან მიმართებაშიც განიხილავენ. დაკვორთისა და მისი კოლეგების (2007) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გარდა იმისა, რომ განათლება მნიშვნელოვნად და პოზიტიურად უკავშირდება მიზანსწრაფულობას, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასაკი - ასაკის მატებასთან ერთად მიზანსწრაფულობის მაჩვენებელი იმატებს - 65 წელზე უფროს მონაწილეებთან ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება 55-64 წლის მონაწილეებთან არსებულ მაჩვენებელს. 25-34 და 35-44 წლის ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლებს შორის მიზანსწრაფულობის თვალსაზრისით სხვაობა ისეთივეა, როგორც 45-54 და 55-64 წლის ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლებს შორის, თუმცა ეს სხვაობა ისეთი დიდი არაა, როგორც 65 წელზე უფროსი ასაკის მონაწილეებთან მიმართებაში ვხვდებით. შედეგის ინტერპრეტაციისას, აქცენტი იმ გამოცდილებაზე კეთდება, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად, მიზნების ცვლასა და სიახლის ძიებას - ნაკლებად მიმზიდველს, ხოლო ფრუსტრაციას კი უფრო ასატანს ხდის. განათლება და ასაკი მიზანსწრაფულობის წინასწარმეტყველების საშუალებას დიდი ხუთეულის პიროვნულ ნიშანთა კონტროლის ფონზეც იძლევა. მიზანსწრაფულობა, თავის მხრივ, დადებითად უკავშირდება თვითკონტროლს, რასაც შორეული გეგმების განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ასაკის მატებასთან ერთად, შესაძლოა, ფრუსტრაციისადმი მგრძობილობა შემცირდეს, რაც მიზანსწრაფულობის მაჩვენებელს ზრდის და შედეგად, ასეთი

ადამიანები წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი იბრძვიან დასახული მიზნის მისაღწევად (Duckworth et al., 2007). ამასთან, ადამიანები, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს გარკვეულ სფეროში, რომელთა შრომამაც აღიარება მოიპოვა, ამ აღიარებამდე, ამავე სფეროში მუშაობის საშუალოდ ათ წელს ითვლიან (Hayes, 1989). შესაძლოა, ათი წლის წესის რეალურობა სფეროში არსებული ექსპერტული ცოდნის დაგროვებას უკავშირდებოდეს (Kozbelt et al., 2010) ან ასაკის და გამოცდილების მატებასთან ერთად განვითარებულ მიზანსწრაფულობას, რომელიც წარუმატებლობის, დაბრკოლებების, ნეგატიური უკუკავშირის არსებობის შემთხვევაშიც კი უბიძგებს ადამიანს თავისი შესაძლებლობების რეალიზებისთვის იბრძოლოს - არ მიაქციოს ყურადღება გარემოში არსებულ წესებს და სტანდარტებს, რომლებიც შესაძლოა მის მიზნებთან შესაბამისობაში არ მოდიოდნენ და გარშემომყოფებს, რომლებიც შესაძლოა ეჭვის თვალით უყურებდნენ მათ ორიგინალურ წამოწყებას.

#### 1.4.6. შემოქმედებითობა და სოციალურ კონტექსტში ჩამოყალიბებული პიროვნული მახასიათებლები

გარშემომყოფების მხრიდან მიღებულ უკუკავშირთან დაკავშირებულ შფოთვის ნეგატიური შეფასების შიში ეწოდება (Fear of negative evaluation – FNE; Watson & Friend, 1969) და დისტრესისა და ნეგატიური შეფასების მოლოდინის სახით ვლინდება, რაც შესაძლოა გამოწვევებთან შეჯახებისას, ამ გამოწვევისგან განრიდებას უკავშირდებოდეს. განრიდება, დაქვემდებარებულობა, მაღალი შფოთვის განცდა ის მახასიათებლებია, რომლებიც ნეგატიური შეფასების შიშთან გენეტიკურ საფუძვლებს იზიარებენ (Stein, Jang, & Livesley, 2002). ტყუპებზე ჩატარებული კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ მემკვიდრეობითობის წილი ნეგატიური შეფასების შიშისთვის 48%-ს უტოლდება, თუმცა უნიკალური გარემოს როლიც მნიშვნელოვანია (Stein et al., 2002). გენეტიკური ფაქტორების და უნიკალური გარემოს გარდა, ნეგატიური შეფასების შიშის მაჩვენებლის კლება შესაძლოა ისეთ ფაქტორთან იყოს დაკავშირებული, როგორც პიროვნული კონტროლის განცდაა - ადამიანებს, რომლებიც ღირებულ პროდუქტს ქმნიან და

გავლენას ახდენენ გარშემომყოფებზე - თუკი აქვთ განცდა, რომ ძალაუფლებას ფლობენ და აკონტროლებენ სიტუაციას - შედარებით ნაკლებად აწუხებთ ნეგატიური შეფასების შიში (Cai & Wu, 2017). შემოქმედებითობასა და ნეგატიური შეფასების შიშს შორის კავშირის კვლევები არ ჩატარებულა, თუმცა ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ნეგატიური შეფასების შიშის მქონე ადამიანები, ამ შეფასების თავიდან არიდების მიზნით, შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებასა და მიღწევებად ქცევაზე ნაკლებად იზრუნებენ იმდენად, რამდენადაც შემოქმედებითი აქტივობა და შედეგად მიღწევა, საზოგადოებაში გავრცელებული აზრისგან განსხვავებულ და გასაკიცხ აქტივობას შეიძლება უკავშირდებოდეს.

საზოგადოების მხრიდან მიღებული ნეგატიური უკუკავშირის მიმართ მოწყვლადობით გამოირჩევიან ადამიანები, უარყოფისადმი მგრძობელობის (Rejection sensitivity – RS) მაღალი მაჩვენებლით. მახასიათებლით, რომელიც სოციალური ინფორმაციის გადამუშავების კოგნიტურ-ემოციურ დისპოზიციას წარმოადგენს და რომელიც ინტერპერსონალურ ურთიერთობებში უარყოფის მოლოდინთან დაკავშირებული შფოთვით და უარყოფისადმი გადამეტებული რეაგირებით ხასიათდებიან (Downey & Feldman, 1996). ეს, ერთგვარი თავდაცვითი სტრატეგია ხელს უწყობს ადამიანს სწრაფად მოახდინოს სოციალური საფრთხის იდენტიფიკაცია და თავიდან აიცილოს ის. უარყოფისადმი მგრძობელობა დეპრესიას, სოციალურ ფობიას, მოსაზღვრე პიროვნულ აშლილობას (Rosenbach & Rosennberg, 2011) და ინტერპერსონალურ ურთიერთობებში (მეგობრები, ოჯახის წევრები, რომანტიკული პარტნიორი) არსებულ პრობლემებს უკავშირდება (Romero-Canyas, Downey, Berenson, Ayduk, & Kang, 2010).

უარყოფისადმი მგრძობელობის ეტიოლოგიის განხილვისას ჩანს, რომ ეს ცვლადი ოჯახის წევრებთან ურთიერთობის უარყოფით გამოცდილებასა და არასანდო მიჯაჭვულობას შორის კავშირის მედიატორია (Downey & Feldman, 1996). უარყოფისადმი მგრძობელობის ფორმირებაში შესაძლოა მნიშვნელოვან როლს ინტერპერსონალურ ურთიერთობებში არსებული ხანგრძლივი უარყოფის გამოცდილება თამაშობდეს (Levy et al., 2001). ზრდასრულობისას, მნიშვნელოვანი რომანტიკული

პარტნიორის მხრიდან უარყოფა უარყოფისადმი მგრძნობელობის მაჩვენებლის მომატებას უკავშირდება (Wang, McDonald, Rubin, & Laursen, 2012). რეალურად, უარყოფისადმი მგრძნობიარე ადამიანებისთვის პარტნიორის მხრიდან გამოვლენილ პოზიტიურ დამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს და შესაბამის, პოზიტიურ რეაქციას იწვევს განსხვავებით დისტრესისგან, რომელსაც ეს ადამიანები ცივად პასუხობენ - ისინი თითქოს შესაძლო უარყოფის თავიდან არიდებას ცდილობენ და ამ მცდელობით ხელს უწყობენ პარტნიორის მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულების გამოვლენას (Meehan, Cain, Roche, Clarkin, & Panfilis, 2018).

უარყოფისადმი მგრძნობელობა, როგორც კონცეფტუალურად (Downey & Feldman, 1996), ისე ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობითაც (Ayduk, Gyurak, & Luerssen, 2008) ნევროტიზმს ( $r = .45$ ) უკავშირდება. მოზარდებთან ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ უარყოფისადმი მგრძნობიარე ახალგაზრდები, რომლებიც ამავდროულად, დაბალი კეთილგანწყობით გამოირჩევიან, თავს არიდებენ ინტერპერსონალურ სიტუაციებს და თან არც მეგობრული ურთიერთობები მოსწონთ (Wang, Hartl, Laursen, & Rubin, 2016). უარყოფისადმი მგრძნობიარე ადამიანები გარშემომყოფთა სევდიან სახეებს უფრო ამჩნევენ და აქცევენ ყურადღებას (Kraines, Kelberer, & Wells, 2018), რაც ამ მახასიათებელს დეპრესიის რისკ-ფაქტორად აქცევს და შემოქმედებითობის შემაფერხებელ მახასიათებლად მის განხილვას ლოგიკურს ხდის.

## 2. შემოქმედებითობის საკვლევია ინსტრუმენტები

### 2.1. შემოქმედებითი პოტენციალი

შემოქმედებითობის შესწავლის საწყის პერიოდად ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციისადმი გილფორდის (1950) მიმართვა ითვლება. თუმცა, როგორც შეფასების მეთოდთა შეჯამებისას (Plucker & Makel, 2010) ჩანს, შემოქმედებითობის შესწავლის საწყისებს ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლო პერიოდში და იმ მკვლევრებთან ვხვდებით, სხვადასხვა კოგნიტურ პროცესებს რომ სწავლობდნენ და მოგვიანებით, თავიანთი შესწავლის არეალი შემოქმედებითობაზე გაავრცელეს.

სხვა ნებისმიერი ცნების შესწავლის მსგავსად, კრეატიულობის შეფასებაც ტერმინის განმარტებით იწყება - შემოქმედებითობა უკავშირდება გარკვეული უნარების, გარემოს და პროცესების ინტერაქციას, რომლის შედეგად, ინდივიდის ან ჯგუფის მიერ შექმნილ ხელშესახებ პროდუქტს სოციუმი აფასებს, როგორც ორიგინალურს და სასარგებლოს/აზრიანს. შემოქმედებითობის შესაფასებელ მეთოდთა ორი ჯგუფი გამოიყოფა; 1. შემოქმედებითი უნარების შეფასებაზე ორიენტირებული მეთოდები და 2. ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოვლენილი შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების შეფასებაზე ორიენტირებული მეთოდები.

პირველ ჯგუფში დივერგენტული აზროვნების შესაფასებელი მეთოდები ერთიანდება, რომლებიც გილფორდის (1967) და ტორენსის (1962) სახელებს უკავშირდება. ეს მეთოდები ისეთ მახასიათებლებს ზომავს, როგორც მონაწილეთა მიერ პროდუცირებული იდეების ორიგინალურობა, სიუხვე, მოქნილობა და დეტალიზაცია. ორიგინალურობა პასუხის სტატისტიკურ იშვიათობას უკავშირდება მაშინ, როცა იდეათა სიუხვე პასუხების იმ რაოდენობას გულისხმობს, რომლის გენერირებასაც მონაწილე კონკრეტული დავალების ფარგლებში ახერხებს. მოქნილობა პასუხთა კატეგორიების მრავალფეროვნებას უკავშირდება. დეტალიზაცია კი იმას, თუ რამდენად ახერხებს მონაწილე კონკრეტული პასუხის განვრცობას, დამუშავებას - გარკვეული დეტალებით შევსებას (Plucker & Makel, 2010).

ინტელექტის სტრუქტურასთან დაკავშირებულ მოდელში (Structure of the Intelligence – SOI; Guilford, 1967) გილფორდი დივერგენტული აზროვნების რამდენიმე ტიპს გამოყოფს. ეს ტიპები ოთხი განსხვავებული შინაარსისა (ფიგურებთან, სიმბოლოებთან, სემანტიკურ ასპექტთან და ქცევებთან დაკავშირებული შინაარსები) და შვიდი პროდუქტის (Units - ერთეულები, Classes - კლასები, Relations - მიმართებები, Systems - სისტემები, Transformations - ტრანსფორმაციები, Implications - შევსება/ფორმირება) კომბინაციით იქმნება. დივერგენტული აზროვნებისთვის სპეციფიკური ინტელექტის ტიპის განსასაზღვრად (SOI DT battery - ინტელექტის სტრუქტურა დივერგენტული აზროვნების ქვეტესტი) შემუშავებულ ტესტებში მონაწილეებისგან დივერგენტული აზროვნების უნარის სხვადასხვა სფეროში გამოვლენას ითხოვენ. როგორც წესი, ამ ამოცანების შესრულებას მოქნილი აზროვნება და ცდის და შეცდომის მეთოდით მოქმედება სჭირდება. დივერგენტული აზროვნების შესაფასებელ ტესტებში, კონვერგენტულისგან განსხვავებით (რომელიც ერთი და სწორი პასუხის პოვნაზე ორიენტირებული ტესტებით ფასდება) მონაწილეს უწევს მრავალფეროვანი იდეების და პასუხების მოფიქრება (იდეათა სიუხვე). დივერგენტული აზროვნების შესაფასებლად გილფორდი ამოცანათა სხვადასხვა ჯგუფებს გვთავაზობს. მაგალითად, ფიგურებთან დაკავშირებული პროდუქტების შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი სახის დავალებები: ერთიანი ფიგურა, ფიგურათა კლასები, ფიგურათა სისტემები, ფიგურათა ტრანსფორმაცია, ფიგურათა ფორმირება (Khatena & Khatena, 1999). პირველ შემთხვევაში, მონაწილემ ასანთის ღერებით შექმნილი ფიგურა ინსტრუქციის შესაბამისად უნდა გარდაქმნას. ამ ამოცანის ბევრი ვარიანტი არსებობს, თუმცა პირველ ვერსიაში მონაწილეს 17 ასანთის ღერისგან შექმნილი „ბადე“ (ორი რიგი და სამი სვეტი, რომლებიც ექვს კვადრატს ქმნიან) უნდა გარდაექმნა შემდეგი ინსტრუქციის შესაბამისად - „ფიგურას მოაცილეთ ორი ასანთის ღერი ისე, რომ მიიღოთ ოთხი სრული კვადრატი“ (Plucker & Makel, 2010).

ფიგურათა კლასებთან დაკავშირებული ამოცანების მაგალითია „ალტერნატიულ ასოთა ჯგუფი“, სადაც მონაწილეებს ვაწვდით გარკვეულ ასოთა ჯგუფს (მაგ. AHVTC ) და ამ ჯგუფში შემავალი ასოების მახასიათებლებზე დაყრდნობით უნდა შექმნან

ასობის სხვადასხვაგვარი კომბინაციის ამსახველი ქვეჯგუფები (მაგ. ყველა ისეთი ასოს გამოყენებით, რომელიც დახრილი ხაზებისგან არის შექმნილი). ფიგურათა სისტემებთან დაკავშირებულ ტესტში მონაწილეებს ვიზუალური ელემენტების ერთ მთლიან სისტემაში გაერთიანება ევალებათ. მაგალითად, ვაწვდით გეომეტრიულ ფიგურებს, რომელთა საფუძველზე მათ კონკრეტული ობიექტი უნდა შექმნან. ფიგურათა ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული დავალებები აზროვნების ადაპტურ მოქნილობას უკაშირდება (მაგ. საჭაერო მანევრების დაგეგმვა - ცაზე უნდა დაწერო ორი დიდი ასო ისეთი თანმიმდევრობით, რომ პილოტი იოლად მიხვდეს როდის დაძრას თვითმფრინავი, როდის მოაბრუნოს და როდის დაასრულოს ფრენა). ფიგურათა ფორმირება ისეთ დავალებებს მოიცავს, სადაც მონაწილეებს ვაწვდით ავეჯის ან ტანსაცმლის გარკვეულ მონაკვეთს და ვთხოვთ შეავსონ დეკორაციული ელემენტებით (Khatena & Khatena, 1999; Plucker & Makel, 2010).

გილფორდის მიერ შემუშავებულ, დივერგენტული აზროვნების შესაფასებელ ამ მეთოდებს გარკვეულწილად ჰგავს ტორანსის მიერ შემუშავებული ტესტებიც (Torrance Test of Creative Thinking – TTCT; Torrance, 1962). ეს ტესტები როგორც ვერბალურ, ისე ფიგურებთან დაკავშირებულ დავალებებს მოიცავს. ვერბალური ნაწილი შვიდი სუბტესტისგან შედგება: შეკითხვა, მიზეზის გამოცნობა, პროდუქტის გაუმჯობესება, უჩვეულო გამოყენება, უჩვეულო კითხვები და ვარაუდი (Asking, guessing causes, Product improvement, Unusual uses, unusual questions and just suppose). პირველი სამი დავალება კონკრეტულ სასტიმულო მასალაზე დაყრდნობით სრულდება - მონაწილეებმა კონკრეტული ნახატის შესახებ უნდა დასვან რაც შეიძლება მეტი კითხვა, მოიფიქრონ რა შეიძლება იყოს ნახატზე არსებული მოვლენის მიზეზი და გამოიცნონ ნახატზე ასახული მოვლენის შესაძლო შედეგი. გაუმჯობესების სუბტესტში მონაწილეებს ვაწვდით კონკრეტულ ნივთს, ვთქვათ, თოჯინას ფიტულს და ვეკითხებით, თუ როგორ შეიძლება გავაუმჯობესოთ ეს ნივთი. უჩვეულო გამოყენების სუბტესტში მონაწილეებმა ყოველდღიური ნივთების არატრადიციული და ორიგინალური გამოყენების გზები უნდა მონახონ. ამ დავალების ერთგვარი ვარიანტია უჩვეულო შეკითხვების სუბტესტი, რომელშიც მონაწილეებისგან ვითხოვთ ჩვეულებრივი ნივთის შესახებ ბევრი უჩვეულო

კითხვის დასმას. ვერბალური სუბტესტებიდან ბოლო, უჩვეულო სიტუაციაში მოვლენების განვითარების შესახებ ვარაუდების გამოთქმას უკავშირდება. ვთქვათ, „რა მოხდებოდა, ადამიანებს ძილი რომ აღარ სჭირდებოდათ?“.

ფიგურებთან დაკავშირებული სუბტესტები სამ დავალებას მოიცავს: ნახატის აგება, ნახატის დასრულება და ხაზები/წრეები. პირველ დავალებაში მონაწილეებს გარკვეულ ფორმაზე დაყრდნობით ნახატის შექმნას ვთხოვთ, მეორე დავალებაში უკვე მოცემული ნახატი უნდა დაასრულოს და დაასათაუროს მონაწილემ. ბოლო დავალებაში კი როგორც ხაზები, ისე წრეებია მოცემული და მონაწილეებს ვთხოვთ ამ მოცემულობის მოდიფიცირებას და/ან ფორმის მიცემას, შეცვლას (Plucker & Makel, 2010).

შემოქმედებითი პოტენციალის შესაფასებლად ჩატარებულ თანამედროვე კვლევებში ზემოთ აღწერილი ტესტების სხვადასხვა ვარიაციებს ვხვდებით (მაგ. Jauk et al., 2013). შემოქმედებითი პოტენციალის შესაფასებლად არსებული, შედარებით თანამედროვე და კომპაქტური მეთოდი ალტერნატიული გამოყენებისა და ალტერნატიული პასუხების ამოცანების სახელით არის ცნობილი და გილფორდის მიერ შემუშავებულ მეთოდს ეყრდნობა (Jauk, Benedek, & Neubauer, 2014). შემოქმედებითი პოტენციალის შესაფასებლად არსებული ინსტრუმენტის ქართული ვერსია (მარწყვიშვილი, სორდია, & ნიუბაუერი, 2017) ექვს დავალებას მოიცავს, რომელთაგან სამი (აგური, დანა, თმის საშრობი) ყოველდღიური ნივთის უჩვეულო გამოყენებას უკავშირდება, სამი კი („რა გამოიყენება გადაადგილებისთვის? „რა შეიძლება იყოს მოქნილი/დრეკადი?“, „რა იწვევს ხმაურს?“) - ალტერნატიულ პასუხებს. ინსტრუმენტის ქართული ვერსია საშუალებას გვაძლევს შემოქმედებითი პოტენციალი იდეათა ორიგინალურობისა და იდეათა სიუხვის მიხედვით შევაფასოთ (რამდენადაც იდეათა სიუხვესა და მოქნილობას შორის კავშირი, მათ იგივეობაზე მეტყველებს, იდეათა სიუხვის როგორც შემოქმედებითი პოტენციალის შესაფასებელი კრიტერიუმის გამოყენება საკმარისია). ამასთან, იდეათა ორიგინალურობის ქულას კვლევის მონაწილეთა პასუხების ექსპერტული შეფასებების საფუძველზე ვითვლით, სადაც ექსპერტები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აფასებენ იდეის ორიგინალურობას და

ეყრდნობიან ისეთ კრიტერიუმებს, როგორც მონაწილეთა მიერ გაცემული პასუხების უზვეულობა და ეფექტიანობა (Silvia, Winterstein, Willse, Barona, Cram, & Hess, 2008).

შემოქმედებითი პოტენციალის შესაფასებლად შემუშავებული მეთოდების ფსიქომეტრული მახასიათებლების კვლევათა შეჯამებიდან (Plucker & Makel, 2010) ჩანს, რომ ეს ტესტები სანდოობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლეთ გამოირჩევა, თუმცა პრედიქტული და დისკრიმინანტული ვალიდობის შეფასებისას ცალსახა და ერთმნიშვნელოვან შედეგებს ვერ ვიღებთ. ამ მეთოდთა ვალიდურობის გასაუმჯობესებლად კი შეფასების სიტუაციასთან და პასუხების დაჯამებასთან დაკავშირებული შემდეგი რეკომენდაციების შესრულებაა საჭირო; იდეათა ორიგინალურობის შეფასებისას, ექსპერტებისთვის სტანდარტული და მიზანშეწონილი ინსტრუქციის მიცემა; მონაწილეთა მიერ თავიანთი პასუხებიდან არჩეული, მათი აზრით ყველაზე ორიგინალური (მეტწილად სამი) იდეების შეფასება და ორიგინალურობის შესაფასებელი დავალებისთვის მიცემული დროის კონტროლი (Benedek, Mulmann, Jauk, & Neubauer, 2013; Silvia et al., 2008).

## 2.2. შემოქმედებითი აქტივობები და მიღწევები

იმის დასადგენად თუ რამდენად აქტიურად ავლენს ადამიანი შემოქმედებით პოტენციალს ყოველდღიურ ცხოვრებაში - რამდენი შემოქმედებითი აქტივობა და მიღწევა აქვს - არსებობს თვითანგარიშის კითხვარები, სადაც კვლევის მონაწილე თვითდაკვირვების საფუძველზე აფასებს, თუ რამდენად ხშირად და რა სახის შემოქმედებითი აქტივობები აქვს განხორციელებული. განხორციელებული შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების შესაფასებელი კითხვარი ბევრია, თუმცა ყოველდღიური შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების შესაფასებლად შემუშავებული შედარებით თანამედროვე კითხვარებია; შემოქმედებითი მიღწევების კითხვარი (CAQ; Carson, Peterson, & Higgins, 2005), შემოქმედებითი ქცევების კითხვარი (CBI; Hocevar, 1979), შემოქმედებითი ქცევის ბიოგრაფიული კითხვარი (BICB; Batey,

2007) და შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების საკვლევო კითხვარი (ICAA; Diedrich, Jauk, Silvia, Gredlein, Neubauer, & Benedek, 2017).

შემოქმედებითი მიღწევების კითხვარი (Carson et al., 2005) სამი ნაწილისა და 96 დებულებისგან შედგება. პირველი ნაწილი მოიცავს 13 სახის ნიჭს/უნარს. მათგან 10 ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროს უკავშირდება და 3 ისეთი სფეროების შეფასების საშუალებას იძლევა, როგორც ინდივიდუალური სპორტი, ჯგუფური სპორტი და მეწარმეობა (entrepreneurial ventures). ჩამოთვლილი სფეროებიდან მონაწილემ უნდა მონიშნოს ყველა ის სფერო, რომელშიც თვლის, რომ საშუალო სტატისტიკურ ადამიანზე მეტად ნიჭიერია. მეორე ნაწილი ხელოვნებასა და მეცნიერებასთან დაკავშირებულ 10 სფეროს მოიცავს (ვიზუალური ხელოვნება, ცეკვა, მუსიკა, არქიტექტურა, შემოქმედებითი წერა, იუმორი, გამოგონება, სამეცნიერო აღმოჩენა, თეატრი და კინო, კულინარია). მაგალითად, იუმორის შესაფასებლად არსებული დებულებები ასე გამოიყურება - „ამ სფეროში ნიჭი არ მაქვს“, ან „ისეთი ხუმრობები მაქვს მოფიქრებული, რომელსაც დღეს სხვები იმეორებენ“, ან „ვმუშაობ, როგორც პროფესიონალი კომიკოსი“, ან „ადამიანები ხშირად აღნიშნავენ, რომ კარგი იუმორის გრძნობა მაქვს“. მონაწილემ უნდა მონიშნოს ყველა ის დებულება, რომელსაც ეთანხმება. ასევე, მონაწილეებს ეძლევათ საშუალება დამატებით ჩამოთვალონ ის შემოქმედებითი მიღწევები, რომლებიც კითხვარში ნახსენები არ იყო. მესამე ნაწილი მოიცავს 3 დებულებას: „როცა სხვა ადამიანების წინაშე წარმადგენენ, პირველი, რასაც ჩემ შესახებ აღნიშნავენ ჩემი შემოქმედებითობაა“, „ადამიანები ხშირად აღნიშნავენ, რომ არტისტული ტემპერამენტი მაქვს“, „ადამიანები ხშირად აღნიშნავენ, რომ გულმავიწყი და უყურადღებო ვარ“. კითხვარი ერთიან ქულასთან ერთად, ცალკეულ სფეროებში არსებული ქულების დათვლის საშუალებას იძლევა და სანდოობასთან ერთად, მაღალი კონვერგენტული და დივერგენტული ვალიდობითაც გამოირჩევა.

შემოქმედებითი აქტივობების კითხვარი (CBI; Hocevar, 1979) ყოველდღიურ ცხოვრებაში განხორციელებული შემოქმედებითი აქტივობების შესაფასებლად შემუშავებულ 77 დებულებასა და 6 სუბსკალას მოიცავს: სახვითი ხელოვნება, ხელსაქმე,

ლიტერატურა, მუსიკა, შესრულებასთან (პერფორმანსთან) დაკავშირებული ხელოვნება და მათემატიკა-მეცნიერება. დებულებათა მაგალითებია: „დამიხატავს ორიგინალური ნახატი“, ან „დღესასწაულებისთვის მე თვითონ შემიქმნია დეკორაცია“, ან „ხელოვნებაში არსებული მიღწევებისთვის მიმიღია ჯილდო“. თითოეული დებულება ფასდება იმის მიხედვით თუ რამდენად ხშირად აქვს განხორციელებული აღწერილი აქტივობა მონაწილეს; „არასდროს“, „ერთხელ“, „ორჯერ“, „სამი-ოთხჯერ“, „ხუთი-ექვსჯერ“, „შვიდჯერ და მეტჯერ“.

შემოქმედებითი აქტივობების ბიოგრაფიული კითხვარი (BICB; Batey, 2007) ყოველდღიური შემოქმედებითი მიღწევების შესაფასებლად შემუშავებულ 34 დებულებას აერთიანებს. მონაწილეებს უწევთ მონიშნონ ყველა ის დებულება (მაგ. „დავწერე მოკლე მოთხრობა“, „შევქმენი ვებგვერდი“, „დავდგი ცეკვა“, „გამოვაქვეყნე სტატია“), რომელში აღწერილი ქცევაც განუხორციელებიათ ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში. შემოქმედებითი აქტივობის ბიოგრაფიული კითხვარის შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია ( $\alpha = 0.78$ ; Batey, & Furnham, 2008).

შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების კითხვარი (ICAA; Diedrich et al., 2017) შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების შესაფასებლად არსებული ინსტრუმენტების შეჯამების შედეგად შეიქმნა. კითხვარი მოიცავს რვა სფეროს - ლიტერატურა, მუსიკა, გამოყენებითი ხელოვნება, კულინარია, სპორტი, ვიზუალური ხელოვნება, საშემსრულებლო ხელოვნება, მეცნიერება და ინჟინერია. თითოეული სფეროსთვის შემოქმედებითი აქტივობის აღმწერ, კონკრეტულ ქცევათა განხორციელების სიხშირე ფასდება. მაგ. ლიტერატურის სფერო - „დავწერე მოკლე ლიტერატურული ნაწარმოები (ლექსი, მოთხრობა...)“. კვლევის მონაწილე პასუხს ირჩევს ჩამოთვლილი ვარიანტებიდან „არასდროს“, „1-2ჯერ“, „3-5-ჯერ“, „6-10-ჯერ“ „11-ჯერ და მეტი“) ( $\alpha = .82$ )

ასევე, კითხვარი მოცემული პერიოდისთვის არსებული მიღწევის დონის შეფასების საშუალებასაც იძლევა. მაგ. ლიტერატურის სფერო - „0. არასოდეს მომისინჯავს ეს სფერო“, „1. ერთხელ უკვე ვცადე“, „2. შევქმენი ორიგინალური ნაშრომი ამ სფეროში“.

ჩამოთვლილი 11 დებულებიდან, რესპონდენტმა უნდა აღნიშნოს ყველა ის დებულება, რომლის შინაარსსაც ეთანხმებოდა ( $\alpha=.78$ ) და იმ დროის ხანგრძლივობა, რამდენიც ამ სფეროში აქვს გატარებული. შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების აღწერასთან ერთად, მონაწილეს საშუალება ეძლევა ჩამოთვალოს შემოქმედებითი მიღწევის ხუთი ზოგადი და აქამდე დაუსახელებელი მაგალითი. ამ დამატებითი ხუთი მიღწევის შეფასება და იმის განსაზღვრა, თუ რამდენად გადის თითოეული მათგანი კრეატიული მიღწევის კატეგორიაში, ურთიერთდამოუკიდებელი ექსპერტების მოსაზრებებზე დაყრდნობით ხდება.

### 3. კვლევის საკითხის განსაზღვრა

შემოქმედებითობითი პოტენციალის ქულები ნორმალურად არის განაწილებული, განსხვავებით შემოქმედებითი მიღწევებისგან, რომლის ქულათა განაწილების მრუდი გადახრილია (Eysenck, 1995), რაც ნიშნავს, რომ შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანთა დიდი ნაწილი ამ პოტენციალის რეალიზებას, მიღწევებად ქცევას ვერ ახერხებს. მიმდინარე კვლევის მიზანია ისეთი პიროვნული მახასიათებლების გამოყოფა, რომლებიც გავლენას ახდენს შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებაზე.

ორიგინალური იდეები ადამიანთა უმრავლესობას უჩნდება, თუმცა იდეა, გაჩენიდან რეალიზებამდე, გადის შემდეგ ოთხ ფაზას: გენერირება, დეტალების დამუშავება, დაწინაურება და რეალიზება (generation, elaboration, championing, implementation; Perry-Smith, & Mannuchi, 2017). თითოეულ ეტაპზე გარკვეულ გამოწვევას ვაწყდებით, რომელთან გამკლავებაც იდეის განვითარების და შემდგომ ეტაპზე გადასვლის გარანტორია. პირველ ეტაპზე, კოგნიტური მოქნილობაა მნიშვნელოვანი, რაც საკითხთან დაკავშირებული მრავალი იდეის გენერირების უნარში ვლინდება. შემდგომ ეტაპზე, ამ მრავალი ალტერნატიული ვერსიიდან შეირჩევა ერთ-ერთი ოპტიმალური იდეა, რომელზე მუშაობისთვისაც ინტერნალური მოტივაციის ქონაა საჭირო. მესამე ეტაპზე, როცა უკვე იდეის რეკლამირება, საზოგადოებამდე მიტანა და გარშემომყოფების მხრიდან მისი მიღებაა საჭირო, მნიშვნელოვანი ხდება სოციალური კავშირები და ამ კავშირთა ის მახასიათებლები, რომლებიც იდეის ინოვაციად ქცევას უწყობს ხელს. იდეის განხორციელების მეოთხე ეტაპზე გაზიარებაა მნიშვნელოვანი. ეს ეტაპი ორი ფაზისგან შედგება - პროდუცირება და გავლენა. პროდუცირების ფაზაში იდეა/პროდუქტი ხელშესახები სახით გვეძლევა. გავლენის ფაზაში კი, გარშემომყოფები ამ პროდუქტის ინოვაციურობას აღიარებენ და იყენებენ მას. მოხდება თუ არა ინოვაციური პროდუქტის მიღება და გამოყენება, კულტურასთან დაკავშირებულ ფაქტორებზეა დამოკიდებული (Csikszentmihalyi, 1999; Simonton, 1999). ქართულ კულტურაში კი შემოქმედებითობის შესახებ არსებული ნაშრომები მცირე

რაოდენობით გვხვდება (მაგ. მელიქიშვილი, 2011). მართალია, შემოქმედებითობის პიროვნული კორელატების, გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორებისა და იდეის რეალიზების ეტაპების შესახებ წარმოდგენას არსებული კვლევები ქმნიან (Amabile, 1988; Simonton, 1984; Batey & Furnham, 2006; Perry-Smith, & Mannuchi, 2017), თუმცა არაფერია ცნობილი იმ პიროვნული მახასიათებლების შესახებ, რომლებიც სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით, გავლენას ახდენს შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებაზე - შემოქმედებით აქტივობებად და მიღწევებად გარდაქმნაზე. ცოტა რა, არის ცნობილი იმ მახასიათებლებზე, რომელთა გარეშეც, იდეის რეალიზების გზაზე, შემოქმედებითი პოტენციალით გამორჩეული ადამიანები, შესაძლოა, გენერირების ფაზას ვერ გასცდნენ და ერთი კონკრეტული ვარიანტის შერჩევისა და მისი ინოვაციად ქცევისთვის არ იბრძოდნენ.

შემოქმედებითი მიღწევის მქონე ადამიანთა პიროვნული მახასიათებლების კვლევისას ისეთი ნიშნები გამოიყოფა, როგორცაა მაგალითად, კრიტიკისგან თავისუფლება, ავტონომიურობა, თავდაჯერებულობა, თავშეუკავებლობა (Barron & Harrington, 1981), აგრესიულობა, სარკასტულობა, დომინანტურობა (Barron, 1963), არაკონვენციურობა, არასოციალიზებულობა, ჯგუფზე და თანამშრომლობაზე ნაკლები ორიენტაცია (Domino, 1974; Gough, 1957), ფსიქოტიზმი (Eysenck, 1995) - ნიშნები, რომლებშიც გარშემომყოფების მხრიდან მხარდაჭერის მნიშვნელობა ან საჭიროება არ ჩანს. საზოგადოების მხრიდან მიღებული მხარდაჭერა და უკუკავშირი მნიშვნელოვანი და მამოტივირებელია (Madjar et al., 2002; Catmull & Wallace, 2014), თუმცა ზოგჯერ, ამ ექსტერნალურმა მოტივაციამ - დადებითი უკუკავშირის მიღების სურვილმა, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს შემოქმედზე, ხელი შეუშალოს მას ორიგინალური პროდუქტის შექმნაში (მაგ. Amabile, 1999).

გარშემომყოფების აზრი მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ ამ გარშემომყოფებთან ინტერაქციაში, ამ გარემოში არსებობს ცოდნა, რომელსაც ეყრდნობა შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანი ორიგინალური და სასარგებლო პროდუქტის შექმნისას და ამავე გარემოს წარმომადგენლები წყვეტენ კონკრეტული პროდუქტი შემოქმედებითი თვალსაზრისით ღირებულად ჩათვალონ თუ არა

(Csikszentmihaly, 1999). აღიარება - ინდივიდის კონკრეტული სფეროსთვის საჭირო უნარების მქონედ მიჩნევა - მნიშვნელოვანია შემოქმედებითი თვითეფექტურობისთვის (Lebula & Csikszentmihalyi, 2017), რაც შემოქმედებითი აქტივობების განხორციელებას უწყობს ხელს (Tierney & Farmer, 2002; Tierney & Farmer, 2011). შემოქმედებითი აქტივობების ქონა კი მიღწევების პროგნოზირების საშუალებას იძლევა (Jauk et al., 2014).

შემოქმედებითობის თვალსაზრისით, სქესთა შორის არსებული განსხვავებების შემსწავლელი კვლევების ანალიზიდან (Baer & Kaufman, 2008) ჩანს, რომ შემოქმედებითი პოტენციალის მიხედვით სქესთა შორის განსხვავება არ შეინიშნება, თუმცა კაცებთან, შემოქმედებითი მიღწევის შედარებით მაღალი მაჩვენებელი გვხვდება. ეს განსხვავება კულტურაში არსებული შეხედულებებისა და სტერეოტიპების გავლენითაც შეიძლება აიხსნას, რაც პიროვნული იდენტობის ფორმირებაზეც აისახება.

რამდენადაც პიროვნება შემოქმედებით იდენტობას სხვებთან ინტერაქციის პროცესში იძენს და შემოქმედებითი სელფის ფორმირებისას, როგორც საკუთარ გამოცდილებას, ისე გარშემომყოფების აზრს ანიჭებს მნიშვნელობას (Glaveanu & Tanggaard, 2014), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონკრეტულ საზოგადოებაში, კულტურაში არსებული და შემოქმედებითობასთან დაკავშირებული დისკურსები, წარმატებულ შემოქმედთა იდენტობაში გამოვლინდება. შემოქმედებითი მიღწევების მქონე ადამიანთა შემოქმედებითი იდენტობის კვლევა (მსგავსი აღიარების არ მქონე შემოქმედებთან შედარებით) კი საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ის მახასიათებლები, რაც სოციალურ კონტექსტთან ინტერაქციაში ყალიბდება, კულტურის მიერ ღირებულად მიიჩნევა და ხელს უწყობს ან უშლის შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანს ამ უნარის მიღწევადად ქცევაში.

თავის მხრივ, შემოქმედებითი სელფი (შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა და შემოქმედებითი თვითეფექტურობა; Karwowski, 2015) შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების ხელშემწყობი ფაქტორი. შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების გზაზე, იმ ეტაპისთვის, როცა უკვე იდეის აქტიური რეკლამირება და გარშემომყოფებამდე მიტანაა საჭირო, საკუთარი თავის,

შესაძლებლობებისა და შექმნილი პროდუქტის ღირებულობის რწმენამ, შესაძლოა, შემოქმედ ადამიანს ამ პროდუქტის ეფექტიანად წარმოჩენასა და საზოგადოებასთან მიტანაში შეუწყოს ხელი. საკუთარი თავის შემოქმედებით პიროვნებად, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარიანად აღქმა, სოციალური რეპრეზენტაციის თეორიის (Marková, 2003) ჭრილში განხილულ სელფს და შესაბამისად, იმ დაშვებას მოიაზრებს, რომ გარშემომყოფებთან ინტერაქციის შედეგად ფორმირებული, შემოქმედებითი სელფის მქონე ადამიანისგან საზოგადოება ორიგინალურ და უჩვეულო აქტივობებს ელის. თუმცა, აქაც, მნიშვნელოვანია, თუ რა შინაარსს დებენ კონკრეტული კულტურის წარმომადგენლები შემოქმედებითობაში (Yue, 2004) და რამდენად ტოლერანტულია საზოგადოება განსხვავებულის მიმართ (Florida, 2002).

შემოქმედებითი პოტენციალის და შედეგად შექმნილი პროდუქტის ეფექტურად წარმოჩენის, გარშემომყოფებით მანიპულირების უნართ ხასიათებიან ინდივიდები, რომლებიც ბნელი ტრიადის ნიშნებით - ნარცისიზმი, მაკიაველიზმი და ფსიქოპათია - გამოირჩევიან. რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ნარცისიზმის სკალაზე მაღალი ქულების მქონე ადამიანები, რომელთაც საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, ქარიზმატულობა და ენთუზიაზმი გამოარჩევთ, შეძლებენ გარშემომყოფებზე გავლენის მოხდენას.

გარშემომყოფებზე გავლენის მოხდენის უნარი ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული მახასიათებლებით გამორჩეულ ადამიანებსაც აქვთ. ემოციური ინტელექტი და ემოციური კრეატიულობა, ერთი მხრივ, შესაძლოა, ადამიანს ეხმარებოდეს საზოგადოებაში არსებული შეხედულებების გაგებაში. შემოქმედებითი პროდუქტის რეკლამირებისას ამ შეხედულებების გათვალისწინება კი - წარმატების მიღწევაში. მეორე მხრივ, გარშემომყოფების ემოციების წვდომისა და ამ ემოციებით მანიპულირების უნარი, შესაძლოა, დაეხმაროს შემოქმედს მათზე გავლენის მოხდენასა და აღიარების მოპოვებაში.

შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანი, უჩვეულო პროდუქტის შექმნის პროცესში, შესაძლოა, ექსტერნალურ და უშუალო განმამტკიცებლებს არ იღებდეს, რაც

ინტერნალური მოტივაციის საჭიროებასა და მნიშვნელობაზე მეტყველებს (Amabile, 1999). ინტერნალური მოტივაციის გარდა, შესაძლოა, შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანს, ამ პოტენციალის რეალიზებისთვის გასავლელ გრძელ გზაზე (Hayes, 1989) ისეთი პიროვნული მახასიათებელი დაეხმაროს, როგორც მიზანსწრაფულობაა. რამდენადაც მიზანსწრაფულობა ფრუსტრაციის, წარუმატებლობის, ნებისმიერი სახის დაბრკოლების არსებობის მიუხედავად, მიზნის მიმართულებით სვლის უნარს უკავშირდება (Duckworth et al., 2007).

მაშინ, როცა მიზანსწრაფული ადამიანები, ნებისმიერი სახის წარუმატებლობის მიუხედავად, იბრძვიან მიზნის მისაღწევად, უარყოფისადმი მგრძობიარე (Rejection sensitivity) ადამიანების შემთხვევაში - გადამეტებულმა ფიქრმა სხვების ქცევებისა და დამოკიდებულებების მიზეზების და თავისებურებების შესახებ (Boyce & Parker, 1989), ცუდმა წინათგრძობამ, რომელიც ეუფლებათ სოციალურად საფრთხისშემცველ სიტუაციებში მოხვედრისას (Magios, Downey, & Shoda, 2000), ნეგატიური შეფასების შიშმა (Watson & Friend, 1969), შესაძლოა, შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს. რადგან შემოქმედებითი აქტივობა, არსებული ნორმების რღვევას, საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ სვლას უკავშირდება (Batey & Furnham, 2006), ის შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სოციალურად საფრთხის შემცველი სიტუაცია/პროცესი, სადაც ნეგატიური შეფასების მიღებაა მოსალოდნელი. ეს ვითარება, შესაძლოა, განსაკუთრებით მწვავედ გამოვლინდეს უარყოფისადმი მგრძობიარეობის მქონე ადამიანების შემთხვევაში, ვისთვისაც ნებისმიერი ინტერპერსონალური სიტუაცია, ოჯახის წევრებთან ურთიერთობაც კი შესაძლოა, საფრთხის შემცველად აღიქმებოდეს (Romero-Canyas et al., 2010) და მცირე ჯგუფებისგანაც ვერ გრძობდნენ მხარდაჭერას, არათუ საზოგადოებისგან.

ამრიგად, მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომი მოსამზადებელი ეტაპისა (კვლევის ინსტრუმენტების ადაპტირება და ფსიქომეტრული მახასიათებლების შემოწმება) და ოთხი ნაწილისგან შედგება: კვლევის პირველი ნაწილი, დანარჩენი სამისგან განსხვავებით, თვისებრივია და ქართული კულტურის ფარგლებში შემოქმედებითი პოტენციალისა და მიღწევების მქონე ადამიანების პოზიციიდან დანახულ

შემოქმედებითობას, მისი რეალიზების ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირებას ისახავს მიზნად. კვლევის მეორე ნაწილი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებაში სოციალურად ავერსიული პიროვნული ნიშნების - ნარცისიზმი, მაკიაველიზმი, ფსიქოპათია - როლზე ამახვილებს ყურადღებას, მესამე ნაწილში ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული ნიშნების - ემოციური ინტელექტი, ემოციური შემოქმედებითობა - როლს ვიკვლევთ. კვლევის მეოთხე ნაწილი არა მხოლოდ პოტენციალის რეალიზებაში ხელშემწყობ, არამედ შემაფერხებელ ფაქტორებსაც ეხება და ისეთ ნიშნებს იკვლევს, როგორც ერთი მხრივ, შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა, მიზანსწრაფულობა და პერფექციონიზმი, მეორე მხრივ კი, ნეგატიური შეფასების შიში და უარყოფისადმი მგრძნობელობაა.

### 3.1. მოსამზადებელი ეტაპი - კვლევის ინსტრუმენტების მომზადება

სადისერტაციო კვლევის ფარგლებში მოვამზადეთ ის ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებაც აუცილებელი იყო ჰიპოთეზების შესამოწმებლად, თუმცა ინსტრუმენტების ქართული ვარიანტები არ გვქონდა. ამ მიზნის მისაღწევად მოვამზადეთ შემოქმედებითი სელფის საკვლევი მოკლე კითხვარის (Karwowski, 2011), მიზანსწრაფულობისა (Duckworth, 2007) და ნეგატიური შეფასების შიშის საკვლევი კითხვარის (BFNE; Leary, 1983) ქართული ვერსიები.

#### 3.1.1. შემოქმედებითი სელფის საკვლევი ინსტრუმენტის ადაპტაცია

შემოქმედებითი სელფის საკვლევი მოკლე სკალა (Karwowski, 2011) 11 დებულებას მოიცავს და საწყის ეტაპზე მიიჩნეოდა, რომ კითხვარზე დაყრდნობითი სამი ქულის მიღებაა შესაძლებელი: შემოქმედებითი მე კონცეფციის ერთიანი ქულა, შემოქმედებითი პიროვნული იდენტობისა და შემოქმედებითი თვითეფექტურობის ქულები. მოგვიანებით, ფაქტორულმა ანალიზმა ორფაქტორიანი მოდელის არსებობა დაადასტურა (Karwowski, Lebuda, & Wiśniewska, 2018). ამდენად, კითხვარი შემოქმედებითი იდენტობისა (“ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ კრეატიული ადამიანი ვიყო”) და თვითეფექტურობის (“მჯერა, ჩემი შემოქმედებითი შესაძლებლობების”) განსაზღვრის საშუალებას იძლევა. შემოქმედებითი სელფის მოკლე სკალის ქართული ვარიანტის შექმნის პროცესში კონსტრუქტის ფაქტორული სტრუქტურის განსაზღვრასთან ერთად, შევაფასეთ მისი კავშირი ისეთ კონსტრუქტებთან, როგორც შემოქმედებითი აქტივობები და მიღწევებია.

##### 3.1.1.1 კვლევის მონაწილეები და ინსტრუმენტები

შემოქმედებითი სელფის საკვლევი კითხვარის ადაპტაციის პროცესში 17-დან 58 წლამდე ასაკის ( $M = 20.97$ ,  $Sd = 5.25$ ) 383 ადამიანი მონაწილეობდა (124 კაცი). მონაწილეები ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, ნებაყოფლობით ერთვებოდნენ კვლევაში.

საწყის ეტაპზე, მოვამზადეთ შემოქმედებითი სელფის მოკლე სკალის ორი ურთიერთდამოუკიდებელი თარგმანი. თარგმანების განხილვისა და შეჯერების საფუძველზე შევქმენით შემოქმედებითი სელფის საკვლევი ინსტრუმენტის ქართული ვერსია. შემდგომ, არსებული ვერსიის უკუთარგმანი მომზადდა, რათა შეგვემოწმებინა დებულებების შინაარსობრივი შესაბამისობა ორიგინალთან. შესაბამისობის დადგენის შემდგომ, კითხვარის შევსება ვთხოვეთ 20 მონაწილეს, რათა დებულებათა კოჰერენტულობა შეგვეფასებინა. შედეგად, მოვამზადეთ კითხვარის სამუშაო ვერსია.

შემოქმედებითი სელფის მოკლე სკალის ქართული ვარიანტის ვალიდურობის შეფასების მიზნით, გამოვიყენეთ შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების კითხვარის (ICAA; Diedrichet al., 2017) ქართული ვერსია, რომელიც დეტალურად არის აღწერილი სადოქტორო კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტების ქვეთავში.


### 3.1.1.2. შედეგები და შედეგების განხილვა

დამადასტურებელმა ფაქტორულმა ანალიზმა ორ განზომილებიანი უმაღლესი რიგის მოდელისთვის დამაკმაყოფილებელი შედეგები არ აჩვენა;  $\chi^2(43) = 1617.6$ , CFI = .50, RMSEA = .31. მოდიფიკაციის მაღალი ინდექსების არსებობამ, შესაფასებელ მოდელში დებულებებს შორის ინტერკორელაციის დაშვების საშუალება მოგვცა (შემოქმედებითი თვითეფექტურობის სკალაზე მე-6 და მე-3, მე-3 და მე-9, მე-4 და მე-9, მე-6 და მე-9 დებულებებს შორის. შემოქმედებითი პიროვნული იდენტობის სკალაზე მე-2 და მე-7, მე-2 და მე-10, მე-10 და მე-11 დებულებებს შორის). რამდენადაც დებულებები შინაასრობრივად მსგავსი იყო, მათ შორის კორელაციის დაშვება თეორიულადაც გამართლებული იყო. დამადასტურებელმა ფაქტორულმა ანალიზმა მოდიფიცირებული მოდელისთვის შემოქმედებითი სელფის ორფაქტორიანი მოდელის არსებობა დაადასტურა [ $\chi^2(36, N=383) = 115.4$ ,  $p < .001$  CFI = .98, TLI = .96 RMSEA = .08]. მოდელში შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა და შემოქმედებითი თვითეფექტურობა პირველი რიგის ლატენტურ ფაქტორებად გვევლინება (სურათი 1). მოცემული შედეგები ინსტრუმენტის საწყისი ვერსიისგან განსხვავებით, შემოქმედებითი

პიროვნული იდენტობისა და შემოქმედებითი თვითფექტურობის ქულებს გვადლევს, შემოქმედებითი სელფის კონცეფციის ერთიან ქულას კი - არა. აღნიშნული შედეგი შესაბამისობაშია ინსტრუმენტის ავტორების მიერ 2018 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში აღწერილ შედეგებთან, სადაც ჩანს, რომ ხსენებული სკალა შემოქმედებითი პიროვნული იდენტობისა და თვითფექტურობის ქულებს გვადლევს (Karwowski, Lebuda, & Wiśniewska, 2018)

შემოქმედებითი პიროვნული იდენტობის სკალის შინაგანი შეთანხმებულობის ქულა პიროვნული კითხვარებისთვის დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელია (.75) ისევე, როგორც შემოქმედებითი თვითფექტურობის სკალის ქულა (.84). ამდენად, შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი შემოქმედებითი სელფის ქართული ვერსიის სკალებისთვის შესაბამისობაშია ორიგინალი ინსტრუმენტის მახასიათებლებთან (Karwowski et al., 2018). შემოქმედებითი პიროვნული იდენტობისა და შემოქმედებითი თვითფექტურობის თვალსაზრისით სქესთა შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა.

სურათი N1. შემოქმედებითი სელფის მოდელის ფაქტორული დატვირთვა



შემოქმედებითი სელფის შემოქმედებით აქტივობებსა და მიღწევებთან კავშირის ამსახველი ინფორმაცია მოცემულია ცხრილში N1. შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა დადებითად კორელირებს შემოქმედებით აქტივობებთან, თუმცა არა - შემოქმედებით მიღწევებთან. იმის გათვალისწინებით, რომ შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა, იდენტობაში შემოქმედების ადგილს და პიროვნებისთვის მის მნიშვნელოვნებას უკავშირდება, პირდაპირი კავშირი ამ ორ კონსტრუქტს შორის შესაძლოა არ იყოს. ამასთან, შემოქმედებითი აქტივობებისგან განსხვავებით, სადაც აქტივობის შემოქმედებითად შეფასებაც შედარებით მარტივად ხდება, შემოქმედებითი მიღწევების შემთხვევაში გარშემომყოფების მხრიდან აღიარებაა საჭირო. შემოქმედებითი პიროვნული იდენტობის მქონე ადამიანისთვის შესაძლოა აღიარებაც მნიშვნელოვანი იყოს, თუმცა ამისთვის სხვა ფაქტორების არსებობაა მნიშვნელოვანი. თუნდაც იმ რწმენის, რომ კონკრეტული პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრა შეუძლია. ეს კი შემოქმედებითი თვითეფექტურობის დადებით კავშირს შემოქმედებით აქტივობებსა და მიღწევებთან ლოგიკურს ხდის. ამასთან, შემოქმედებითი სელფის კავშირი შემოქმედებით პოტენციალთან და თვითანგარიშის საფუძველზე შეფასებულ

შემოქმედებითობასთან არსებული კვლევებითაც დასტურდება (Karwowski et al., 2018; Tierney, & Farmer, 2002 ).

ცხრილი N1. შემოქმედებითი სელფის კავშირის შემოქმედებით აქტივობებსა და მიღწევებთან

	M(Sd)	Skewness	Kurtosis	შემოქმედებითი აქტივობა	შემოქმედებითი მიღწევა
შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა	3.64 (2.18)	14.27	251.8	.14**	.06
შემოქმედებითი თვითფეფექტურობა	3.69 (.76)	-.485	.004	.25**	.16**

შენიშვნა. \* $p < .05$  \*\* $p < .01$ .

### 3.1.2. მიზანსწრაფულობის საკვლევი ინსტრუმენტის ადაპტაცია<sup>2</sup>

სადოქტორო კვლევის ფარგლებში მოვამზადეთ მიზანსწრაფულობის 12 დებულებიანი კითხვარის ქართული ვერსია (Grit-O; Duckworth et al., 2007). კითხვარი ინტერესთა თანმიმდევრულობისა (“ჩემი ინტერესები წლიდან წლამდე იცვლება”) და ძალისხმევის ფაქტორებს მოიცავს (“წინააღმდეგობები არ მაშინებს”). მიზანსწრაფულობის კითხვარის ქართული ვარიანტის შექმნის პროცესში კონსტრუქტის ფაქტორული სტრუქტურის განსაზღვრასთან ერთად, შევაფასეთ მიზანსწრაფულობის კავშირი ისეთ კონსტრუქტებთან როგორც დიდი ხუთეულის პიროვნული ნიშნები, შემოქმედებითი მიღწევა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა.

#### 3.1.2.1 კვლევის მონაწილეები და ინსტრუმენტები

მიზანსწრაფულობის საკვლევი კითხვარის ადაპტაციის პროცესში 17-დან 66 წლამდე ასაკის 431 ადამიანი მონაწილეობდა (241 ქალი). მონაწილეები ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, ნებაყოფლობით ერთვებოდნენ კვლევაში.

საწყის ეტაპზე, ორმა ექსპერტმა მიზანსწრაფულობის საკვლევი ინსტრუმენტის ორი ურთიერთდამოუკიდებელი თარგმანი მოამზადა. თარგმანების განხილვისა და შეჯერების საფუძველზე შევქმენით მიზანსწრაფულობის საკვლევი ინსტრუმენტის ქართული ვერსია (G-Grit). შემდგომ, არსებული ვერსიის უკუთარგმანი მომზადდა, რათა შეგვემოწმებინა დებულებების შინაარსობრივი შესაბამისობა ორიგინალთან. შესაბამისობის დადგენის შემდგომ, კითხვარის შევსება ვთხოვეთ 30 მონაწილეს, რათა დეულებათა კოჰერენტულობა შეგვეფასებინა. შედეგად, დებულებათა ქართული ვარიანტების მცირე მოდიფიცირების საფუძველზე მოვამზადეთ კითხვარის სამუშაო ვარიანტი.

<sup>2</sup> დისერტაციის ამ ნაწილში ასახული შედეგები გამოქვეყნებულია სტატიის სახით (Sordia, & Martskvishvili, 2020)

მიზანსწრაფულობის ქართული კითხვარის ვალიდურობის შეფასების მიზნით, გამოვიყენეთ შემდეგი კონსტრუქტების შესაფასებელი ინსტრუმენტები; პიროვნების ათდებულეზიანი კითხვარის (TIPI; Gosling, Rentfrow, & Swann, 2003) ქართული ვერსია (მარწყვიშვილი, სორდია, ნოუბაური, 2020); ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის შესაფასებელი კითხვარი (PWB; Diener, Wirtz, Biaswas-Diner, Tov, Kim-Prieto, Choi, & Oishi, 2009), რომელიც 8 დებულებას მოიცავს, სადაც თითოეული დებულება შვიდბალიან სკალაზე ფასდება (1 - ნამდვილად არ ვეთანხმები, 7 - ნამდვილად ვეთანხმები); შემოქმედებითი მიღწევის შესაფასებლად გამოვიყენეთ შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების კითხვარის (ICAA; Diedrich et al., 2017) ქართული ვერსია, რომელიც დეტალურად არის აღწერილი სადოქტორო კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტების ქვეთავში


### 3.1.2.2. შედეგები და შედეგების განხილვა

დამადასტურებელმა ფაქტორულმა ანალიზმა ორგანზომილებიანი უმაღლესი რიგის მოდელისთვის დამაკმაყოფილებელი შედეგები არ აჩვენა;  $\chi^2(53) = 209.65$ , CFI = .90, RMSEA = .08. მოდიფიკაციის მაღალი ინდექსების არსებობამ, შესაფასებელ მოდელში სამ დებულებას შორის ინტერკორელაციის დაშვების საშუალება მოგვცა (1-ლი, მე-6 და მე-8 დებულება). რამდენადაც დებულებები შინაარსობრივად მსგავსი იყო, მათ შორის კორელაციის დაშვება თეორიულადაც გამართლებულია. დამადასტურებელმა ფაქტორულმა ანალიზმა მოდიფიცირებული მოდელისთვის მიზანსწრაფულობის ორფაქტორიანი მოდელის არსებობა დაადასტურა [ $\chi^2(25, N = 431) = 133.525$ ,  $p < .001$ ]. (CFI = .95; TLI = .93; RMSEA = .06 ), სადაც ინტერესთა თანმიმდევრულობა და ძალისხმევა პირველი რიგის ლატენტურ ფაქტორებად გვეკლინება (სურათი 2). მიზანსწრაფულობის ერთიან კონსტრუქტს (.80) ისევე, როგორც ინტერესთა თანმიმდევრულობისა (.79) და ძალისხმევის (.80) ფაქტორებს შინაგანი შეთანხმებულობის მაღალი მაჩვენებელი აქვს. ამდენად, მიზანსწრაფულობის ქართულ კითხვარში პირველი რიგის ორი ფაქტორის კომბინაციით შექმნილ კონსტრუქტს

ვზომავთ, რაც იმ თეორიულ ჩარჩოს შეესაბამება, რომლის ფაქტორებში მიზანსწრაფულობის კითხვარი შეიქმნა (იხ. Duckworth et al., 2007). შინაგანი შეთახმებულობის ქულები კი არსებულ კვლევებში მიღებული შედეგების მსგავსია (იხ. Clark & Malecki, 2019).

მიზანსწრაფულობის ერთიანი ქულისა და მისი ფაქტორების კვლევის სხვა კონსტრუქტებთან კავშირის ამსახველი ინფორმაცია მოცემულია ცხრილში N2. მიზანსწრაფულობა, მის ფაქტორთა მსგავსად, დადებითად კორელირებს კეთილსინდისიერებასთან. მიზანსწრაფულობისა და მისი კორელატების შესახებ მეტა-ანალიტიკურ კვლევაში (Credé et al., 2016) კეთილსინდისიერებასა და მიზანსწრაფულობას შორის მაღალი კორელაციის არსებობა ვლინდება, რაც ამ კონსტრუქტების იგივეობასთან დაკავშირებულ ეჭვებს აჩენს. ამ შედეგისგან განსხვავებით, ჩვენს კვლევაში მიღებული კორელაციის საშუალო მაჩვენებელი, შესაძლოა, პიროვნული მახასიათებლების შესაფასებელი ინსტრუმენტის სპეციფიკით აიხსნას. პიროვნების ათდებულებიანი კითხვარი კეთილსინდისიერებას ორი დებულების ხარჯზე აფასებს, რაც კეთილსინდისიერების ყოველმხრივ შესწავლას შეუძლებელს ხდის და მხედველობის მიღმა ტოვებს კონსტრუქტის ისეთ ასპექტებს, რომელიც შესაძლოა მას მიზანსწრაფულობას ამსგავსებდეს.

სურათი N2. მიზანსწრაფულობის მოდელის ფაქტორული დატვირთვა



ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა დადებითად უკავშირდება მიზანსწრაფულობას. ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნის კავშირი ძალისხმევის ფაქტორთან ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ინტერესთა თანმიმდევრულობასთან. რაც შესაბამისობაშია არსებული კვლევების შედეგებთან (იხ. Credé et al., 2017). შემოქმედებითი მიღწევების ერთიანი ქულა დადებითად უკავშირდება მიზანსწრაფულობის ერთიან ქულას ისევე, როგორც ძალისხმევის ფაქტორს. ამ შედეგის ლოგიკურობაზე მეტყველებს ის, რომ შემოქმედებითი მიღწევის ქონა შემოქმედად ყოფნის (მაგ. Nickerson, 1985), წინააღმდეგობათა გადალახვის სურვილს (იხ. Sternberg & Lubart, 1991) და შესაბამისად, მიზანსწრაფულობას, როგორც ამ წინააღმდეგობების გადალახვისთვის საჭირო ძალისხმევის წყაროს უკავშირდება.

ცხრილი N2. მიზანსწრაფულობის კავშირი ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან, შემოქმედებით მიღწევებსა და ბაზისურ პიროვნულ ნიშნებთან

	ინტერესთა თანმიმდევრულობა	ძალისხმევა	მიზანსწრაფულობა
ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა	.18**	.56**	.43**
შემოქმედებითი მიღწევა	.04	.18**	.13*
პიროვნების 10 დებულებიანი კითხვარი			
ნევროტიზმი	-.35**	-.17	-.33**
კეთილსინდისიერება	.23*	.37**	.36**
გამოცდილებისადმი ღიაობა	.04	.24*	.17
კეთილგანწყობა	.05	.04	.06
ექსტრავერსია	.07	.29**	.21*

შენიშვნა. \* $p < .05$  \*\* $p < .01$ .

## 3.1.3. ნეგატიური შეფასების შიშის საზომი ინსტრუმენტის ადაპტაცია

სადოქტორო კვლევის ფარგლებში მოვამზადეთ ნეგატიური შეფასების შიშის 12 დებულებიანი მოკლე კითხვარის ქართული ვერსია (BFNE; Leary, 1983). კითხვარი მოიცავს ისეთ დებულებებს, როგორცაა, ერთი მხრივ, „*მეშინია, რომ ჩემ ნაკლოვანებებს სხვებიც შეამჩნევენ*“ და მეორე მხრივ, „*არ მალეღვებს თუ სხვას ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება ექმნება*“ (რევერსული დებულება). თითოეულ დებულებას მონაწილეები ხუთბალიან სკალაზე აფასებენ და სკალა გვაძლევს ნეგატიური შეფასების შიშის ერთიან ქულას.

## 3.1.3.1 კვლევის მონაწილეები და ინსტრუმენტები

ნეგატიური შეფასების შიში საკვლევი კითხვარის ადაპტაციის პროცესში 17-დან 58 წლამდე ასაკის 272 ადამიანი მონაწილეობდა (82 ქალი). მონაწილეები ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, ნებაყოფლობით ერთვებოდნენ კვლევაში.


ინსტრუმენტის ადაპტაციისთვის, საწყის ეტაპზე, ნეგატიური შეფასების შიშის კითხვარის ორი ურთიერთდამოუკიდებელი თარგმანი მომზადდა. თარგმანების განხილვისა და შეჯერების საფუძველზე შეიქმნა ნეგატიური შეფასების შიშის საკვლევი ინსტრუმენტის ქართული ვერსია. ამ ვერსიის უკუთარგმანის მომზადებისა და ორიგინალთან მისი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენის შემდგომ, კითხვარის შევსება ვთხოვეთ 39 მონაწილეს, რათა დებულებათა კოჰერენტულობა შეგვეფასებინა. შედეგად, დებულებათა ქართული ვარიანტების მცირე მოდიფიცირების საფუძველზე მოვამზადეთ კითხვარის სამუშაო ვარიანტი.

ნეგატიური შეფასების შიშის საკვლევი კითხვარის ქართული ვარიანტის ვალიდურობის შეფასების მიზნით, გამოვიყენეთ შემდეგი კონსტრუქტების შესაფასებელი ინსტრუმენტები; პიროვნების ათდებულებიანი კითხვარის (TIPI; Gosling, Rentfrow, & Swann, 2003) ქართული ვერსია (მარწყვიშვილი, სორდია, ნოიბაუერი, 2020) და უარყოფისადმი მგრძნობელობის საკვლევი კითხვარის (Downey & Feldman, 1996) მოდიფიცირებული ვერსია.

3.1.3.2. შედეგები და შედეგების განხილვა

დამადასტურებელმა ფაქტორულმა ანალიზმა ერთგანზომილებიანი უმაღლესი რიგის მოდელისთვის დამაკმაყოფილებელი შედეგები არ აჩვენა;  $\chi^2(54) = 294.9$ , CFI = .74, RMSEA = .13). შესაფასებელ მოდელში 5 შინაარსობრივად მსგავს დებულებას შორის თეორიულად მისაღები ინტერკორელაციის (მე-2, მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 დებულება) დაშვების შემდგომ, ფაქტორულმა ანალიზმა მოდიფიცირებული მოდელისთვის ნეგატიური შეფასების შიშის ერთფაქტორიანი მოდელის არსებობა დაადასტურა [ $\chi^2(50, N = 272) = 135.6, p < .001$ ]. (CFI = .91; TLI = .88; RMSEA = .08 ) (იხ. სურათი N3). ნეგატიური შეფასების შიშის კითხვარის შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი მაღალია (.80) ისევე, როგორც ამ კითხვარის ორიგინალის შემთხვევაში (Leary, 1983).

სურათი N3. ნეგატიური შეფასების შიშის კითხვარის ფაქტორული დატვირთვა



ნეგატიური შეფასების შიშის ვალიდურობის შესაფასებლად ამ კონსტრუქტის უარყოფისადმი მგრძნობელობესთან და დიდი ხუთეულის პიროვნულ ნიშნებთან კორელაცია ვიკვლიეთ. შედეგები მოცემულია ცხრილში N3. ნეგატიური შეფასების შიში, როგორც მოსალოდნელი იყო, დადებითად კორელირებს უარყოფის მოლოდინთან, შფოთვისა თუ ბრაზის სახით გამოვლენილ უარყოფისადმი

მგრძნობელობასთან ისევე, როგორც უარყოფისადმი მგრძნობელობის ერთიან ქულასთან. ნეგატიური შეფასების შიში, ხშირად, სოციალური შფოთვის სამარკო ნიშნად მიიჩნევა და სოციუმის მხრიდან მოსალოდნელი უკუკავშირისადმი მგრძნობელობასთან ამ ნიშნის კავშირი თეორიულადაც და კვლევებითაც დასტურდება (მაგ. Van der Molen, Poppelaars, Van Hartingsveldt, Harrewijn, Gunther Moor, & Westenberg, 2014). დიდი ხუთეულის პიროვნული ნიშნებიდან ეს ნიშანი უარყოფითად უკავშირდება, როგორც ემოციურ სტაბილურობას, ისე ექსტრავერსიასა და გამოცდილებისადმი ღიაობას. ეს შედეგი დასტურდება სხვა კვლევებშიც (მაგ. Hazel, Keaten, & Kelly, 2014) და ჩანს, რომ ნევროტიზმი მეტწილად დისფუნქციურ აზრებსა და შფოთვის უკავშირდება, რაც ნეგატიური შეფასების შიშის მქონე ადამიანებსაც ახასიათებთ და ხშირად ეს ადამიანები ცდილობენ თავი აარიდონ ისეთ სიტუაციებს, სადაც შესაძლოა გარშემომყოფებმა შეაფასონ, რაც ექსტრავერსიასა და გამოცდილებისადმი ღიაობასთან ამ ნიშნის უარყოფით კავშირს ლოგიკურს ხდის.

ცხრილი N3. ნეგატიური შეფასების შიშის კავშირი ბაზისურ პიროვნულ ნიშნებთან და უარყოფისადმი მგრძნობელობასთან

	გამოცდილებისადმი ღიაობა	კეთილსინდისიერება	ექსტრავერსია	კეთილგანწყობა	ემოციური სტაბილურობა	უარყოფის მოლოდინი	უარყოფისადმი მგრძნობელობა	ბრაზიანი უარყოფისადმი მგრძნობელობა	შფოთვისადმი უარყოფისადმი მგრძნობელობა
ნეგატიური შეფასების შიში	-.20**	-.02	-.14**	.01	-.33**	.16**	.36**	.23**	.33**

შენიშვნა. \*p<.05 \*\*p<.01.

## 3.2. ნაწილი პირველი

### 3.2.1. კვლევის მიზანი

სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში დაგეგმილი კვლევის პირველი ნაწილი თვისებრივია და მიზნად ისახავს ქართული კულტურის წარმომადგენლებთან შემოქმედებითობის ცნების, შემოქმედებითობის რეალიზების ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორების შესახებ ინფორმაციის მიღებას. კვლევის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებასთან ერთად, საკითხის თვისებრივი მეთოდის გამოყენებით შესწავლა საშუალებას გვაძლევს შესასწავლი საკითხის შესახებ მრავალმხრივი და ურთიერთშემავსებელი ინფორმაცია მივიღოთ. ასევე, თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით საშუალება გვქონდა ცვლილებები შეგვეტანა რაოდენობრივი კვლევის გეგმაში.

### 3.2.2. კვლევის მეთოდი და დიზაინი

#### კვლევის მონაწილეები

შემოქმედებითობის კვლევისას ხშირად ისეთ კრიტერიალურ ჯგუფებს სწავლობენ, რომელთა საქმიანობაც შემოქმედებითობას უკავშირდება. ასეთი ჯგუფები მხატვრების, მწერლებისა თუ სხვა კრეატიული სფეროს წარმომადგენლებისგან იქმნება. ჩვენს კვლევაში ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა“ 15-მა კონკურსანტმა (8 ქალი;  $M_{საკი} = 23$ ;  $SD_{საკი} = 3.6$ ) მიიღო მონაწილეობა. მონაწილეთა უმეტესობა (11) კონკურსის გამარჯვებულები - პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელები იყვნენ. კვლევის 4 მონაწილე შეირჩა იმ ადამიანებისგან, ვინც სცადა კონკურსში მონაწილეობა, მაგრამ ფინალში ვერ გადავიდა. ეს საშუალებას გვაძლევს წარმატებული გამოცდილების მქონე ადამიანებთან ერთად, ის ხალხიც მოვიცვათ, ვისი გამოცდილებაც შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების პროცესში წარუმატებელი იყო.

### კვლევის პროცედურა

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ ჩადრმავებული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები, რომელთა ხანგრძლივობაც საშუალოდ ერთი საათი იყო. თითოეულ მონაწილეს ვუსვამდით ძირითად შეკითხვებს - 1. *თქვენთვის რას ნიშნავს შემოქმედებითობა? შემოქმედებითი პოტენციალი? შემოქმედებითი მიღწევა?* 2. *რა იყო შემოქმედებითობასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი გამოწვევა თქვენს ცხოვრებაში?* 3. *მომიყვით შემოქმედებითობასთან და ამავე დროს, წარუმატებლობასთან, მარცხთან, იმედგაცრუებასთან დაკავშირებული გამოცდილების შესახებ.* 4. *დადებითი გამოცდილება? როცა წარმატებული იყავით, მიაღწიეთ იმას, რაც გინდოდათ?* (იხ. დანართი 1).

მონაცემების დამუშავებისთვის გამოვიყენეთ თემატური ანალიზის მეთოდი (Braun & Clark, 2006), რომელიც კვლევის მონაწილეთა ნარატივებში გამეორებული თემების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. სწორედ ამ მეთოდის გამოყენებით ვცადეთ აღმოგვეჩინა და გაგვეანალიზებინა შემოქმედებითი პოტენციალისა და მიღწევების მქონე დამწყები მწერლები რა შინაარსს დებენ შემოქმედებითობაში, რას მიიჩნევენ პოტენციალის რეალიზების ხელშემწყობ და ხელის შემშლელ ფაქტორებად. ინტერვიუებში განმეორებადი თემების შერჩევისას დავეყრდენით, მეტწილად დედუქციურ მიდგომას. ერთი მხრივ, საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული თეორიული მასალისა და მეორე მხრივ, ინტერვიუების პირველ ჯერზე წაკითხვის შედეგად, უკვე გვქონდა იმ სამიზნე თემების წინასწარი მონახაზი, რომელთა აღმოჩენის საშუალებასაც საკვლევი თემა და კვლევის მასალა იძლეოდა. წინასწარ განსაზღვრული კატეგორიების ზოგადი მონახაზი, ინტერვიუების ტრანსკრიფტების დეტალური განხილვის კვალდაკვალ იცვლებოდა, რამდენადაც, კოდირების პროცესში, უშუალოდ მასალის თავისებურებებიდან გამომდინარე ხდებოდა კოდების გამოყოფა (ინდუქციური მიდგომა), რომლებიც ან ერთიანდებოდნენ წინასწარ განსაზღვრულ თემებში, ან ახალი თემის ფორმირების საჭიროებას ქმნიდნენ. ტრანსკრიფტების

კოდირება მოხდა ორი ურთიერთდამოუკიდებელი შემფასებლის მიერ და თითოეულის მიერ გამოყოფილი კოდების გაანალიზებისა და შეჯერების შედეგად, მივედით იმ თემებამდე, რომელიც წარმოდგენილია ნაშრომში. კოდირებული მასალის კატეგორიზება, თემებად გაერთიანება მოხდა საერთო მნიშვნელობების მიხედვით. ცხრილში N4 მოცემულია თითოეული კატეგორიის/თემის განმარტება და შესაბამისი მაგალითი.

### 3.2.2. შედეგები და შედეგების განხილვა

#### 3.2.2.1. ძირითადი თემები

თემატური ანალიზის შედეგად ოთხი მთავარი თემა გამოვლინდა. კვლევის მონაწილეების მოსაზრებები შემოქმედებითობის შესახებ ორ ქვეთემად იყოფა - შემოქმედებითი პოტენციალი და შემოქმედებითი მიღწევები. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ასევე, იკვეთება შემოქმედებითი პოტენციალის მიღწევებად გარდაქმნის ხელშემწყობი და ხელის შემშლელი თემები და შემოქმედებითი აქტივობის მოტივები.

ცხრილი N4. ძირითადი თემები

თემა	განმარტება
შემოქმედებითობის დეფინიცია	მოსაზრებები შემოქმედებითობის არსის, მისი გამოვლინებისა და მასთან დაკავშირებული პიროვნული მახასიათებლების შესახებ. მოიცავს შემოქმედებით პოტენციალს და შემოქმედებით მიღწევებს.
შემოქმედებითი პოტენციალის შემოქმედებით მიღწევად ქცევის ხელშემწყობი ფაქტორები	მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა უწყობს ადამიანს ხელს შემოქმედებითობის გამოვლენაში, გარშემომყოფებისთვის წარდგენასა და მათი მხრიდან დადებითი შეფასებისა და აღიარების მოპოვებაში.
შემოქმედებითი პოტენციალის შემოქმედებით მიღწევად ქცევის ხელის შემშლელი ფაქტორები	მოსაზრებები იმის შესახებ თუ რა უშლის ადამიანს ხელს შემოქმედებითობის გამოვლენაში, გარშემომყოფებისთვის წარდგენასა და მათი მხრიდან დადებითი შეფასებისა და აღიარების მოპოვებაში.

---

შემოქმედებითი აქტივობის მოტივაცია	მოსაზრება იმის შესახებ თუ რა არის შემოქმედებითი აქტივობის აღმძვრელი და წარმმართველი.
-----------------------------------	--

---

### 3.2.2.2. შემოქმედებითობის დეფინიცია

შემოქმედებითობის განხილვისას, მონაწილეები ძირითად აქცენტს იმ უნარზე, შესაძლებლობაზე (იხ. Runco, 2010) აკეთებენ, რაც ადამიანების ერთმანეთისგან განსხვავების საშუალებას იძლევა. არასტანდარტული, ორიგინალური გამოსავლის ძიების უნარი კვლევის მონაწილეების უმრავლესობისთვის შემოქმედებითი პოტენციალის არსებობაზე მეტყველებს. შემოქმედებითი პოტენციალის განხილვისას, შემოქმედებითობის შესახებ არსებულ ლიტერატურაში, ორიგინალურობა ცენტრალური ცნებაა (Barron, 1955; Runco & Acar, 2012; Jauk et al., 2013; Kim, 2008; Runco, Millar, Acar, & Cramond, 2010; Torrance, 1969; Torrance, 2003; Wallach & Wing, 1969). ამავე ლიტერატურაში, ორიგინალურობასთან ერთად შემოქმედებითი პოტენციალის მეორე კრიტერიუმი - აზრიანი/ეფექტიანი პროდუქტის შექმნის უნარი გამოიყოფა. პროდუქტის/იდეის აზრიანობა და ეფექტიანობა შემოქმედებითობის გამოვლინებად მიიჩნეის ჩვენი კვლევის მონაწილეებმაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ სპონტანურად და დამოუკიდებლად, თავისუფალი აზროვნების გამოყენებით ხდება ამ იდეის პოვნა.

შემოქმედებითი პოტენციალის გარდა, შემოქმედებითი მიღწევის განხილვისას, რესპონდენტთა ნაწილი შექმნილი პროდუქტის სიახლეზე ამახვილებს ყურადღებას, რასაც საზოგადოებისთვის სასარგებლო გამოგონებამდე, ინოვაციამდე მივყავართ; იმაზე, რაც შეიძლება სფეროს კომპეტენტურმა წარმომადგენლებმა აღიარონ და მიიღონ და სანაცვლოდ ჯილდოც შემოგთავაზონ. შემოქმედებით მიღწევებზე საუბრისას, სფეროს ექსპერტების მხრიდან აღიარების მნიშვნელობა ჩიქსენთამიჰალას (1999) მიერ შემოთავაზებულ, კრეატიულობის სისტემურ თეორიაშიც ჩანს, სადაც ჩარჩოებს მიღმა ფიქრის უნარისა თუ სხვა პიროვნული მახასიათებლების გვერდით, კონკრეტული სფეროს წარმომადგენლები და ექსპერტები განიხილებიან სწორედ იმ პირებად, ვინც

წყვეტს შემოქმედებით პროდუქტს აქვს თუ არა არსებობის გაგრძელების, შემოქმედებით მიღწევად ქცევის პოტენციალი. სწორედ სფეროს ექსპერტები წყვეტენ შეუძლია თუ არა ამ პროდუქტს გავლენის მოხდენა სფეროზე. გარემოზე/მკითხველზე გავლენის მოხდენის მნიშვნელობაზე საუბრობენ ჩვენი კვლევის მონაწილეები და აღნიშნავენ, რომ შემოქმედებით მიღწევად ის ლიტერატურული ნაწარმოები შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც არამხოლოდ უშუალო მსმენელსა თუ მკითხველზე, არამედ დროის და სივრცის მიღმა მყოფ ადამიანებზეც ახდენს გავლენას და ცვლის, ზრდის, ეხმარება მათ პრობლემებთან გამკლავებაში (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი N5. შემოქმედებითობის დეფინიციის ძირითადი ასპექტები

ძირითადი ასპექტები	სიხშირე	მაგალითი
პოტენციალი		
ახალი, ორიგინალური გამოსავლის მოფიქრების უნარი	12	ბავშობიდანვე ამბობდნენ, რომ არასტანდარტული ბავშვი ვიყავი... მარტო ვთამაშობდი ყოველთვის... რადგან ჩემი ტოლი არავინ არ იყო, რაღაცეებს ვიგონებდი, თუნდაც სათამაშოები იყო, რომლებსაც ჩემი დები იყენებდნენ საბჭოთა კავშირში, მაგრამ იყო დაშლილი და მე ამ სათამაშოებს ახალ ფუნქციას ვუძებნიდი.
ეფექტური გამოსავლის მოძებნის უნარი	4	რთულ სიტუაციებში ეძებ რაღაც მარტივ გამოსავალს, რომელიც მაქსიმალურად ეფექტური არის იმ მოცემულ სიტუაციაში და არა იმას, რომელიც უკვე გათელილი ბილიკია ვიღაცის მერნის მიერ.  იუმორის გამოყენება შემიძლია და ვიცი, რომ იუმორი ყველა ვარიანტში გაჭრის, თუ მან ცუდი არ არის და როგორც წესი, არ გამომდის ხოლმე მან ცუდი. ერთი ეგ და ერთიც, ჩემები რეებიც ყოფილა ხოლმე ეფექტური, ყველას ჰქონდა ეფექტური სათაური. და აქვე ვაღიარებ, რომ წერას რო ვიწყებ, ჯერ სათაური მაფიქრდება და მერე სათაურზე ვაწყობ ხოლმე რაღაცეებს. ოღონდ საიდან მოდის ეს სათაურები არ ვიცი, მაგრამ ეს სათაურები ეფექტურები იყო, მგონია.

დამოუკიდებლად და თავისუფლად მოქმედების უნარი	4	პირველ წელს, როცა მოვხვდი შემოდგომის ლეგენდის ფინალში, მოთხრობაში მეწერა რამდენიმე უხამსი სიტყვა. მომენტებიც მქონდა ალაგ-ალაგ რო დავწერო თუ არა, საკუთარ თავთან ჭიდილი, და მერე უკვე რო გავიაზრე და მივხვდი, რომ რატო არა?! ეს სიტყვა საჭიროა და იმიტომ არსებობს და შენ იყენებ საჭიროებისამებრ, აბსოლიტურად, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ შენ შინაგანად ცუდი ადამიანი ხარ ან უხამსი ან რასაც წერ, სიტყვაზე, ეგ არის შენი ფსიქოლოგიის ანარეკლი..
სპონტანურად მოქმედების უნარი	4	შეიძლება ზოხარ და უცებ სპონტანურად გაფიქრდება, რომ შეხედავ რაღაც ნივთს აი, ეს არის სტეპლერი, მოდი ხომ არ გადავაქციოთ ვეშაპად, შეიძლება არავის არ დასჭირდეს, მაგრამ აკეთებ.
შემოქმედებითი მიღწევა		
ინოვაცია - ის, რაც ახალი, ღირებული და სასარგებლოა	3	მაგალითად პენიცილინის გამოგონებაც ჩემთვის კრეატიულობის ერთ-ერთი მიღწევა იყო, რომელმაც ბევრი ადამიანი გადაარჩინა. როდესაც პოტენციალზე ვსაუბრობთ, მანდ უფრო მოდის წინ შემოქმედებითობა, როდესაც მიღწევაზე ვსაუბრობთ, მანდ სარგებელი.
ის, რაც მიიღო, აღიარა საზოგადოების ნაწილმა	4	თუ ვიღაცეები, კრიტიკოსები, კომპეტენტური ხალხი იტყვის, რომ კარგია, თუ ჯილდოსაც მოგცემენ, რაც არის ამ სფეროში, თუ რაღაც ისეთს აკეთებ, რასაც შეიძლება მერე შეკვეთები მოჰყვეს და რამე თუ ეგ გაიზრდება და მოთხოვნა გაიზრდება შენ შექმნილ პროდუქტზე ალბათ ეგეც არის მიღწევა.
ის, რაც დროს და სივრცეს უძლებს	5	რასაც ვაფასებ არის, იდეის გენიალურობა, ამბის მნიშვნელოვნება, რაღაცა რო გაფიქრებს, რო გიცვლის ცხოვრებას. აი, ესეთი ღირებული, რაც წლები რო გადის მაგრამ მაინც ღირებულია და არ ბერდება. რაც კლასიკაა. სამი საუკუნის წინ რომ დაწერა და უკვე იცოდა მომავალში რა პრობლემები იქნებოდა. ეს არის ჩემთვის მნიშვნელოვანი და იდეაში, ჩემი ოცნება ის არის რომ იქამდე მივიდე.

ის, რაც ადამიანს ცვლის	4	ლიტერატურამ ხომ შეიძლება რაღაც გავლენა მოახდინოს, არ მგონია რომ ლიტერატურა დიდად ადამიანს ცვლის, მაგრამ რაღაც აზრამდე შეიძლება მიგიყვანოს და რაღაც კითხვები გაგიჩინოს და ამას თუ მოახერხებს ჩემი ლიტერატურა და ეს წიგნი, ვიფიქრებ, რომ წარმატებას მივაღწიე რაღაც მხრივ.
------------------------	---	---

### 3.2.2.3. შემოქმედებითი მიღწევის ხელშემწყობი ფაქტორები

შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების ხელშემწყობი ფაქტორები განხილულია ცხრილში N6. კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა იმ აუდიტორიის გათვალისწინებას თვლის მნიშვნელოვნად, რომლისთვისაც ნაწარმოები იქმნება, რაც მჭიდროდ უკავშირდება ისეთ თემას, როგორც საკითხის აქტუალობაა. თუმცა, პირველ შემთხვევაში, აუდიტორიის გათვალისწინება შესაძლოა წერის მანერაში აისახოს (მაგ. „ყველა თაობას თავისი სლენგი აქვს და ჩვენ თაობასაც თავისი სლენგი აქვს და ეს სლენგი მასიურად არის გამოყენებული ამ რომანში, გრძნობებზე გათამაშება გამოდის რა, სიმებზე, გულში რომ გვაქვს.“ - მამრ. 22წ.) და შინაარსის ფორმულირების პროცესზეც მოახდინოს გავლენა (მაგ. „გავხდი მერიკო და როგორც ლ. კი არა, როგორც მერიკო ისე ვწერდი და შესაბამისად, იმათაც ძალიან მოეწონათ. შესაბამისად, ვითვალისწინებ, მე რა მინდა კი არა, ამ ადამიანებს რა უნდათ ჩემგან რომ მიიღონ და მერე ჩავრთავ ორი ხაზი მე რა მინდა და ასე. ეს აუდიტორიის გათვლა მერე დამეხმარა ჩემ ნაშრომებშიც, ყოველთვის უნდა იფიქრო ვისთვის წერ“ - მდედ. 25წ). აუდიტორიის გათვალისწინებასთან და აქტუალური საკითხის შერჩევასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ შერჩეული საკითხი ავტორმა ბუნებრივად, ავთენტურად გადმოსცეს. ამისთვის კი, გამოკითხულთა ნაწილი „პერსონაჟის ტყავში შეძრომის“ უნარსა და გამოცდილების დაგროვებას, დაღვინებას თვლის საჭიროდ.

შემოქმედებითი მიღწევის ინდიკატორებად, ასევე, განხილულია ისეთი პიროვნული მახასიათებლები, როგორც სიმამაცე, გამბედაობაა. ეს მახასიათებლები დამარცხების ალბათობის არსებობის მიუხედავად, გვეხმარება ნამუშევარი გავიტანოთ ფართო ასპარეზზე და კონკრეტული სფეროს ექსპერტებს შევაფასებინოთ მისი

ღირებულობა. სიმამაცის გარდა, კვლევის მონაწილეები საუბრობენ ძალისხმევაზე, სიზარმაცის საპირისპიროდ. აღნიშნავენ, რომ დაუზარელი შრომა, ყოველდღიური ვარჯიში და წერის, როგორც სამსახურის განხილვა ეხმარება ადამიანს, საბოლოო ჯამში, ისეთი პროდუქტის შექმნაში, რასაც შემოქმედებით მიღწევად ქცევის პოტენციალი აქვს.

სიმამაცისა და მიზნის მისაღწევად გაწეული ძალისხმევის გვერდით, ისეთი მახასიათებელიც არის ნახსენები, როგორც გარშემომყოფებზე გავლენის მოხდენის, ადამიანებით მანიპულირების უნარია. ეს უნარი გარშემომყოფებისთვის ინფორმაციის ისე მიწოდებაში ვლინდება, რომ მათგან სასურველი რეაქცია მიიღო ან არასასურველი აირიდო თავიდან (მაგ. „შემიძლია საერთო ენის გამონახვა ყველა ტიპის კაცთან და განეიტრალება შემდგომში უარყოფითი რეაქციის. ანუ ქუჩაში კაი ბიჭებს შემიძლია ვუთხრა, ზდაროვა ბრატ და მერე აკადემიურ სივრცეში პრეზენტაცია გავაკეთო. მართლმადიდებელ მშობელთა კავშირთანაც - თუ 1000 კაცი დამარტყამს კრუგს და ქვებს აიღებენ, პირჯვარს გადავიწერ“ - მამრ. 22წ).

ცხრილი N6. შემოქმედებითი მიღწევის ხელშემწყობი ფაქტორები

ძირითადი ასპექტები	სიხშირე	მაგალითი
აუდიტორიის გათვალისწინება	7	თუნდაც წერის დროს იმაზე ფიქრობ, რომ იქნებ მე მომწონს ეს, მაგრამ არ მოსწონს 97 პროცენტს. ზოგი ადამიანი არის, რომ მთავარია მე მომწონდეს და დარდი არა აქვს ხალხი მას გაუგებს თუ არა და მერე ემახიან გენიოსებს, მაგრამ დიდად სასიხარულო არ არის, როცა რაღაცას ქმნი და ვერავინ ვერ იგებს გარდა სამი-ოთხი ადამიანისა, რომლებიც ასევე ვერ ხვდებიან სწორად გაიგეს თუ არა.
საკითხის აქტუალურობა	3	კი, მჯეროდა რომ რომელიმე ადგილს ავიღებდი, მაგრამ პირველზე მართლა არ მიფიქრია... აი, ვფიქრობ თუნდაც იმიტომ, რომ თემა იყო აქტუალური, მოზარდების მკვლელობას ეხებოდა. დაგვირიგეს თსუდან გაუტანელი დიპლომები, სადაც ეწერა წელი, რომელ წელს დაასრულა, რაზე სწავლობდა, სახელი და გვარი არ ეწერა, რა საჭირო იყო ისედაც და ამ მონაცემების მიხედვით უნდა მოგეყოლა ამბავი, რატომ არ გაიტანა დიპლომი. ამას მოვარგე რაღაცნაირად

		ერთი მოზარდის მიერ მეორე მოზარდის მკვლელობის ამბავი და აი, მაგიტომ ვფიქრობდი, რომ შეიძლება რომელიმე ადგილზე გავსულიყავი. იმიტომ, რომ თემა იყო აქტუალური.
ნაწერის ავთენტურობა	4	ლიტერატურაში მაქსიმალურად საჭიროა რომ ხელოვნური არ გამოვიდეს. მე ვეცადე, რომ ხელოვნური არ გამომსვლოდა. რასაც ვფიქრობდი და რაც მქონდა გადმოსაცემი ვცადე რომ ეგ გადმომეცა შელამაზების გარეშე. მხოლოდ ეს არ არის. მაგალითად პერსონაჟი ასაუბრო ისე, როგორც მისთვის არის შესაფერისი. მაგალითად, ქუჩის ბიჭმა აკადემიურად რომ დაიწყოს საუბარი არ გამოვა ან აკადემიკოსმა ტიპმა ჟარგონულად რომ ისაუბროს არ გამოვა. ეგეცაა უნდა შეძვრე პერსონაჟში. ზოგჯერ ეს ხელოვნურობა არის ხოლმე, კაც ავტორებს სჭირთ ქალის პერსონაჟის აღწერისას, ვერ მიხვდები, რომ ქალია.
ცოდნის და გამოცდილების დაგროვება	7	ამ ეტაპზე შემიძლია ისტორიების წერა, გადაკეთება, გადმოკეთება, გამაფრება, მაგრამ საიმისოდ, რომ ისეთი რაღაც დაწერო, რაც თაობებს ალაპარაკებს, ისტორიები უნდა მქონდეს. მოგონილი ისტორიაც შეიძლება, მაგრამ ხელოვნურია და მოგონილმა რომ ალაპარაკოს თაობები არ მგონია რა. მაშინ ჰარი პოტერი უნდა დაწერო და ფენტეზში უნდა წახვიდე. მე ფენტეზში ვერ წავალ, არ ვიცი, არ შემიძლია.
სიმამაცე, გამბედაობა	2	გამბედაობა უნდა გქონდეს, რომ ეს შენი ნაწერი, ნააზრევი თუ რა ჯანდაბაა გაიტანო ფაბლიქ, ფართო საზოგადოებაში და მერე მიღწევა მოვა ან არა. თუ მოვა, ეს სწორედ გამბედაობიდან გამომდინარე იქნება. თუ არ მოვა, თავს დაანებებ მაგ საქმეს და ეგაა.
ძალისხმევა	10	ადრე იყო, რომ ვლაშქრობდი, ახლა ჯანმრთელობის გამო, რაღაცა მოვიმატე და ახლა ვეღარ ვლაშქრობ და ეს იყო ხოლმე, რომ ვერ ავალთ და რას ქვია ვერ ახვალთ. ეს მერე გავანალიზე, რომ თუ სამყაროში არის რაღაცა, რომელიც ერთმა ადამიანმა მაინც შეიძლება გააკეთოს, ან ჯერ არ არის ადამიანი, რომელმაც შეიძლება ეს გააკეთოს ან მიიღოს, ან რაღაც გამოიმუშავოს, რატომ არ

შეიძლება ეს ადამიანი მე ვიყო. ჰოდა, ასე ჯიუტად მივდივარ ხოლმე რაღაცეებში და იმ რაღაცეებს ვაღწევ.

მანიპულირება

3

ეგრევე ბნელეზო არ უნდა აჯახო, ნელ-ნელა უნდა მოამზადო და სათქმელი პირდაპირ არ უნდა აჯახო რა, ბევრად უფრო მარტივია მოყვე ამბავი ადამიანზე, რომელიც დაამცირეს და შეურაცხყვეს და მერე როგორ ბოროტდება ეს ადამიანი, შედეგი აჩვენო, ვიდრე პირდაპირ ამათ უთხრა, რომ აი, თქვენ სამაგლებო, როგორ მეზიზღებით ამას რომ აკეთებთ და რაღაც.

#### **3.2.2.4. შემოქმედებითი მიღწევის ხელის შემშლელი ფაქტორები**

იმ მახასიათებლების გარდა, რომლებიც შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების ხელშემწყობი ფაქტორების საპირისპირო პოლუსებს ქმნიან (მაგ. სიზარმაცე), კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ ისეთი ფაქტორების მნიშვნელობას, როგორც არის წერის სტილი და დღიურის ტიპის ნაწერების სანაცვლოდ, მკითხველზე მორგებული, ისეთი პროდუქტის შექმნის საჭიროებაზე საუბრობენ, რომელშიც მკითხველი იქნება გათვალისწინებული. ამასთან, მკითხველის მხრიდან ნეგატიური შეფასების, კრიტიკის მიმართ მგრძობელობა შესაძლოა ქცევის შემაფერხებელი აღმოჩნდეს ისევე, როგორც შედარებით დაბალი თვით-ეფექტურობა, მაღალი სტანდარტების ქონა და თვითკრიტიკულობა. როგორც წესი, მაღალი სტანდარტების ქონა ამ სტანდარტების მქონე ადამიანის მიერ გენერირებული იდეების ორიგინალურობას უკავშირდება (Karin & Nordin-Bates, 2019), ჩვენი კვლევის ორი მონაწილე, მსგავსი მაღალი სტანდარტებითა და თვითკრიტიკულობით, შემოდგომის ლეგენდის ფინალისტი და გამარჯვებულია, რაც მათი ნამუშევრის ორიგინალურობაზე მეტყველებს, თუმცა, განსხვავებით სხვა ფინალისტებისა და გამარჯვებულებისგან, რომელთაც შემდგომ განაგრძეს შემოქმედებითი აქტივობა და მიღწევებიც აქვთ (მაგ. გამოცემული წიგნი), ეს ადამიანები შემოქმედებით სფეროში მზარდი აქტიურობით არ ხასიათდებიან. უკუკავშირის მიმართ მგრძობელობის და დაბალი თვით-ეფექტურობის გარდა ისეთ პიროვნულ მახასიათებლებსაც ავლენენ, როგორც შინაგანი

მოტივაციის არქონა ან სიზარმაცეა (მაგ. „*მე იმდენად არ მიყვარს წერა, რომ ჩემ საქმიანობად ვაქციაო. სუფთად მეზარება. მეორე ის, რომ იდეების ნაკლებობა მაქვს.*“ მდედრ. 26წ). შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები აღწერილია ცხრილში N7.

ცხრილი N7. შემოქმედებითი მიღწევის ხელის შემშლელი ფაქტორები

ძირითადი ასპექტები	სიხშირე	მაგალითი
წერის სტილი (დრამატულობა)	8	ნაწერი, რომელიც გეხება მარტო შენ და შენ პიროვნებას. ისეთ გრძნობებზე წერენ გოგოები ხშირად, რო გავიღვიძე, ყავა დავლიე და რაღაც. მან სისულელეა. პირადი გრძნობები ნიცშესი და ფროიდის აღარ აინტერესებს ხალხს.
ნაგატიური შეფასების შიში	3	ისეთი რაღაცეების თქმასაც ვერიდები, რასაც შეიძლება მან ცუდი რეაქცია მოყვეს. შეიძლება ეგეცაა, იმდენად ნეიტრალურ რაღაცეებს ვამბობ ხოლმე იმის შიშით, რომ მან ცუდი რეაქცია არ მოყვეს, რომ მართლა უმნიშვნელოა და მაგიტომაც არ ესმით.
დაბალი შემოქმედებითი თვითეფექტურობა	3	სულ რო ყველაფერი ჩავდო, გავაშალაშინო, ბანწიკი გავუკეთო და სულ რო კანფეტით იყოს, ვაიდა მე გავაკეთე მაქსიმუმი და ეს მაინც იყოს საშუალო? იმიტომ, რომ არ ვთვლი რომ... ვიღაცეებზე ნიჭიერი ვარ, კი, მაგრამ ვისაც ნიჭიერად ვთვლი იმად არ ვთვლი საკუთარ თავს. მამენტ იმის იმედი მაქვს რო თუ უფრო მეტად რაღაცას ვიზამ, უფრო მეტი რაღაც შეიძლება იყოს, მაგრამ საბოლოო ჯამში არ ვიზამ და ეგ არის რა. შეიძლება მქონდეს, მერჩივნოს რო ერთი წიგნი დავწერო, 15 ეგზემპლარი გამოვიდეს და ბედნიერი ვიყო.
სიზარმაცე	4	ერთი ის, რომ მე იმდენად არ მიყვარს წერა, რომ ჩემ საქმიანობად ვაქციაო. სუფთად მეზარება. მეორე ის, რომ იდეების ნაკლებობა მაქვს.
პერფექციონიზმი	3	ზოგადად როცა რაღაცას ვაკეთებ მინდა, რომ მან კარგად ვაკეთებდე და შესაბამისად აღარ ვაკეთებ ხოლმე იმიტომ, რომ არ მაქვს იმედი, რომ კარგად გავაკეთებ. ეგ მარტო წერას არა

### 3.2.2.5. შემოქმედებითი აქტივობის მოტივი

თემატური ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა ის მოტივები, რა მოტივებითაც ჩვენი კვლევის მონაწილეები ერთვებიან შემოქმედებით საქმიანობაში. ნაწილისთვის ის სიამოვნება, რასაც შემოქმედებითი აქტივობა იწვევს, ამ აქტივობის გამეორების საფუძველი ხდება. ნაწილისთვის წერის პროცესს თერაპიული ეფექტი აქვს და გარკვეულ პიროვნულ სირთულეებთან გამკლავების გარდა, სევდიანობის დროს, ამ სევდის გამოხატვის საშუალებაა (მაგ. „ჩანაწერებიც, დღიურებიც მაშინ მაქვს გაკეთებული, როცა არის სევდა და სევდიანობაც მახსიათებს. ბედნიერების დროს თითქმის არ ვწერ.“ მდედ. 20წ.)

შემოქმედებითი მიღწევის დაბალი მაჩვენებელი (არ არსებობა) გვხვდება წერის თერაპიული მიზნით გამოყენებასა და დაბალ თვითეფექტურობასთან ერთად (მაგ. „როცა ვკვები დასაწერად, ვგრძნობ, რომ რაღაც არ გამოდის, რაღაც ვერ არის თავის ადგილზე, ვერ ვფლობ ამ ძალას, რასაც მინდა, რომ ვფლობდე. ამ მწერლურ ძალას. ამიტომ, რასაც ვწერ, რისი მოყოლაც კი მინდა, ყველაფერი მიფუჭდება თითქოს. უბრალოდ მაინც ვცდილობ ვწერო, ვწერო, ვწერო, რომ გამოვიმუშავო ეს ხელობა. რაც მწერლისთვის ძან მნიშვნელოვანია.“ - რ.20). ან წერის თერაპიული მიზნით გამოყენება, აუდიტორიის გაუთვალისწინებლობასთან და შემოქმედებითი მიღწევის არ ქონასთან თანაარსებობს. განსხვავებით იმ შემთხვევებისგან, როცა შემოქმედებითი აქტივობის მამოტივირებელი განცდილი მარცხი ან მოპოვებული გამარჯვებაა. კვლევის მონაწილეების ნაწილისთვის დამარცხება როგორც მოტივატორი, ძალისხმევას/მიზანსწრაფულობასა და კრეატიულ მიღწევებთან კომბინაციაში გვხვდება. მოპოვებული გამარჯვება კი შემოქმედებით თვით-ეფექტურობასთან - იმის რწმენასთან თანაარსებობს, რომ ორიგინალური და ეფექტური პროდუქტის შექმნა შეგიძლია. შემოქმედებით მიღწევებთან კომბინაციაში ვხვდებით აღიარების მოპოვების

მოტივსაც, რაც შემოქმედებით მიღწევებსა და ექსტერნალურ მოტივაციას შორის კავშირის არსებობაზე მიგვანიშნებს. შემოქმედებითი აქტივობის მოტივები აღწერილია ცხრილში N8.

ცხრილი N 8. მოტივი

ძირითადი ასპექტები	სიხშირე	მაგალითი
სიამოვნება	4	<p>ისეთი სამყაროების შექმნა სასიხარულო, რომელიც არ არსებობს. ძირითადად შენთვის უნიკალურ სამყაროს რო ქმნი, რომელიც არსებული სამყაროს ელემენტებს ეყრდნობა... მარკ ტვენი რომ ამბობდა, ბედნიერი კაცი იყო, პირველი კაცი იმიტომ, რომ რო იხუმრებდა იცოდა, რომ პირველი იყო ვინც ეს ხუმრობა თქვაო დაახლოებით იგივეა სამყაროს შემთხვევაშიც. არავის არ ექნება ეგ სახელი მაინც და უნიკალურობის შეგრძნებას გიჩენს. ბევრი რაღაც არის რაც უკვე დაწერილია და მაინც მაგას ვერ აცდები. სასიამოვნო ის ნაწილია, რომ მოდი რაღაც განსხვავებული გავაკეთო.</p>
წერა, როგორც პირადი სარგებლის მომტანი, როგორც თერაპია	5	<p>გააზრებული მაქვს და ჩემი მეოცნებეობის მომენტს რეალურად ვებრძვი. ვებრძვი იმიტომ, რომ რამე კარგი თუ მომადგიქრდება და მეოცნებება, მაქსიმუმ საკუთარ თავს მოუწოდებ იმისკენ, რომ ამაზე ბევრი არ იფიქრო, შეეცადე საქმე აკეთო. და ბევრი რომ არ ვიფიქრო მაგაში წერა მეხმარება და ის, რაზეც მეოცნებება თუ დავწერე, გადის. მანამ მეკვიატება, სანამ არ დავწერ.</p> <p>უმეტესწილად საკუთარი თავისთვის (ვწერ). იმისთვის, რომ ის, რაც დაგროვილია ვიღაცას გაანდო. როგორ აგიხსნათ...</p>
მოგება, როგორც მოტივატორი	3	<p>ის მომენტი, რო შარშან ხო ჩავფლავდი და ახლა ვანახებ ხალხს, რო წერა ვიცი, ეგ მომენტი საერთოდ არ მქონია. იმიტომ, რომ როგორც წესი არ მაქვს ხოლმე ეგ მომენტი, პირიქით თუ წარმატებას ვაღწევ მერე მაქვს ხოლმე, რომ აი წარმატებას მივადწიე და კიდევ უფრო მეტ წარმატებას მივადწიო.</p>

მარცხი, როგორც მოტივატორი	4	<p>რადაც შურისძიების მომენტი მერთვებოდა. ხო არის ხოლმე, აგებენ და მერე თავს ანებებენ, მე პირიქით ისე ვარ ხოლმე, ჟილკა მაქვს. მე ის მომენტი არ მაქვს ხოლმე, რომ მე ვარ ცუდი, ცოტა ეგოისტურია ალბათ, მაგრამ მე ვამბობ, რომ შეეშალათ და ვერ შეაფასეს სწორად.</p>
ფართო საზოგადოების მხრიდან აღიარება	6	<p>ერთადერთი რეაქცია რაც მჭირდება არის მოწონება ან არმოწონება კი არა, ვაუ და ამ ვაუსთან მომწონს ხოლმე „ამას მეც ხომ დავწერდი“ და ამ დროს ვამბობ ხოლმე, რომ კი დაწერდი, მაგრამ ვერასდროს ვერ დაწერე და ვერც დაწერ. ეგ არის ორი რეაქცია რაც მინდა ხოლმე... ეგაა რომ გაცემა მინდა ადამიანში გამოვიწვიო იმიტომ, რომ იმდენ თემაზე დაწერილა, იმდენი დაწერილა, მეც სულ რაღაცაზე რომ ვწერ, ეს ხომ სადღაც წამიკითხავს ვფიქრობ და ვცდილობ სხვა ხერხით შევაჩქო ადამიანებს, რომ იფიქრონ, რომ ეს არსად არ წამიკითხავს, არსად გამიგონია, არადა თემა იგივეა, სიუჟეტს ახალს ვერ მოიგონებ, ფორმა არის ხოლმე სხვანაირი.</p>

ამდენად, თვისებრივი კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებასა და მიღწევად ქცევაზე გავლენას პიროვნულ მახასიათებელთა რიგი ახდენს. ერთი მხრივ, საკუთარი ძალების რწმენა შემოქმედებითი აქტივობების მიღწევებად გარდაქმნის პროცესზე დადებით გავლენას ახდენს. ორიგინალურ და აუდიტორიის გათვალისწინებით შექმნილ პროდუქტს კი მეტად აქვს მიღწევად ქცევის შანსი, ვიდრე ისეთ ნაწარმოებს, რომელიც მხოლოდ საკუთარი გრძნობების გამოხატვას ისახავს მიზნად. საკუთარი თავის რწმენა, გარშემომყოფებით მანიპულირების უნარი, ძალისხმევა, გამბედაობა ის მახასიათებლებია, რომლებიც შემოქმედებითი მიღწევების მქონე დამწყებ მწერლებს პოტენციალის გამოვლენაში დაეხმარა. ნეგატიური შეფასების შიში, პერფექციონიზმი, წერის სტილი ისეთ მახასიათებელთა რიგს განეკუთვნება, რომლებიც შემოქმედებითი პოტენციალის მიღწევებად გარდაქმნას აფერხებს.

### 3.3. მეორე ნაწილი

#### 3.3.1. კვლევის მიზანი

კვლევის მეორე ნაწილი შემოქმედებითი პოტენციალის მიღწევებად ქცევაზე გავლენის მქონე სოციალურად ავერსიული პიროვნული ნიშნების შესწავლას ისახავს მიზნად. ბნელ ტრიადაში შემავალ ნიშნებსა და კრეატიულობას შორის ურთიერთმიმართების კვლევისას, ნარცისიზმი, მაკიაველიზმი და ფსიქოპათია განხილული გვაქვს როგორც შემოქმედებით პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირზე გავლენის მქონე ნიშნები. ნიშნები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანებს პოტენციალის რეალიზებასა და მიღწევებად ქცევაში.

#### 3.3.2. კვლევის მეთოდი და დიზაინი

კვლევის მონაწილეები და პროცედურა

კვლევაში მონაწილეობდა 130 ადამიანი (85 ქალი;  $M_{age}=22.61$ ;  $SD=4.52$ ;  $min=18$ ;  $max=38$ ), რომელთა უმეტესობა ფსიქოლოგიის ფაკულტეტის (57%), ხელოვნებისა და დიზაინის (13%) და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტები (9%) იყვნენ. კვლევის მონაწილეები ინფორმირებულნი იყვნენ კვლევის მიზნების შესახებ. თითოეულ მათგანს ჰქონდა უფლება ნებისმიერ დროს ეთქვა უარი კვლევაში მონაწილეობაზე. კვლევა გრძელდებოდა საშუალოდ 30 წუთის განმავლობაში.

კვლევის ინსტრუმენტები

შემოქმედებითი პოტენციალი გავზომეთ ალტერნატიული გამოყენებისა და პასუხების ამოცანების (Jauk, Benedek, & Neubauer, 2014) ქართული ვერსიით (მარწყვიშვილი, სორდია, & ნობაუერი, 2017). შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების გასაზომად გამოვიყენეთ შემოქმედებითი აქტივობებისა და შემოქმედებითი მიღწევების კითხვარი (Diedrich et al., 2017).

ბნელი ტრიადა. ბნელი ტრიადის შესაფასებლად გამოვიყენეთ ბნელი ტრიადის საკვლევი ინსტრუმენტი (D3-Short; Paulhus, 2013). ინსტრუმენტი მოიცავს 27

დებულებას, რომელთაგან თითოეული ფასდება 5 ბალიან ლიკერტის ტიპის სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო 5 - „სრულიად ვეთანხმები“. ბნელ ტრიადაში შემავალი თითოეული ნიშანი ფასდება ცხრა დებულებაზე დაყრდნობით. ნარცისიზმის შესაფასებელი დებულების ნიმუში ასე გამოიყურება „ადამიანები ნამდვილ ლიდერად მთვლიან“ ( $\alpha=.74$ ), მაკიაველიზმი - “რადაც არ უნდა დაგიჯდეს, მნიშვნელოვანი ადამიანები შენ მხარეს უნდა გადმოიბირო” ( $\alpha=.59$ ), ფსიქოპათია - „ყველაფერს ვიტყვი იმის მისაღებად, რაც მინდა“ ( $\alpha=.77$ ).

### 3.3.2. შედეგები

კორელაციური ანალიზის შედეგებიდან ჩანს (იხ. ცხრილი N9.), რომ სხვადასხვა სფეროში არსებული კრეატიული აქტივობები დადებითად უკავშირდება ერთმანეთს. კრეატიული პოტენციალის შესაფასებლად გამოყენებული ერთ-ერთი ინდიკატორი - იდეათა სიუხვე დადებითად უკავშირდება როგორც შემოქმედებითი აქტივობების, ისე მიღწევების ერთიან ქულას. ასევე, როგორც მოსალოდნელი იყო, ნარცისიზმი, მაკიაველიზმი და ფსიქოპათია დადებითად უკავშირდება ერთმანეთს. ნარცისიზმი დადებითად კორელირებს კრეატიული აქტივობებისა და მიღწევების ერთიან ქულებთან. შემოქმედებითი აქტივობების ერთიანი ქულა დადებითად უკავშირდება ფსიქოპათიასაც მაშინ, როცა მაკიაველიზმი არ ავლენს მნიშვნელოვან დადებით კავშირს შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების ერთიან ქულებთან ისევე, როგორც ცალკეულ სფეროებში არსებულ აქტივობებსა და მიღწევებთან. მნიშვნელოვანი, თუმცა სუსტი პოზიტიური კავშირი ვლინდება მაკიაველიზმსა და სპორტში არსებულ კრეატიულ მიღწევებს შორის.

არსებულ კორელაციურ კავშირებზე დაყრდნობით შევიძუშავეთ ორმაგი მედიაციის მოდელი, სადაც იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირის მედიატორებად განვიხილეთ, ერთი მრივ, კრეატიული აქტივობები და მეორე მხრივ, ნარცისიზმი. ორმაგი მედიაციის გასაზომად გამოვიყენეთ ჰეისის მე-6 მოდელი (Conditional Process Modeling by Hayes, 2018). შედეგებიდან ჩანს, რომ იდეათა სიუხვესა


და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირი ნაწილობრივ გაშუალებულია კრეატიული აქტივობებითა და ნარცისიზმით. მოდელი, რომელშიც სამივე პრედიქტორი არის ჩართული სტატისტიკურად მნიშვნელოვანია  $F(3.126) = 35.00$  და კრეატიული მიღწევის ქულათა ვარიაციის 46 %ს ხსნის ( $R^2 = .46$ ). იდეათა სიუხვის გავლენა კრეატიულ მიღწევებზე უმჯობესდება, კრეატიულ აქტივობებთან თანაარსებობისას  $b = .05$ , BCa CI [.00, .11]. ასევე მნიშვნელოვანია იდეათა სიუხვის გავლენა კრეატიულ მიღწევებზე, როცა ის კრეატიულ აქტივობებსა და ნარცისიზმთან თანაარსებობს  $b = .01$ , BCa CI [.00, .02] (იხ. სურათი N4).

ცხრილი 9. აღწერითი სტატისტიკა და ცვლადებს შორის კორელაცია

		2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	
ბნელი ტრიადა																							
ნარცისიზმი(1)	2.85 (0.61)	.42	.38	-.12	.23	.21	.13	.14	.26	.13	.13	.16	-.07	.30	.26	.18	.20	.20	.10	.16	.18	.08	
მაკიაველიზმი (2)	2.71 (0.54)		.49	-.19	.01	.01	.02	-.05	.05	.10	-.01	-.06	-.01	.09	.02	-.01	.05	.12	.18	.08	.02	.05	
ფსიქოპათია (3)	2.17 (0.68)			-.13	.20	.15	.15	.11	.06	.31	.20	.02	.02	.11	-.05	.04	.20	-.05	.18	.14	.02	-.01	
კრეატიულობის ინდიკატორები																							
კრეატიული პოტენციალი (სიუხვე) (4)	15.9(7.20)				.20	.28	.09	-.03	.10	.15	.15	.16	.23	.28	.17	.06	-.02	.10	.23	.23	.26	.20	
კრეატიული აქტივობა(5)	1.73 (0.47)					.64	.54	.77	.70	.52	.78	.53	.28	.63	.35	.27	.50	.38	.28	.47	.34	.18	
ლიტერატურა (6)	1.77 (0.65)						.35	.31	.39	.40	.34	.23	.29	.35	.44	.10	.12	.21	.29	.20	.11	.15	
მუსიკა (7)	1.45 (0.71)							.19	.08	.42	.37	.40	.12	.36	.12	.61	.13	-.07	.27	.24	.30	.02	
გამოყენებითი ხელოვნება (8)	2.54 (1.13)								.57	.17	.63	.38	-.06	.45	.20	.09	.61	.34	.10	.33	.20	.04	
კულინარია (9)	2.25 (1.12)									.19	.38	.23	.06	.34	.20	.06	.39	.62	-.09	.19	.16	.08	
სპორტი (10)	1.25 (0.48)										.35	.19	.26	.30	.12	.15	.07	-.01	.61	.19	.13	.07	
ვიზუალური ხელოვნება (11)	1.93 (0.85)											.38	.17	.59	.29	.16	.52	.26	.24	.66	.26	.16	
სამემსრულებლო ხელოვნება (12)	1.33 (0.46)												-.04	.51	.29	.26	.23	.14	.29	.21	.65	.04	
მეცნიერება და ინჟინერია (13)	1.30 (0.50)													.20	.11	.01	.01	-.02	.09	.21	.05	.51	
კრეატიული მიღწევა(14)	5.52 (5.02)														.61	.41	.60	.48	.46	.75	.64	.46	
ლიტერატურა (15)	7.44 (9.50)															.16	.27	.25	.26	.36	.23	.17	
მუსიკა (16)	3.13 (6.46)																.20	.05	.10	.23	.23	.01	
გამოყენებითი ხელოვნება (17)	8.35 (10.74)																		.36	.07	.43	.16	.11
კულინარია (18)	5.17 (5.60)																			-.02	.33	.21	.23
სპორტი (19)	4.02 (8.37)																				.32	.21	.10
ვიზუალური ხელოვნება (20)	7.10 (9.66)																					.31	.34
სამემსრულებლო ხელოვნება (21)	5.91 (12.59)																						.21
მეცნიერება და ინჟინერია (22)	3.00 (7.56)																						

შენიშვნა. თუ კოეფიციენტი, აღმატება  $r = .17$  მაშინ  $p < .05$ , თუ  $r = .22$  მაშინ  $p < .01$ , თუ  $r = .28$ , მაშინ  $p < .001$  (based on the minimum pairwise available data of  $N > 130$ ).

სურათი N4. იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირი ორმაგი მედიაციის პირობებში



არსებულ კორელაციურ კავშირებზე დაყრდნობით, ასევე, ავაგეთ მოდერაციული მედიაციის მოდელი (მოდელი 7), სადაც ფსიქოპათია იდეათა სიუხვესა და კრეატიულ აქტივობებს შორის კავშირის მოდერატორია, ხოლო კრეატიული აქტივობები კი - იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირის მედიატორი. არსებული მოდელის სტატისტიკური მნიშვნელოვნება, მოცემულ კვლევაში არ დადასტურდა.

### 3.3.3. შედეგების განხილვა

კვლევის პირველი ნაწილი მიზნად ისახავდა შემოქმედებით პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირზე სოციალურად ავერსიული, მანიპულატორული პიროვნული ნიშნების გავლენის შესწავლას. ბნელი ტრიადის პიროვნულ ნიშნებს შორის ურთიერთმიმართება პოზიტიური და უკვე არსებული კვლევის შედეგების შესაბამისია (მაგ. იხ. O'Boyle et al., 2014; Paulhus & Williams, 2002). მაკიაველიზმი არ არის დაკავშირებული კრეატიული აქტივობებისა და მიღწევების ერთიან ქულასთან, თუმცა

უარყოფითად უკავშირდება შემოქმედებით პოტენციალს. დადებითი კავშირი ვლინდება მაკიაველიზმსა და სპორტში არსებულ კრეატიულ მიღწევებს შორის ( $r = .18$ ). ზუსტად ასევე უკავშირდება ფსიქოპათია სპორტში არსებულ მიღწევებს ( $r = .18$ ), რაც ამ ორი ნიშნის იგივეობისა და ფსიქოპათიის უპირატესობის შესახებ არსებულ ინფორმაციასთან მოდის შესაბამისობაში (მაგ. O'Boyle et al., 2014).

ფსიქოპათია დადებითად უკავშირდება კრეატიული აქტივობების ერთიან ქულას, თუმცა არ უკავშირდება კრეატიულ მიღწევებს. ფსიქოპათია, როგორც წესების დარღვევასთან, სიმამაცესთან, რისკიანობასთან დაკავშირებული ნიშანი, ბუნებრივია, რომ ეხმარება შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანს დაძლიოს შესაძლო წაგებასთან დაკავშირებული საფრთხე (მაგ. Runco, 2019) და პოტენციალი ქცევაში გამოხატოს. ფსიქოპათიასა და შემოქმედებითობას სწორედ ეს დაუმორჩილებლობა და სიმამაცე ამსგავსებს ერთმანეთს (Feist, 1998, Feist, 1999), თუმცა შემოქმედების პროდუქტის საზოგადოებამდე მიტანა და მიღწევად გარდაქმნა, ჩანს, რომ დამატებით ისეთი მახასიათებლების ქონას საჭიროების, როგორც მაგალითად, ნარცისიზმით გამორჩეული ადამიანების ენთუზიაზმია.

ნარცისიზმი შემოქმედებით აქტივობებსა და მიღწევებს შორის კავშირის მედიატორია და როგორც არსებული კვლევებიდანაც ჩანს, ნარცისისტული ტენდენციის მქონე ადამიანების ქარიზმა და ენთუზიაზმი შეიძლება განაპირობებდეს იმას, რომ გარშემომყოფები მათ იდეებსა და მათ მიერ შექმნილ პროდუქტს კრეატიულად თვლიან (Goncalo et al., 2010). ის, რომ კრეატიული აქტივობები ნარცისიზმის წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა, შესაძლოა აიხსნას ერთი მხრივ, ამ ადამიანების დაუცხრომელი სურვილით აღიარება და დაფასება მოიპოვონ, რაც შესაძლოა, კრეატიულ აქტივობებში ხშირად ჩართვისკენ უბიძგებდეს მათ, მეორე მხრივ კი ამ აქტივობებში ჩართულობა და მიღებული უკუკავშირი, შეიძლება ნარცისისტული ტენდენციების განვითარებას უწყობდეს ხელს (Jauk & Sordia, 2018).

ნარცისიზმი დადებითად უკავშირდება ლიტერატურის სფეროში არსებულ კრეატიულ აქტივობებსა და მიღწევებს. ლიტერატურის სფეროში არსებული მიღწევები

შეგვიძლია არამხოლოდ ცნობილ მწერლებთან, არამედ ისეთი ცნობილი სიურეალისტი მხატვრის ფრაზაშიც შევნიშნოთ, როგორც სალვადორ დალია. დალი თავის ერთადერთ წიგნში წერს "ამ წიგნში, მე მინდა წარმოგიდგინოთ ერთი და მხოლოდ ერთი ადამიანი - ჩემი თავი. ჩემი თავის წარდგენის ამ პროცესში კი მე ვეყრდნობი არა სადიზმს ან მაზოხიზმს, არამედ ნარცისიზმს" (Dali, 1942, გვ. 226). ნარცისიზმი დადებითად უკავშირდება კულინარიაში არსებულ აქტივობებსაც, რაც, შესაძლოა, ნარცისიზმით გამორჩეული ადამიანებისთვის დამახასიათებელი, აღიარებისა და დაფასების მოტივით იყოს განპირობებული (Benedek, Brukdorfer, & Jauk, 2019).

### 3.4. ნაწილი მესამე<sup>3</sup>

#### 3.4.1. კვლევის მიზანი

კვლევის მეორე ნაწილის შედეგებიდან ვნახეთ, რომ ნარცისიზმი, როგორც სოციალური მანიპულაციის უნართან დაკავშირებული ნიშანი, ეხმარება ადამიანს შემოქმედებითი პოტენციალის მიღწევებად ქცევაში. მანიპულირებასთან დაკავშირებული პიროვნული ნიშნებისგან განსხვავებით, კვლევის მესამე ეტაპზე აქცენტი ისეთ პიროვნულ მახასიათებლებზე გადავიტანეთ, რომელთა დახმარებითაც ადამიანები გარშემომყოფების ემოციების და პოზიციის გაგებას და გათვალისწინებას, ამ ადამიანების ქცევაზე გავლენის მოხდენას ახერხებენ. შესაძლოა, ნარცისიზმით გამორჩეულ ადამიანებს ქარიზმა და ენთუზიაზმი ეხმარება გარშემომყოფებზე ზემოქმედებაში (Goncalo et al., 2010) თუმცა, გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ნარცისიზმი სოციალურად ავერსიულ პიროვნულ ნიშნებს შორის ემოციურ ინტელექტთან დადებითი კორელაციით გამორჩეული ნიშანია (Petrides, Vernon, Schermer, & Veselka, 2011). შესაბამისად, ვვარაუდობდით, რომ ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნული ნიშანი და მისი სოციალურობასთან დაკავშირებული ფაქტორი გავლენას მოახდენდა შემოქმედებით პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირზე. იმისთვის, რომ ორიგინალურმა და აზრიანმა იდეამ/პროდუქტმა წარმატებას მიაღწიოს, სფეროს ექსპერტებმა უნდა აღიარონ მისი ღირებულობა. სავარაუდოა, რომ ადამიანების ემოციებისა და დამოკიდებულებების ამოცნობისა და მათზე გავლენის მოხდენის უნარი ხელს უწყობს შემოქმედებით ადამიანს, მის მიერ შექმნილი პროდუქტის ისე წარდგენაში, რომ პროდუქტის ღირებულობა სხვებმაც აღიარონ. ასევე, ვვარაუდობთ, რომ ახალი და უჩვეულო ემოციების განცდის უნარი და მათი შემდგომი კვლევისთვის მზაობა - ემოციური კრეატიულობა - შემოქმედებით პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირზე დადებით გავლენას ახდენს.

<sup>3</sup> კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია საერთაშორისო ჟურნალში (Sordia, Martskvishvili, & Neubauer, 2019)

### 3.4.2. კვლევის მეთოდი და დიზაინი

#### კვლევის მონაწილეები და პროცედურა

კვლევის მოცემულ ნაწილში 342 ადამიანი მონაწილეობდა (253 ქალი;  $M_{age}=21.84$ ;  $SD=5.84$ ;  $min=18$ ;  $max=45$ ). მათი უმეტესობა (80%) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ, დანარჩენ 20%-ს კი ინჟინრები, ფინანსისტები, დიასახლისები ქმნიდნენ. მონაწილეებს ჰქონდათ ინფორმაცია კვლევის მიზნების შესახებ და ინფორმირებულად თანხმდებოდნენ კვლევაში მონაწილეობას. კვლევის პროცესი დაახლოების 40 წუთი გრძელდებოდა.

#### კვლევის ინსტრუმენტები

შემოქმედებითი პოტენციალის (მარწყვიშვილი, სორდია, & ნოიბაური, 2017), შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების უკვე განხილულ კითხვარებთან ერთად (Diedrich et al., 2017) კვლევის მესამე ნაწილში გამოვიყენეთ ემოციური ინტელექტისა და ემოციური კრეატიულობის საკვლევი კითხვარები.

*ემოციური ინტელექტის საკვლევი კითხვარი.* განსხვავებით იმ შემთხვევისგან, როცა ემოციური ინტელექტი განიხილება, როგორც უნარი, ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნული ნიშანი ფასდება თვითანგარიშის ტიპის კითხვარით. ხსენებული კითხვარის ქართული ვერსია (Martskvishvili, Arutinov, & Mestvirishvili, 2012) ემოციური ინტელექტის, როგორც ნიშნის კითხვარის (TEIQue; Petrides, 2009) სახელით არის ცნობილი და 153 დებულებას აერთიანებს. დებულებები 7 ბალიან, ლიკერტის ტიპის სკალაზე ფასდება, სადაც 1 აღნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო 7 – „სრულიად ვეთანხმები“. კითხვარი საშუალებას გვაძლევს გავზომოთ როგორც ემოციური ინტელექტის ერთიანი ქულა, ისე 15 ასპექტი და ამ ასპექტებისგან შემდგარი 4 ფაქტორი. კარგად ყოფნის/დისპოზიციური ოპტიმიზმის ფაქტორს ზომავს ისეთი დებულებები, როგორიცაა მაგ. *“მჯერა რომ პიროვნული ძალით აღსავსე ვარ”*, თვითკონტროლი – *“როცა ვბრაზდები, შემძლია ჩემი თავი სწრაფადვე დავაწყნარო”*, ემოციურობა –

“კარგად შემოდგოა იმის გაგება თუ რას გრძნობენ სხვები”, სოციალურობა “ზოგჯერ ისეთ რამეს ვაკეთებ, რის გამოც ჩემ გვერდით მყოფ ადამიანებს რცხვენიათ”.

ემოციური შემოქმედებითობის საკვლევი კითხვარი. ემოციური შემოქმედებითობის შესაფასებლად არსებული ინსტრუმენტის (ECI; Averill, 1999) ქართული ვერსია (Martskvishvili et al., 2017) ემოციური კრეატიულობის კითხვარის სახელით არის ცნობილი. ემოციური კრეატიულობის ოთხი ასპექტის შესახებ ინფორმაციას 30 დებულებაზე დაყრდნობით ვიღებთ (მაგ. “ისეთი ემოციები გამომიცდია, რაც შეიძლება სხვებს არასდროს განუცდიათ”). მონაწილეები 5 ბალიან, ლიკერტის ტიპის სკალაზე აფასებენ დებულებებს, ამ დებულებებისადმი თანხმობის ხარისხის შესაბამისად, სადაც 1 აღნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო 5 – „სრულიად ვეთანხმები“.

### 3.4.3. შედეგები

კორელაციური ანალიზის შედეგებიდან ჩანს, რომ კრეატიული პოტენციალი, აქტივობები და მიღწევები დადებითად უკავშირდება ერთმანეთს. ასევე, ემოციური კრეატიულობა და მისი ასპექტები დადებითად კორელირებს კრეატიული აქტივობებისა და მიღწევების ერთიან ქულებთან. ემოციური ინტელექტის ერთიანი ქულა და მისი ორი ფაქტორი - ემოციურობა და სოციალურობა - დადებითად უკავშირდება კრეატიულ აქტივობებს მაშინ, როცა კრეატიული მიღწევა მხოლოდ სოციალურობასთან არის დადებით კავშირში. კვლევის ფარგლებში გამოყენებული ინსტრუმენტების აღწერითი სტატისტიკა და ცვლადებს შორის კორელაციური კავშირები იხილეთ ცხრილში N10.


ცხრილი N10. აღწერითი სტატისტიკა და ცვლადებს შორის ურთიერთმიმართება

	<i>M(Sd)</i>	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	
<b>ემოციური ინტელექტი(1)</b>	4.77(0.57)	.84	.67	.78	.71	.23	.07	.38	.12	.25	.10	.17	.09	.05	.15	.17	.15	.09	.11	.07	.11	-.04	.03	.12	.16	.08	-.02	.12	
კარგად ყოფნა (2)	5.06 (0.88)		.45	.56	.50	.19	.07	.29	.13	.18	.08	.10	.01	-.00	.11	.13	.07	.06	.08	.03	.09	.01	.03	.10	.16	.01	-.06	.13	
თვითკონტროლი (3)	4.34 (0.76)			.30	.25	-.16	-.21	-.4	-.19	.03	.05	.03	.01	.04	-.02	.04	.03	.04	-.05	.07	-.06	-.19	.02	-.02	.04	-.01	-.05	-.06	
ემოციურობა(4)	4.90 (0.68)				.50	.32	.09	.51	.23	.33	.06	.14	.12	.01	.15	.14	.13	.07	.09	-.02	.11	.01	.01	.10	.09	.08	.01	.15	
სოციალურობა(5)	4.93(0.72)					.33	.26	.36	.22	.16	.11	.26	.14	.16	.19	.17	.22	.14	.21	.19	.24	.06	.07	.17	.19	.19	.08	.18	
<b>ემოციური კვატიულობა(6)</b>	3.42(0.51)						.86	.62	.84	.73	.09	.35	.27	.12	.34	.28	.11	.23	.20	.10	.25	.21	.14	.18	.24	.02	.16	.16	
სიახლე(7)	3.28(0.70)							.35	.61	.45	.03	.34	.35	.13	.32	.27	.12	.26	.21	.12	.23	.19	.10	.18	.23	-.01	.19	.14	
ეფექტურობა(8)	3.44(0.74)								.38	.42	.09	.28	.16	.14	.25	.28	.11	.12	.21	.04	.18	.13	.09	.13	.19	.06	.11	.13	
აუთენტურობა(9)	3.93(0.72)									.58	.11	.22	.20	.06	.25	.14	.03	.21	.14	.03	.17	.18	.15	.16	.16	-.01	.10	.11	
მზაობა(10)	3.63(0.62)										.08	.22	.24	.03	.24	.17	.08	.10	.08	.13	.16	.16	.09	.12	.11	.05	.04	.09	
<b>კრეატიულობის ინდიკატორები</b>																													
იდეათა სიუხვე (11)	19.17(7.28)											.21	.24	.17	.04	.08	.16	.24	.12	.16	.27	.12	.12	.09	.18	.13	.27	.15	
კრეატიული აქტივობა(12)	0.86(0.48)												.60	.58	.79	.74	.43	.78	.62	.48	.61	.32	.35	.45	.43	.20	.44	.33	
ლიტერატურა (13)	1.02(0.64)													.29	.36	.25	.20	.40	.32	.29	.45	.51	.22	.16	.27	.08	.29	.22	
მუსიკა (14)	0.57(0.76)														.32	.21	.20	.41	.32	.28	.33	.08	.57	.22	.14	.08	.16	.18	
გამოყენებითი ხელოვნება (15)	1.70(1.04)															.60	.18	.57	.42	.21	.43	.23	.20	.48	.32	.06	.33	.21	
კულინარია (16)	1.51(1.18)																.16	.44	.34	.16	.37	.18	.13	.35	.52	.06	.27	.13	
სპორტი (17)	0.25(0.52)																	.27	.30	.28	.32	.04	.06	.09	.07	.63	.15	.20	
ვიზუალური ხელოვნება (18)	0.98(0.80)																		.49	.44	.48	.23	.26	.34	.27	.07	.50	.23	
საშემსრულებლო ხელოვნება (19)	0.43(0.48)																			.24	.51	.27	.24	.40	.24	.13	.27	.53	
მეცნიერება და ინჟინერია (20)	0.35(0.46)																				.38	.15	.17	.12	.14	.16	.23	.21	
კრეატიული მიღწევა(21)	5.41(4.48)																					.61	.41	.61	.50	.40	.68	.68	
ლიტერატურა (22)	8.46(9.70)																						.16	.24	.22	.05	.31	.36	
მუსიკა (23)	4.30(7.09)																							.15	.11	.05	.12	.22	
გამოყენებითი ხელოვნება (24)	6.78(8.08)																								.37	.09	.41	.33	
კულინარია (25)	5.15(5.13)																									.10	.40	.20	
სპორტი (26)	3.38(8.60)																										.13	.16	
ვიზუალური ხელოვნება (27)	6.16(9.14)																											.30	
საშემსრულებლო ხელოვნება (28)	5.36(8.73)																												
მეცნიერება და ინჟინერია (29)	3.34(7.550)																												

შენიშვნა. თუ კოეფიციენტი, აღმატება  $r = .11$  მაშინ  $p < .05$ , თუ  $r = .14$  მაშინ  $p < .01$  (based on the minimum pairwise available data of  $N > 340$ ).

უკვე არსებული მონაცემებიდან (მაგ. Jauk et al., 2013) და მიმდინარე კვლევის შედეგიდანაც ჩანს, რომ შემოქმედებითი აქტივობები კრეატიულ პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირში ნაწილობრივი მედიატორის როლს ასრულებს და კრეატიული პოტენციალის მექანე ადამიანებს ხელს უწყობს ამ შესაძლებლობების მიღწევებად გარდაქმნაში (იხ. სურათი N5).


სურათი N5. იდეათა სიუხვისი არაპირდაპირი კავშირი კრეატიულ მიღწევებთან



ემოციური ინტელექტის ისევე, როგორც ემოციური კრეატიულობის ერთიანი მაჩვენებლები შევაფასეთ, როგორც იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირის მოდერატორები. მოდერაციული ანალიზისთვის გამოვიყენეთ ჰეისის მოდერაციული ანალიზის მოდელი 1 (Conditional Process Modeling by Hayes, 2018). ემოციური კრეატიულობის ერთი-ერთი ასპექტი - სიახლე ხსენებული კავშირის მოდერატორია [ $F(3, 331)=9.04$   $p<.001$   $R^2=.13$ ]. სიახლის გასაზომ სკალაზე დაბალი ქულის არსებობის შემთხვევაში იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირი არ ვლინდება [ $b =.28$ ,  $t(331) = 1.49$ ,  $p = .14$ ], საშუალო [ $b =.68$ ,  $t(331) = 3.36$ ,  $p \leq .001$ ] და მაღალი [ $b =1.07$ ,  $t(331) = 3.23$ ,  $p \leq .001$ ] ქულების არსებობის შემთხვევაში კი იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირი მნიშვნელოვანი ხდება (იხ სურათი 6). მოდერაციული ანალიზის ფარგლებში შესრულებული რეგრესიის შედეგები მოცემულია ცხრილში N11.

პიროვნება, სოციუმი და შემოქმედებითობა

სურათი N6. იდეათა სიუხვის კავშირი კრეატიულ მიღწევასთან, სიახლის საშუალო ქულიდან 1 *SD*-ით დაბალი მაჩვენებლის, საშუალო ქულისა და 1 *SD*-ით მაღალი ქულის პირობებში



ცხრილი N11. რეგრესიული ანალიზის შედეგები

	B	SE B	T
Constant	5.37	0.23	23.68**
სიახლე	1.41	0.32	4.44**
იდეათა სიუხვე	0.09	0.02	3.48**
სიახლე x იდეათა სიუხვე	0.06	0.03	1.98*


შენიშვნა. სიახლე = ემოციური კრეატიულობის ასპექტი; იდეათა სიუხვე = კრეატიული პოტენციალის ინდიკატორი;  $\Delta R^2 = .02$ . \*\*\* $p < .001$ , \*\* $p < .01$ , \* $p < .05$ ;

ემოციური ინტელექტის ერთ-ერთი ფაქტორი სოციალურობა იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირის მოდერატორია [ $F(3, 314)=7,52$   $p < .001$   $R^2=.14$ ]. იდეათა სიუხვის კრეატიულ მიღწევებზე გავლენა შევაფასეთ სოციალურობის ქულათა სამ დონეზე. სოციალურობის სკალაზე დაბალი ქულების

პიროვნება, სოციუმი და შემოქმედებითობა

არსებობისას იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირი არ არის მნიშვნელოვანი [ $b = .10$ ,  $t(314) = .51$ ,  $p = .61$ ]. საშუალო [ $b = .58$ ,  $t(314) = 3.16$ ,  $p < .001$ ] და მაღალი ქულების არსებობის პირობებში ეს კავშირი მნიშვნელოვანი ხდება [ $b = 1.06$ ,  $t(314) = 3.36$ ,  $p < .001$ ]. სურათი N7 და ცხრილი N12 ასახავს მოდერაციული ანალიზის შესახებ ინფორმაციას.

სურათი N7. იდეათა სიუხვის კავშირი კრეატიულ მიღწევასთან, სოციალურობის საშუალო ქულიდან 1 *SD*-ით დაბალი მაჩვენებლის, საშუალო ქულისა და 1 *SD*-ით მაღალი ქულის პირობებში



ცხრილი N12. რეგრესიული ანალიზი

	B	SE B	T
Constant	5.31	0.23	23.40***
სოციალურობა	1.32	0.36	3.68***
იდეათა სიუხვე	0.07	0.02	3.26***
სოციალურობა x იდეათა	0.09	0.03	2.56**

შენიშვნა. სოციალურობა = ემოციური ინტელექტის ფაქტორი; იდეათა სიუხვე = კრეატიული პოტენციალის ინდიკატორი;  $\Delta R^2 = .04$ ; \*\*\* $p < .001$ , \*\* $p < .01$ , \* $p < .05$ .

*პიროვნება, სოციუმი და შემოქმედებითობა*

#### **3.4.4. შედეგების განხილვა**

კვლევის მოცემული ნაწილი მიზნად ისახავდა იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის მიმართებაზე ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული მახასიათებლების გავლენის სპეციფიკის დადგენას. როგორც მოსალოდნელი იყო, კრეატიული პოტენციალი და მიღწევები ურთიერთდაკავშირებული კონსტრუქტებია (Jauk et al., 2013; Kim, 2008; Runco, Millar, Acar, & Cramond, 2010; Torrance, 1969; Torrance, 2003; Wallach & Wing, 1969), თუმცა არც ერთი არ უკავშირდება ემოციური ინტელექტის ერთიან ქულას. კრეატიულობა ემოციურ ინტელექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში უკავშირდება, როცა ემოციური ინტელექტის ერთ-ერთ ფაქტორს - სოციალურობას ვზომავთ. ფაქტორს, რომელიც სხვა ადამიანების ემოციების წვდომის (Petrides & Furnham, 2000) და მათზე გავლენის მოხდენის უნარებს მოიცავს.

კვლევების თანახმად, ემოციური კრეატიულობა თვითანგარიშის მეთოდით შეფასებულ კრეატიულობას უკავშირდება (Averill & Thomas-Knowles, 1991; Ivcevic et al., 2007), თუმცა არა - კრეატიულ პოტენციალს (Martskvishvili et al., 2017). მიმდინარე კვლევის შედეგები შესაბამისობაშია ამ მონაცემებთან და ჩანს, რომ ემოციური კრეატიულობა, კრეატიული აქტივობა და კრეატიული მიღწევა ურთიერთდაკავშირებული კონსტრუქტებია.

ჯაუკისა და მისი კოლეგების თანახმად (2013) კრეატიული აქტივობები კრეატიულ პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირის მედიატორია. მსგავსია ჩვენი კვლევის შედეგიც - კრეატიული აქტივობების ერთიანი ქულა იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირს აშუალებს, რაც გულისხმობს, რომ შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანებმა, ამ სფეროში წარმატების მისაღწევად და აღიარების მოსაპოვებლად თავიანთი პოტენციალი ყოველდღიურ შემოქმედებით აქტივობებში უნდა გამოხატონ.

გარდა იმისა, რომ წარმატების მისაღწევად, ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა ვავლენდეთ შემოქმედებითობას, ჩვენი კვლევიდან ჩანს, რომ არსებობს დამატებითი პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც გვეხმარება ამ პოტენციალის მიღწევაზე გარდაქმნაში. როგორც ნავარაუდევია იყო, იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირის მოდერატორი არის, ერთი მხრივ, სიახლე და მეორე

*პიროვნება, სოციუმი და შემოქმედებითობა*  
 მხრივ, სოციალურობა. რამდენადაც შემოქმედებით სფეროში აღიარების მოპოვება დამოკიდებულია, პირველ რიგში, პოტენციალის ყოველდღიურ აქტივობებად ქცევაზე (Jauk et al., 2013). ისეთ აქტივობებად, რომლებიც აზრიანობასთან ერთად სიახლის ელემენტითაც გამოირჩევა, არ არის გასაკვირი, რომ სიახლე, როგორც ემოციური შემოქმედებითობის ერთ-ერთი ასპექტი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოტენციალის რეალიზების პროცესში. სიახლე განიხილება, როგორც აღსაწერად რთული ემოციების განცდის ტენდენცია (Averill, 1999). შემოქმედებითი პოტენციალი იდეათა სიუხვის ინდიკატორზე დაყრდნობით გავზომეთ, რაც ბევრი, განსხვავებული იდეის პროდუცირების უნარს გულისხმობს. ამდენად, რაოდენობასთან ერთად, შინაარსის, ორიგინალურობის მნიშვნელობას სწორედ ემოციური კრეატიულობის სიახლესთან დაკავშირებული ასპექტის გავლენა უსვამს ხაზს, რაც აუცილებელი და მნიშვნელოვანი კომპონენტია შემოქმედებითი პოტენციალის მიღწევადად გარდაქმნისთვის.

რაოდენობასა და ხარისხს შორის ბალანსის დაცვა მნიშვნელოვანია, თუმცა მხოლოდ ეს არ არის საკმარისი და შემოქმედებითი პროდუქტის გარშემომყოფებისთვის სტრატეგიულად მომგებიანი კუთხით მიწოდებაა საჭირო, რათა მათაც დაინახონ და აღიარონ, რომ პროდუქტი კრეატიულია. ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის ერთ-ერთი ფაქტორი - სოციალურობა გარშემომყოფებთან ასერტული ინტერაქციის, მათ ემოციებზე გავლენის მოხდენის უნარს გულისხმობს (Petrides & Furnham, 2000) და იდეათა სიუხვესა და შემოქმედებით მიღწევებს შორის კავშირს აძლიერებს.

ამდენად, შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისა და მიღწევადად გარდაქმნისთვის მნიშვნელოვანია როგორც შემოქმედებითობის ყოველდღიურად გამოვლენა/გავარჯიშება, ასევე, გარშემომყოფების პოზიციის, ემოციების წვდომის უნარი და ორიგინალური პროდუქტის ისე მიწოდება, რომ ამ პროდუქტის კრეატიულობის აღიარება მოხდეს.

*პიროვნება, სოციუმი და შემოქმედებითობა*

### **3.5. ნაწილი მეოთხე**

#### **3.5.1. კვლევის მიზანი**

სადისერტაციოს ნაშრომის როგორც პირველი, ასევე მეორე და მესამე ნაწილის შედეგების თანახმად, შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების და მიღწევებად ქცევის პროცესში მნიშვნელოვანია სოციუმზე გავლენის მოხდენის უნარი, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, სოციუმის წარმომადგენელთა ემოციებისა და დამოკიდებულებების გაგების, ისეთი პროდუქტის შექმნისა და საზოგადოებისთვის ისე მიწოდების უნარი, რომ ამ საზოგადოებამ პროდუქტის კრეატიულობა აღიაროს.

კვლევის მეოთხე ნაწილში არა მხოლოდ იმ მახასიათებლებზე გავამახვილეთ ყურადღება, რაც შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას უწყობს ხელს, არამედ ისეთ, სოციალურ ინტერაქციაში ფორმირებულ მახასიათებლებზეც, რომლებიც კრეატიული პოტენციალის რეალიზების გზაზე დაბრკოლებებს ქმნიან. შემოქმედებით პოტენციალსა და შემოქმედებით მიღწევებს შორის კავშირის მედიატორად განვიხილეთ შემოქმედებითობასთან დაკავშირებული ისეთი ფაქტორები, როგორცაა შემოქმედებითი სელფი; შემოქმედებითი თვითეფექტურობა და შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა. ხოლო აღნიშნული კავშირის მოდერატორებად განვიხილეთ ერთი მხრივ, მიზანსწრაფულობა, რომელიც შემოქმედებითი პოტენციალის მიღწევებად ქცევის ხელშემწყობია და მეორე მხრივ, ნეგატიური შეფასების შიში და უარყოფისადმი მგრძნობელობა, როგორც კავშირზე უარყოფითი გავლენის მქონე ცვლადები. პერფექციონიზმი, თუ მის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ ფაქტორზე გავამახვილეთ ყურადღებას, პოტენციალის რეალიზების ხელშემწყობი შეიძლება იყოს მაშინ, როცა თვითკრიტიკული პერფექციონიზმი ისეთივე უარყოფით გავლენას მოახდენს შემოქმედებით პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირზე, როგორც ნეგატიური შეფასების შიში ან უარყოფისადმი მგრძნობელობა.

#### **3.5.2. კვლევის მეთოდი და დიზაინი**

კვლევის მონაწილეები და პროცედურა

*პიროვნება, სოციუმი და შემოქმედებითობა*

კვლევის მოცემულ ნაწილში 273 ადამიანი მონაწილეობდა (191 ქალი;  $M_{age}=19.58$ ;  $SD=3.55$ ;  $min=17$ ;  $max=58$ ). მათი უმეტესობა (60%) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ, დანარჩენ 40%-ს კი დიპლომატები, ინჟინრები, დიზაინერები, პროგრამისტები, საერთაშორისო ურთიერთობების წარმომადგენელი სტუდენტები ქმნიდნენ. მონაწილეებს ჰქონდათ ინფორმაცია კვლევის მიზნების შესახებ და ინფორმირებულად თანხმდებოდნენ კვლევაში მონაწილეობას. კვლევის პროცესი საშუალოდ 70 წუთი გრძელდებოდა.

*კვლევის ინსტრუმენტები*

*შემოქმედებითობის შესაფასებელი ინსტრუმენტები.* სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე ნაწილშიც გამოვიყენეთ იგივე, შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების კითხვარი (Diedrich et al., 2017), შემოქმედებითი პოტენციალის შესაფასებელი ინსტრუმენტი (მარწყვიშვილი, სორდია, & ნოიბაუერი, 2017). იდეათა სიუხვის ქულასთან ერთად, კრეატიული პოტენციალი დამატებით, იდეათა ორიგინალურობის ქულით შევასაეთ (Jauk, Benedek, & Neubauer, 2014). იდეათა ორიგინალურობის ექსპერტულ შეფასებაში ჩართული იყო ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ოთხი სტუდენტი. შემფასებლებს ჰქონდათ სტანდარტიზებული ინსტრუქცია, რომლის შესაბამისადაც სამბალიან სკალაზე (1 აღნიშნავს - არაკრეატიული, 3 - ძალიან კრეატიული) ხდებოდა იდეის შემოქმედებითობის შეფასება. შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი ალტერნატიული გამოყენების ამოცანებში ასეთი იყო: აგური - .83; დანა - .81; თმის საშრობი - .69; ფეხსაცმელი - .79. შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი ორიგინალური პასუხებისთვის კი ასე გამოიყურება; “რა იწვევს ხმაურს?” - .94; “რისი გამოყენება შეიძლება გადაადგილებისთვის?” - .78; „რა შეიძლება იყოს მოქნილი/დრეკადი?“ - .68; “რა მოხდებოდა ადამიანებს ძილი რომ არ სჭირდებოდათ?” - .78.

*შემოქმედებითი სელფის საკვლევი კითხვარი.* შემოქმედებითი სელფის კონცეფციის შესაფასებლად შემუშავებული შემოქმედებითი სელფის მოკლე კითხვარი (Karwowski, 2011) თერთმეტი დებულებისგან შედგება. კითხვარი შემოქმედებითი თვითეფექტურობისა და შემოქმედებითი პიროვნული იდენტობის ქულას გვაძლევს. შემოქმედებით თვითეფექტურობას ექვსი დებულება ზომავს,

*პიროვნება, სოციუმი და შემოქმედებითობა*  
რომელთა ნაწილი ასე გამოიყურება: „ვიცი, რომ შემიძლია ეფექტურად გადავჭრა რთული პრობლემებიც კი“, „მჯერა საკუთარი შემოქმედებითი უნარების“, „ჩემი წარმოსახვა განმასხვავებს ჩემი მეგობრებისგან“.

შემოქმედებითი პიროვნული იდენტობის შესაფასებლად შემუშავებული ხუთი დებულებიდან ნაწილი ასეთია: „ვფიქრობ, რომ შემოქმედებითი პიროვნება ვარ“, „ჩემი შემოქმედებითობა ჩემთვის მნიშვნელოვანია“. მონაწილეები თითოეულ დებულებას ხუთბალიან სკალაზე აფასებენ, სადაც ერთი აღნიშნავს „ნამდვილად არ ვეთანხმები“, ხოლო 5 კი - „ნამდვილად ვეთანხმები“. ინსტრუმენტის სამუშაო ვერსიის შექმნის პროცესი და თავისებურებები დეტალურად არის აღწერილი კვლევისთვის ინსტრუმენტების მომზადების ამსახველ ქვეთავებში.

*დიდი ხუთეულის საკვლევი ათდებულებიანი კითხვარი.* პიროვნების კვლევაში დიდი ხუთეულის პიროვნული ნიშნების შესაფასებლად გამოვიყენეთ ათდებულებიანი პიროვნების კითხვარის (TIPI - 10-item measure of the Big Five; Gosling et al., 2003) ქართული ვერსია (მარწყვიშვილი, სორდია, & ნობაუერ, ბექდვაში). მოცემული კითხვარი დიდი ხუთეულის პიროვნულ ნიშნებს ორ-ორ დებულებაზე დაყრდნობით ზომავს.

*მიზანსწრაფულობის საკვლევი კითხვარი.* მიზანსწრაფულობის შესაფასებლად შემუშავებული კითხვარი (Duckworth et al., 2007), 12 დებულებას მოიცავს, რომელთაგან ექვს-ექვსი დებულება ორი ძირითადი ფაქტორის - ინტერესთა კონსისტენტობა და შეუპოვრობა - შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. ინტერესთან კონსისტენტურობის შესაფასებლად შექმნილი დებულებები რევერსულია და ასე გამოიყურება; „ჩემი ინტერესები წლიდან წლამდე იცვლება“ ან „რაც პერიოდის განმავლობაში აკვიატებული მქონდა რაც იდეა/პროექტი, მაგრამ მერე ინტერესი დაკარგე“. შეუპოვრობის შესაფასებლად შემუშავებული დებულებები ასე გამოიყურება; „მივალწიე მიზანს, წლების შრომის შემდეგ“ ან „დაწყებული საქმე ყოველთვის ბოლომდე მიმყავს“. დებულებებზე პასუხი ხუთბალიან სკალაზე ფასდება, სადაც 1 აღნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო 5 - „სრულიად ვეთანხმები“. მიზანსწრაფულობის საკვლევი გამოვიყენეთ მიზანსწრაფულობის საკვლევი თორმეტდებულებიანი კითხვარის (Duckworth et al., 2007) ქართული ვერსია (Sordia & Martskvishvili, 2020), რომლის ქართულ ენაზე თარგმნა ამ

*პიროვნება, სოციუმი და შემოქმედებითობა*  
სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში მოხდა და დეტალურად არის აღწერილი კვლევისთვის მოსამზადებელი პერიოდის ფარგლებში.

*პერფექციონიზმის საკვლევი კითხვარი.* პერფექციონიზმის კითხვარი (Hill et al., 2004) 59 დებულების საფუძველზე 9 სუბსკალას ზომავს. საბოლოო ჯამში, კითხვარი, პერფექციონიზმის ერთიან ქულასთან ერთად, მისი ორი ფაქტორის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. კეთილსინდისიერი პერფექციონიზმის ფაქტორი (იგივე პერფექციონისტული მისწრაფებები) მოიცავს შემდეგ სკალებს; სრულყოფილებისკენ სწრაფვა, ორგანიზებულობა, დაგეგმვის სიყვარული, გარშემომყოფებისთვის წაყენებული მაღალი სტანდარტები. თვითკრიტიკული პერფექციონიზმი კი შეცდომებზე დარდის, აღიარების მოთხოვნილებას, რუმინაციისა და მშობლების მხრიდან აღქმული წნეხის სკალებს აერთიანებს. თითოეული დებულება ფასდება ხუთ ბალიან, ლიკერტის ტიპის სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, ხოლო 5 – „სრულიად ვეთანხმები“.

*უარყოფისადმი მგრძობელობის საკვლევი კითხვარი.* უარყოფისადმი მგრძობელობის შესაფასებელი კითხვარის საწყისი ვერსია სტუდენტებისთვის შეიქმნა. კითხვარი მოიცავს ინტერპერსონალურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ 18 სიტუაციას, სადაც გარკვეული თხოვნის საპასუხოდ, სხვა ადამიანის მხრიდან უარყოფას შეიძლება ჰქონდეს ადგილი და მონაწილეს უწევს მოცემულ სიტუაციასთან დაკავშირებული კითხვებისთვის პასუხის გაცემა. შედეგად კი, როგორც უარყოფისადმი მგრძობელობის ერთიან ქულას, ასევე უარყოფის მოლოდინის ამსახველ ქულას ვიღებთ (Downey & Feldman, 1996). უარყოფისადმი მგრძობელობის კითხვარის ბავშვთა ვერსია (CRSQ; Downey, Lebolt, Rincon, & Freitas, 1998) აერთიანებს ცალკეულ სიტუაციებთან დაკავშირებულ კითხვებს, რომლებიც უარყოფისადმი მგრძობელობის ერთიან ქულასთან ერთად, ბრაზის („რამდენად გაბრაზდებოდი...“) და შფოთვის („რამდენად ინერვიულებდი...“) სახით განცდილი უარყოფისადმი მგრძობელობის შეფასების საშუალებას გვაძლევს. ჩვენს კვლევაში გამოვიყენეთ უარყოფისადმი მგრძობელობის კითხვარის მოდიფიცირებული ვერსია, რომელიც ბავშვთა ვერსიის სტრუქტურას იმეორებს.

ზრდასრულებისთვის არსებული და მოდიფიცირებული უარყოფისადმი მგრძობელობის კითხვარის (Berenson, Gyurak, Ayduk, Downey, Garner, Mogg, Bradley,

*პიროვნება, სოციუმი და შემოქმედებითობა*  
& Pine, 2009) შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია ( = .89) და ჩანს, რომ ჯანმრთელი ადამიანების ჯგუფთან შედარებით, მოსაზღვრე პიროვნული აშლილობის მქონე ადამიანები უარყოფისადმი მგრძობელობის თვალსაზრისით უფრო მაღალ ქულებს აგროვებენ (Berenson, Downey, Rafaeli, Coifman & Paquin, 2011).

*ნეგატიური შეფასების შიშის საკვლევი კითხვარი.* ნეგატიური შეფასების შიშის გასაზომად შექმნილი კითხვარი 30 დებულებას მოიცავს. დებულებათა შეფასებისას, მონაწილეები ორი ალტერნატივიდან ირჩევენ პასუხს („სწორია“, „მცდარი“) იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება დებულებაში ასახული შინაარსი მათ პიროვნულ მახასიათებელს (Watson & Friend, 1969). მოგვიანებით, ამავე მახასიათებლის შესაფასებლად შექმნილი კითხვარის მოკლე ვერსიაში 12 დებულებაა მოცემული. მონაწილეებს თითოეული დებულების შეფასება ხუთ ბალიან სკალაზე უწევთ, სადაც 1 აღნიშნავს „საერთოდ არ მახასიათებს“, ხოლო 5 – „ზუსტად მახასიათებს“ (BFNE; Leary, 1983). ნეგატიური შეფასების შიშის საკვლევი კითხვარის მოკლე ვერსია კორელაციაშია ( $r=.96$ ) ორიგინალთან (Leary, 1983), თუმცა ამ ორი ინსტრუმენტის ფსიქომეტრული მახასიათებლების შესაფასებლად ჩატარებული კვლევის (Rodebaugh, Woods, Thissen, Heimberg, Chambless, & Rapee, 2004) საფუძველზე, კითხვარის მოკლე ვერსიის გამოყენება უფრო მიზანშეწონილად ითვლება. მიმდინარე კვლევაშიც სწორედ ეს, მოკლე ვერსია გამოვიყენეთ. დებულებები ნეგატიური შეფასების შიშის კითხვარის მოკლე ვერსიისთვის ასე გამოიყურება: *„ვდარდობ, თუ რა შეიძლება იფოქრონ ადამიანებმა ჩემზე მაშინაც კი, თუ ვიცი, რომ მათი შეფასება არაფერს ცვლის“*, *„სხვების შეფასება არ მაინტერესებს“* (რევერსული დებულება), *„ჩვეულებრივ, ვდარდობ იმაზე, თუ როგორი შთაბეჭდილება დავტოვე გარშემომყოფებზე“*.

### 3.5.3. შედეგები

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ კრეატიული აქტივობა და მიღწევა პოზიტიურად უკავშირდება ერთმანეთს ისევე, როგორც იდეათა ორიგინალურობასა და სიუხვეს. კრეატიული აქტივობა და მიღწევა დადებითად უკავშირდება

*პიროვნება, სოციუმი და შემოქმედებითობა*

შემოქმედებით იდენტობასა და თვითეფექტურობას. იდეათა ორიგინალურობისგან განსხვავებით, იდეათა სიუხვე პოზიტიურად უკავშირდება კრეატიულ იდენტობას, თუმცა არა კრეატიულ თვითეფექტურობას. მიზანსწრაფულობის ერთიანი ქულა ისევე, როგორც ძალისხმევასთან დაკავშირებული მისი ერთ-ერთი ფაქტორი დადებით კორელაციაშია შემოქმედებით თვითეფექტურობასთან. ძალისხმევის ასპექტისგან განსხვავებით მიზანსწრაფულობის ერთიანი ქულა არ უკავშირდება შემოქმედებით იდენტობას. მიზანსწრაფულობა და მისი არცერთი ასპექტი არ უკავშირდება შემოქმედებით პოტენციალსა და შემოქმედებით მიღწევებს. შემოქმედებითი აქტივობების ერთიანი ქულას დადებითად უკავშირდება მიზანსწრაფულობის ძალისხმევასთან დაკავშირებული ასპექტი, ხოლო ინტერესთან თანმიმდევრულობასთან დაკავშირებული ასპექტი კი - უარყოფითად.

კრეატიულობასთან კავშირს არც პერფექციონიზმის ერთიანი ქულა და მისი ფაქტორები ავლენენ. კვლევის მეოთხე ნაწილში შეფასებულ ცვლადებს შორის კორელაცია მოცემულია ცხრილში N13.

## პიროვნება, სოციუმი და შემოქმედებითობა


## ცხრილი N13. აღწერითი სტატისტიკა და ცვლადებს შორის ურთიერთმიმართება

	<i>M(Sd)</i>	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
<b>დიდი ხუთეული</b>																						
ექსტრავერსია (1)	8.73(3.37)	.07	.01	<b>.14</b>	<b>.12</b>	<b>.24</b>	<b>.28</b>	<b>.13</b>	-.07	.07	<b>-.18</b>	<b>-.14</b>	<b>-.26</b>	<b>-.19</b>	.06	<b>-.15</b>	.05	.06	.01	-.02	<b>.14</b>	<b>.26</b>
ემოციური სტაბილობა (2)	8.60(3.33)		<b>.20</b>	<b>.20</b>	.04	<b>.35</b>	<b>.26</b>	<b>.30</b>	<b>-.12</b>	.06	<b>-.25</b>	<b>-.33</b>	<b>-.18</b>	-.09	<b>-.23</b>	<b>-.15</b>	-.06	-.09	-.01	.01	.01	<b>.18</b>
კეთილგანწყობა (3)	10.87(2.50)			<b>.19</b>	<b>.17</b>	<b>.12</b>	<b>.13</b>	.06	.04	.08	-.01	.01	-.02	<b>-.17</b>	.02	.10	-.01	-.09	-.04	.00	.05	.04
კეთილსინდისიერება(4)	11.17(2.72)				.04	<b>.39</b>	<b>.41</b>	<b>.24</b>	<b>.34</b>	<b>.53</b>	.05	-.02	.01	<b>-.15</b>	.09	<b>.18</b>	-.10	-.07	-.04	-.12	.02	<b>.24</b>
გამოცდილებისადმი ღიაობა (5)	10.16(2.61)					.10	<b>.19</b>	-.02	.05	.06	.02	<b>-.20</b>	-.06	-.12	-.03	.06	.02	.08	<b>.29</b>	<b>.25</b>	<b>.36</b>	<b>.35</b>
<b>მიზანსწრაფულობა (6)</b>																						
ძალისხმევა(7)	3.32(0.67)						<b>.79</b>	<b>.84</b>	<b>.21</b>	<b>.43</b>	-.08	<b>-.20</b>	<b>-.16</b>	<b>-.22</b>	.06	.03	-.04	-.02	-.00	.03	.04	<b>.27</b>
ინტერესთა თანმიმდევრულობა(8)	3.56(0.78)							<b>.33</b>	<b>.30</b>	<b>.49</b>	.02	<b>-.16</b>	<b>-.12</b>	<b>-.23</b>	.07	.07	-.08	.03	<b>.14</b>	.07	<b>.17</b>	<b>.42</b>
პერფექციონიზმი(9)	3.09(0.86)								.06	<b>.23</b>	<b>-.13</b>	<b>-.17</b>	<b>-.13</b>	-.13	.04	-.02	.01	-.06	<b>-.14</b>	-.02	-.10	.05
<b>პერფექციონიზმი(9)</b>																						
კეთილსინდისიერი პ(10)	27.27(3.62)									<b>.84</b>	<b>.84</b>	<b>.42</b>	<b>.31</b>	.09	<b>.27</b>	<b>.33</b>	-.08	.01	.07	.01	.10	<b>.13</b>
თვითშეფასებითი პ (11)	14.32(2.15)										<b>.42</b>	<b>.16</b>	<b>.13</b>	-.03	<b>.15</b>	<b>.19</b>	<b>.14</b>	-.03	.05	.02	.06	<b>.25</b>
ნეგატიური შეფასების შიში (12)	12.93(2.15)											<b>.54</b>	<b>.38</b>	<b>.16</b>	<b>.28</b>	<b>.35</b>	.00	.06	.07	.01	.11	-.03
უარყოფისადმი მგრძობელობა(13)	34.47(8.60)												<b>.36</b>	<b>.16</b>	<b>.23</b>	<b>.33</b>	.06	.10	.01	-.06	.07	-.13
უარყოფის მოლოდინი(14)	851.64(325.63)													<b>.67</b>	<b>.18</b>	<b>.67</b>	-.03	.06	-.11	-.04	-.00	<b>-.20</b>
ბრაზიანი უმ (15)	24.93(7.33)														<b>-.17</b>	-.05	-.00	.05	-.03	-.05	-.05	<b>-.17</b>
შფოთიანი უმ (16)	30.73(9.40)															<b>.42</b>	.05	.06	-.03	.02	.07	.02
შფოთიანი უმ (16)	34.30(9.36)																-.07	.05	-.09	-.01	.03	<b>-.12</b>
<b>შემოქმედებითობის ინდიკატორები</b>																						
იდენტა ორიგინალურობა (17)	49.51(7.85)																	<b>.15</b>	<b>.14</b>	<b>.15</b>	.05	-.03
იდენტა სიუხვე(18)	26.76(12.21)																		<b>.24</b>	<b>.25</b>	<b>.21</b>	.11
კრეატიული აქტივობა (19)	0.77(0.47)																			<b>.61</b>	<b>.28</b>	<b>.24</b>
კრეატიული მიღწევა(20)	5.55(4.94)																				<b>.22</b>	<b>.18</b>
კრეატიული იდენტობა (21)	3.45(0.94)																					<b>.66</b>
კრეატიული თვითეფექტურობა (22)	3.65(0.76)																					

შენიშვნა. თუ კოეფიციენტი, აღემატება  $r \geq .12$  მაშინ  $p < .05$ , თუ  $r \geq .16$  მაშინ  $p < .01$ , (based on the minimum pairwise available data of  $N > 273$ ).

იდეათა ორიგინალურობის კავშირი შემოქმედებით მიღწევებთან

კორელაციური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით და კვლევის ჰიპოთეზების შესაბამისად ავაგეთ მედიაციური და მოდერაციული მოდელები (Conditional Process Modeling by Hayes, 2018). იდეათა ორიგინალურობასა და შემოქმედებით მიღწევებს შორის მედიატორად შემოქმედებითი აქტივობების განხილვამ აჩვენა, რომ კავშირის მედიატორი შემოქმედებითი აქტივობაა. მედიაციური ანალიზის (Model = 4) შედეგებიდან ჩანს, რომ იდეათა ორიგინალურობა შემოქმედებით მიღწევებზე არაპირდაპირ მოქმედებს და ეს ზემოქმედება შემოქმედებითი აქტივობებით სრულად არის გაშუალებული  $F(1,271) = 5.99; p < .05; R^2 = .02; b = .09; BCa CI [.01, .16]$  (სურათი N8). სურათი N8. იდეათა ორიგინალურობის არაპირდაპირი კავშირი კრეატიულ მიღწევებთან



კორელაციური ანალიზის შედეგები საშუალებას გვაძლევდა შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა განგვეხილა როგორც იდეათა ორიგინალურობასა და შემოქმედებით მიღწევებს შორის კავშირის მოდერატორი [ $F(3, 268) = 7.94; p < .001; R^2 = .08$ ]. იდეათა ორიგინალურობის კრეატიულ მიღწევებზე გავლენა შევაფასეთ შემოქმედებითი იდენტობის ქულათა სამ დონეზე. შემოქმედებითი პიროვნული იდენტობის სკალაზე დაბალი ქულების არსებობისას იდეათა ორიგინალურობასა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირი არ არის მნიშვნელოვანი [ $b = .01, t(268) = .12, p = .91$ ]. საშუალო [ $b = .08,$

პიროვნება, სოციუმი და შემოქმედებითობა


$t(268) = 2.25, p < .05$ ] და მაღალი ქულების არსებობის პირობებში ეს კავშირი მნიშვნელოვანი ხდება [ $b = .16, t(268) = 3.04, p < .01$ ]. სურათი N9 და ცხრილი N14 ასახავს მოდერაციული ანალიზის შესახებ ინფორმაციას.

ცხრილი N14. რეგრესიული ანალიზის შედეგები

	B	SE B	T
Constant	11.15 [4.93, 5.82]	7.25	1.54
შემოქმედებითი იდენტობა	-2.82 [-6.81, 1.16]	2.03	-1.39
იდეათა ორიგინალურობა	-.20 [-.49, .09]	.15	-1.34
შემოქმედებითი იდენტობა x იდეათა ორიგინალურობა	.08 [0.00, 0.16]	.04	1.98*

შენიშვნა. \*\* $p < .01$ , \* $p < .05$ ;


სურათი N9. იდეათა ორიგინალურობის კავშირი კრეატიულ მიღწევასთან, შემოქმედებითი იდენტობის საშუალო ქულიდან 1 *SD*-ით დაბალი მაჩვენებლის, საშუალო ქულისა და 1 *SD*-ით მაღალი ქულის პირობებში; CPId = შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა; FKAL\_L = შემოქმედებითი მიღწევა; Original = იდეათა ორიგინალურობა



იდეათა ორიგინალურობასა და კრეატიულ აქტივობებს შორის კავშირის მოდერატორად უარყოფის მოლოდინის განხილვისას, მოდელის სტატისტიკური მნიშვნელოვნება დადასტურდა [ $F(3, 268)=3.03$   $p<.05$   $R^2=.03$ ]. ორიგინალურობის კრეატიულ აქტივობებზე გავლენა შევაფასეთ უარყოფის მოლოდინის ქულათა სამ დონეზე. ორიგინალურობასა და კრეატიულ აქტივობებს შორის კავშირი მნიშვნელოვანია უარყოფის მოლოდინის სკალაზე დაბალი [ $b =.02$ ,  $t(268) = 2.98$ ,  $p = .00$ ] და საშუალო [ $b =.01$ ,  $t(268) = 2.28$ ,  $p<.05$ ] ქულების არსებობისას. მაღალი ქულების არსებობის პირობებში კი ეს კავშირი აღარ არის მნიშვნელოვანი [ $b =.00$ ,  $t(268) = .24$ ,  $p =.82$ ]. სურათი N10 და ცხრილი N15 ასახავს მოდერაციული ანალიზის შესახებ ინფორმაციას.

სურათი N10. იდეათა ორიგინალურობის კავშირი კრეატიულ აქტივობებთან უარყოფის მოლოდინის საშუალო ქულიდან  $1 SD$ -ით დაბალი მაჩვენებლის, საშუალო ქულისა და  $1 SD$ -ით მაღალი ქულის პირობებში; FKAL\_A = შემოქმედებითი აქტივობა; RE = უარყოფის მოლოდინი; Original = იდეათა ორიგინალურობა

პიროვნება, სოციალური და შემოქმედებითობა



ცხრილი N15. რეგრესიული ანალიზი


	B	SE B	T
Constant	-0.75 [-1.99, .48]	.63	-1.20
იდეათა ორიგინალურობა	0.03 [.01, .06]	.01	1.30*
უარყოფის მოლოდინი	0.05 [-0.00, 0.09]	.03	1.86
უარყოფის მოლოდინი x იდეათა ორიგინალურობა	-0.001 [-0.00, 0.00]	0.001	-1.95*

შენიშვნა.  $\Delta R^2 = .02$ ; \* $p < .05$ .

იდეათა სიუხვის კავშირი შემოქმედებით მიღწევებთან


შემოქმედებითი პოტენციალის შესაფასებლად, იდეათა ორიგინალურობასთან ერთად, გამოვიყენეთ იდეათა სიუხვის მაჩვენებელი. არსებულ კორელაციურ კავშირებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ ორმაგი მედიაციის მოდელი, სადაც იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირის მედიატორებად განვიხილეთ, ერთი მხრივ, კრეატიული აქტივობები და მეორე მხრივ, შემოქმედებითი იდენტობა. ორმაგი მედიაციის გასაზომად გამოვიყენეთ მე-6 მოდელი (Conditional Process Modeling by Hayes, 2018). შედეგებიდან ჩანს, რომ იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირი ნაწილობრივ გაშუალებულია კრეატიული აქტივობებითა და შემოქმედებითი იდენტობით. მოდელი, რომელშიც სამივე პრედიქტორი არის ჩართული სტატისტიკურად მნიშვნელოვანია  $[F(3.268) = 55.58, p < .001]$  და კრეატიული მიღწევის ქულათა ვარიაციის 39 %ს ხსნის ( $R^2 = .39$ ). იდეათა სიუხვის გავლენა კრეატიულ მიღწევებზე მნიშვნელოვანი ხდება კრეატიულ აქტივობებთან თანაარსებობისას  $b = .05$ , BCa CI [.02, .07]. ასევე, მნიშვნელოვანია იდეათა სიუხვის გავლენა კრეატიულ მიღწევებზე, როცა ის კრეატიულ აქტივობებსა და შემოქმედებით იდენტობასთან თანაარსებობს  $b = .01$ , BCa CI [.01, .02] (იხ. სურათი N 11).

სურათი N 11. იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირი ორმაგი მედიაციის პირობებში



იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირის მოდერატორად ნეგატიური შეფასების შიშის განხილვისას ჩანს, რომ მოდელი სტატისტიკურად სანდოა [ $F(3,268)=8.69$ ;  $p<.001$   $R^2=.09$ ]. იდეათა სიუხვის კრეატიულ მიღწევებზე გავლენა ნეგატიური შეფასების შიშის ქულათა სამ დონეზე შევაფასეთ. იდეათა სიუხვესა და კრეატიულ მიღწევებს შორის კავშირი ნეგატიური შეფასების შიშის სკალაზე დაბალი ქულის არსებობის შემთხვევაში [ $b = .04$ ,  $t(268) = 1.31$ ,  $p = .19$ ] არ არის მნიშვნელოვანი, ხოლო საშუალო [ $b = .09$ ,  $t(268) = 3.97$ ,  $p = .000$ ] და მაღალი ქულების არსებობის პირობებში კი ეს კავშირი მნიშვნელოვანი ხდება [ $b = .15$ ,  $t(268) = 4.97$ ,  $p = .000$ ]. სურათი N12 და ცხრილი N16 ასახავს მოდერაციული ანალიზის შესახებ ინფორმაციას.

სურათი N12. იდეათა სიუხვის კავშირი კრეატიულ მიღწევებთან ნეგატიური შეფასების შიშის საშუალო ქულიდან  $1 SD$ -ით დაბალი მაჩვენებლის, საშუალო ქულისა და  $1 SD$ -ით მაღალი ქულის პირობებში; FKAL\_L = შემოქმედებითი მიღწევა; FNE = ნეგატიური შეფასების შიში; Fluency = იდეათა სიუხვე



ცხრილი N16. რეგრესიული ანალიზი

	B	SE B	T
Constant	10.30 [4.72, 15.88]	2.83	3.64
იდეათა სიუხვე	-.11 [-.29, .08]	.09	-1.14
ნეგატიური შეფასების შიში	-.21 [-.37, -.06]	.08	-2.73**
ნეგატიური შეფასების შიში x იდეათა სიუხვე	-.006 [.00, .01]	.003	2.36*

შენიშვნა.  $\Delta R^2 = .02$ ; \* $p < .05$ , \*\* $p < .001$ 

### 3.5.4. შედეგების განხილვა

კვლევის მეოთხე ნაწილის შედეგებიდან ჩანს, რომ შემოქმედებითი პოტენციალი შემოქმედებით აქტივობებსა და მიღწევებს უკავშირდება მიუხედავად იმისა, იდეათა ორიგინალურობის საფუძველზე ვაფასებთ მას თუ იდეათა სიუხვის. იდეათა ორიგინალურობისგან განსხვავებით, იდეათა სიუხვე დადებითად კორელირებს შემოქმედებით პიროვნულ იდენტობასთან. საგულისხმოა, რომ შემოქმედებითი სელფი თვითანგარიშის კითხვარით ფასდება და შესაბამისად, კვლევის მონაწილის სუბიექტურ თვითაქლმებს აერთიანებს. იდეათა სიუხვეც, როგორც შემოქმედებითი პოტენციალის ინდიკატორი, იდეების შინაარსის ობიექტურ შეფასებას არ ეფუძნება და მხოლოდ პასუხების რაოდენობას ეყრდნობა. ამ პასუხების შინაარსის შედარებით ობიექტური შეფასება იდეათა ორიგინალურობის კრიტერიუმის ფარგლებში ხდება.

შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების ერთიანი ქულები დადებითად უკავშირდება შემოქმედებითი სელფის ორივე ასპექტს: შემოქმედებით თვითფექტურობასა და შემოქმედებით პიროვნულ იდენტობას. ეს კავშირი ლოგიკურია იმდენად, რამდენადაც იდენტობის თეორიაზე დაყრდნობით (Bandura, 1997), რომლის ფარგლებშიც შემუშავდა შემოქმედებითი სელფის კონსტრუქტი (Karwowski, 2011) ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოვლენილი შემოქმედებითობა და აღიარება, რომელიც ამ ქცევას მოყვება ზრდის ქცევის განხორციელების პროცესში თვითფექტურობასა და საკუთარი თავის, როგორც შემოქმედებითის აღქმას.

ორიგინალური იდეების გენერირების უნარი დადებითად უკავშირდება კეთილსინდისიერ პერფექციონიზმს, რაც ეხმიანება იმ კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც კეთილსინდისიერი პერფექციონიზმი მაღალი ხარისხის იდეების გენერირების უნარს უკავშირდება (Wigert et al., 2012). თუ კეთილსინდისიერი პერფექციონიზმის განმარტებას შევხედავთ, ვნახავთ, რომ ამ შემთხვევაში წამყვანი როლი ორგანიზებულობას, სრულყოფილებისკენ სწრაფვასა და მაღალი სტანდარტების მიღწევას ენიჭება და იდეალური პროდუქტის შექმნის სურვილს უკავშირდება. იდეალური პროდუქტი, შემოქმედებითი პოტენციალის კვლევის ინსტრუქციის თანახმად, ისეთი პასუხია, რომელიც განსხვავებულად იქნება და ეფექტიანად. კორელაციური ანალიზის შედეგებიდან ჩანს, რომ ასეთი პასუხების მოფიქრება კეთილსინდისიერი პერფექციონიზმით გამორჩეულმა მონაწილეებმა უფრო შეძლეს, ვიდრე მათ, ვისაც პერფექციონიზმის ამ სკალაზე დაბალი ქულები ჰქონდათ.

მაღისხმევა, რომელსაც ადამიანი დებს დასახული მიზნის მიღწევის პროცესში დადებითად უკავშირდება შემოქმედებით აქტივობებს მაშინ, როცა მიზანსწრაფულობის მეორე ასპექტი - ინტერესთა თანმიმდევრულობა უარყოფითად კორელირებს შემოქმედებითი აქტივობების ერთიან ქულასთან. შესაძლოა ამის მიზეზი შემოქმედებითი აქტივობების შეფასების სპეციფიკაშიც ვიპოვოთ - შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების კითხვარში (Diedrich et al., 2017) შემოქმედებითი აქტივობები რვა სხვადასხვა სფეროში არსებული აქტივობების დაჯამებით მიიღება, რაც გულისხმობს, რომ სხვადასხვა სფეროში, სხვადასხვა ინტერესების ამსახველი

აქტივობები უნდა ჰქონდეს მონაწილეს. ინტერესთა თანმიმდევრულობა კი, ერთ სფეროში არსებული ინტერესის თანმიმდევრულად მიყოლას უკავშირდება. შემოქმედებითობასა და მიზანსწრაფულობას შორის კავშირის შესახებ კვლევები მწირია, თუმცა ერთ-ერთი კვლევის (Grohman, Ivcevic, Silvia, & Kaufman, 2017) შედეგებიდან ჩანს, რომ მიზანსწრაფულობა არ არის დაკავშირებული შემოქმედებით ქცევასა და მიღწევასთან მაშინ, როცა თვითანგარიშის კითხვარებით ხდება ამ მახასიათებლის შეფასება. ხოლო თუ მიზანსწრაფულობას მასწავლებელი აფასებს, ეს შეფასება მოსწავლის შემოქმედებითობის წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა.

შემოქმედებითი პოტენციალის მიღწევებად ქცევაზე გავლენის მქონე ფაქტორების კვლევისას ჩანს, რომ ბევრი ორიგინალური და აზრიანი იდეის მოფიქრების უნარიან ადამიანებს ამ უნარის ყოველდღიურ აქტივობებში რეალიზება ახასიათებთ, რასაც შემოქმედებით მიღწევებამდე მივყავართ. მოცემული შედეგი შესაბამისობაშია როგორც ამ სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული, ისე სხვა კვლევების შედეგებთანაც (მაგ. Jauk et al., 2013).

ჩვენი კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ იდეათა სიუხვით გამორჩეულ ადამიანებს ამ უნარის შემოქმედებით მიღწევად გარდაქმნაში საკუთარი შემოქმედებითობის აღქმა ეხმარება. შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანები, საკუთარი შემოქმედების რწმენა და პიროვნულ იდენტობაში შემოქმედებითობისთვის მინიჭებული მნიშვნელობა, შემოქმედებითი პოტენციალის ყოველდღიურ კრეატიულ აქტივობებში გამოვლენაში ეხმარება, რასაც კრეატიულ მიღწევებამდე მივყავართ.

ნავარაუდევია კავშირის საპირისპიროდ, გამოვლინდა, რომ უხვად იდეების მოფიქრების უნარი შემოქმედებით მიღწევებად გარდაიქმნება, თუ ნეგატიური შეფასების შიშის მაღალ მაჩვენებელთან თანაარსებობს. შესაძლოა, სხვა ადამიანების მხრიდან ნეგატიური შეფასების მიღების შიში შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანს უბიძგებს ბევრი იდეიდან ისეთი აარჩიოს, რომლის შინაარსიც შესაბამისობაში იქნება მოთხოვნებთან, საზოგადოების მიერ დაწესებულ კრიტერიუმებთან და შედეგად, ნეგატიური შეფასების ნაცვლად აღიარებას დაიმსახურებს. ნეგატიური შეფასების შიშით გამორჩეული ადამიანები ტენდენციურები არიან გარშემომყოფების

მხრიდან მიღებული უკუკავშირის შეფასებისას - ამ ადამიანებს ნეგატიური უკუკავშირის ამოცნობა უფრო ზუსტად შეუძლიათ, ვიდრე პოზიტიურის (Winton, Clark, & Edelman, 1995). ამასთან, ნეგატიური შეფასების შიშის სკალაზე მაღალი ქულის მქონე ადამიანები წარუმატებლობის შეფასებისას, ობიექტურობას არ კარგავენ და რეალურად აფასებენ სიტუაციას, განსხვავებით ამ სკალაზე დაბალი ქულის მქონე ადამიანებისგან (Fay, Page, Serfaty, Tai, & Winkler, 2008). ამრიგად, ნეგატიური შეფასების შიშის დაბალი მაჩვენებლის მქონეთათვის წარუმატებლობასთან გასამკლავებლად ამ წარუმატებლობის შელამაზებაა საჭირო, ხოლო ნეგატიური შეფასების შიშით გამორჩეული ადამიანები, წარმატებისა და წარუმატებლობის შეფასებისას რეალისტებად რჩებიან, რაც ეხმარება მათ მარცხის მიზეზების დანახვასა და შემდეგი მცდელობისას, ამ მიზეზების გათვალისწინებაში.

როგორც ნავარაუდევია იყო, ორიგინალური იდეების მოფიქრების უნარის მქონე ადამიანებისთვის უარყოფის მოლოდინი შემაფერხებელი ფაქტორია და ხელს უშლის მათ ამ უნარის შესაბამისი შემოქმედებითი აქტივობების განხორციელებაში. რამდენადაც უარყოფისადმი მგრძობელობა ბავშვობის გამოცდილებასთან შეჭიდული დისპოზიციაა, რომელიც საფრთხის არარსებობის პირობებშიც კი უარყოფის მოლოდინში, შესაძლო უარყოფისადმი მგრძობელობასა და ამ უარყოფის თავიდან ასაცილებლად საჭირო ქცევების განხორციელებისათვის მზაობაში ვლინდება (Downey & Feldman, 1996), ლოგიკურია, შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანების მხრიდან შემოქმედებითი ქცევების განხორციელებისგან თავშეკავება მაშინ, როცა ისინი ამ ქცევის საპასუხოდ კრიტიკასა და უარყოფას მოელიან. განსხვავებით ნეგატიური შეფასების შიშის მქონე ადამიანებისგან, რომელთა რეალისტური ხედვა, შესაძლოა, აუდიტორიის ინტერესების ამოცნობასა და გათვალისწინებას განაპირობებდეს. უარყოფისადმი მგრძობელობის კვლევიდან ჩანს, რომ ეს მახასიათებელი დაბალ თვითეფექტურობას უკავშირდება (Terada, & Kawamoto, 2017), რაც გვაფიქრებინებს, რომ უარყოფის მოლოდინი დაბალ თვითეფექტურობასთან კავშირის წყალობით წარუმატებელ ქცევას და შესაბამისად, პოტენციალის მიღწევებად გარდაქმნის სირთულეს უკავშირდება.

#### 4. შემაჯამებელი განხილვა და დასკვნები

სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში შესრულებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვისაუბროთ შემოქმედებითი პოტენციალის შემოქმედებით მიღწევებად ქცევის პროცესში ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორების შესახებ.

შემოქმედებითი პოტენციალი, ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული, დამწყები მწერლებისთვის, ორიგინალური და მნიშვნელოვანი ნამუშევრის შექმნის უნარს უკავშირდება, შემოქმედებითი მიღწევა კი ისეთი ნამუშევრის შექმნას გულისხმობს, რომელსაც ადამიანები მიიღებენ, მოიწონებენ და რომელიც ამ ადამიანებზე გავლენის მოხდენას, მათ დაფიქრებას, შეცვლას შეძლებს.

დამწყები მწერლების გამოცდილებიდან ჩანს, რომ შემოქმედებითი პოტენციალის მიღწევებად გარდასაქმნელად ძალისხმევისა და საკუთარ თავზე მუშაობის გარდა, ისეთი თემის შერჩევაა საჭირო, რომელიც აქტუალურია მოცემულ დროსა და გარემოში. აუდიტორიის თავისებურების გათვალისწინება და ამ აუდიტორიის ემოციებით მანიპულირების უნარი კი წარმატებული ნამუშევრის შექმნაში ეხმარება ხელოვანს.

ამის საპირისპიროდ, შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანს, ამ პოტენციალის რეალიზებასა და მიღწევებად გარდაქმნაში სიზარმაცესა და პერფექციონიზმთან ერთად, საკუთარი თავისთვის მაღალი სტანდარტების დაწესება, თვითკრიტიკულობა, დაბალი თვითეფექტურობა და ნეგატიური შეფასების მიმართ მგრძობელობა უშლის ხელს.

საერთო ჯამში, რაოდენობრივი კვლევის შედეგები ეხმიანება თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყოფილ თემებს და ჩანს, რომ შემოქმედებითი პოტენციალის (იდეათა სიუხვე, იდეათა ორიგინალურობა) შემოქმედებით მიღწევებად ქცევის შანსები იზრდება, როცა შემოქმედი თანდაყოლილ უნარს ყოველდღიურ აქტივობებში ავლენს. გარდა იმისა, რომ წარმატების მისაღწევად, ყოველდღიურ აქტივობებში უნდა ვავლენდეთ შემოქმედებითობას, საჭიროა დამატებითი ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც გვეხმარება ან ხელს გვიშლის ამ პოტენციალის რეალიზებაში.

შემოქმედებითი პოტენციალისგან განსხვავებით, რაც პიროვნების მახასიათებელია, შემოქმედებითი მიღწევები გარშემომყოფების შეფასების საფუძველზე იქმნება, შესაბამისად, ვვარაუდობდით, რომ გარშემომყოფების შეხედულებების გათვალისწინება, ამ შეხედულებებით მანიპულირება დაეხმარება შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანს ამ პოტენციალის მიღწევებად გარდაქმნაში. სწორედ ამიტომ, ვიკვლიეთ მანიპულატორული უნარებით გამორჩეულ, სოციალურად ავერსიულ პიროვნულ მახასიათებელთა ტრიადის გავლენა შემოქმედებით პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირზე. აღმოჩნდა, რომ მაკიაველიზმი და ფსიქოპათია არ არის დაკავშირებული კრეატიული მიღწევების ერთიან ქულასთან. მაკიაველიზმი უარყოფითად კორელირებს შემოქმედებით პოტენციალთან, ფსიქოპათია კი დადებითად არის დაკავშირებული შემოქმედებითი აქტივობების ერთიან ქულასთან. ფსიქოპათიისა და შემოქმედებითობის ისეთი საერთო მახასიათებლები, როგორც დაუმორჩილებლობა და სიმამაცეა (Feist, 1998, Feist, 1999) არ არის საკმარისი შემოქმედებითი პოტენციალის მიღწევებად გარდასაქმნელად. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ნარცისიზმი აშუალებს შემოქმედებით პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირს და ზრდის იმის შანსს, რომ შემოქმედი პოტენციალის რეალიზებას შეძლებს. ნარცისიზმის ასეთი როლის ახსნაში ის მოსაზრება გვეხმარება, რომლის თანახმადაც, ნარცისისტული ტენდენციის მქონე ადამიანები ქარიზმატულობისა და ენთუზიაზმის წყალობით ახერხებენ ადამიანებზე გავლენის მოხდენას და სწორედ ამ მახასიათებელთა გამო აფასებენ გარშემომყოფები ნარცისების ნამუშევარს, როგორც კრეატიულს (Goncalo et al., 2010).

გარშემომყოფებზე გავლენის მოხდენის უნარით ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანები გამოირჩევიან. სწორედ ამიტომ, შემოქმედებით პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირზე ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული მახასიათებლების გავლენა ვიკვლიეთ. კვლევამ აჩვენა, რომ შემოქმედებითი პოტენციალის მიღწევებად გარდაქმნა იმ ადამიანებს უფრო გამოსდით, ვისაც გარშემომყოფთა ემოციების გაგება და ამ ემოციებით მანიპულირება შეუძლია. სოციალურობა (ემოციური ინტელექტის ერთ-ერთი ფაქტორი; Petrides & Furnham, 2000) კრეატიულ პოტენციალსა და მიღწევებს

შორის კავშირის მოდერატორია ისევე, როგორც ემოციური შემოქმედებითობის ერთ-ერთ ასპექტი - სიახლე. ეს, აღსაწერად რთული ემოციების განცდის ტენდენცია (Averill, 1999), გარშემომყოფებთან ასერტული ინტერაქციის, მათ ემოციებზე გავლენის მოხდენის უნართან ერთად (Petrides & Furnham, 2000), იდეათა სიუხვესა და შემოქმედებით მიღწევებს შორის კავშირს აძლიერებს.

იდეის სიახლე, ორიგინალურობა შემოქმედებითი პოტენციალის შეფასებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია (იხ. Guilford, 1967; Torrance, 1962) სწორედ ამიტომ, კვლევის მეოთხე ნაწილში, შემოქმედებითი პოტენციალის შესაფასებლად იდეათა სიუხვესთან ერთად, იდეათა სიახლე/ორიგინალურობაც გავზომეთ. იმ ფაქტორების კვლევისას, რომლებიც შემოქმედებითი პოტენციალის შემოქმედებით მიღწევებად გარდაქმნაზე ახდენს გავლენას, ყურადღება ხელშემწყობ ფაქტორებთან ერთად ისეთ მახასიათებლებზე გავამახვილეთ, რომლებიც პოტენციალის რეალიზებას ხელს უშლის.

შედეგებიდან ჩანს, რომ ისეთი პიროვნული მახასიათებლები, როგორც პერფექციონიზმი ან მიზანსწრაფულობა დადებითად კორელირებს შემოქმედებითობის სხვადასხვა საზომებთან. კერძოდ, იდეათა ორიგინალურობაში გამოვლენილი შემოქმედებითი პოტენციალი დადებითად უკავშირდება კეთილსინდისიერ პერფექციონიზმს. კეთილსინდისიერი პერფექციონიზმი ორგანიზებულობას, სრულყოფილებისკენ სწრაფვასა და მაღალი სტანდარტების მიღწევის სურვილს მოიცავს, რაც ჩვენ კვლევაში შემოქმედებითი პოტენციალის ინსტრუქციის ზედმიწევნით ზუსტად შესრულებაში და გენერირებული იდეების სიმრავლესთან ერთად, ამ იდეების ორიგინალურობაში გამოვლინდა. ასეთივე შედეგი დასტურდება აქამდე ჩატარებულ კვლევებშიც (მაგ. Wigert et al., 2012).

მიზანსწრაფულობის ერთ-ერთი ასპექტი - ძალისხმევაა, რომელსაც ადამიანი დასახული მიზნის მიღწევის პროცესში ავლენს, დადებითად უკავშირდება შემოქმედებით აქტივობებს, ხოლო მიზანსწრაფულობის მეორე ასპექტი - ინტერესთა თანმიმდევრულობა - უარყოფითად უკავშირდება შემოქმედებით აქტივობებს. ინტერესთა თანმიმდევრულობის უარყოფითი კავშირი შემოქმედებით აქტივობებთან შესაძლოა შემოქმედებითი აქტივობების შეფასების სპეციფიკას უკავშირდებოდეს.

შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების კითხვარში (Diedrich et al., 2017) კრეატიული აქტივობების შეფასებისას, რვა ერთმანეთისგან განსხვავებულ სფეროში არსებული აქტივობების ქულა ჯამდება, რაც წინააღმდეგობაში მოდის ინტერესთა თანმიდევრულობის არსთან. მიზანსწრაფულობის ეს ასპექტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთ კონკრეტულ მიზანზე კონცენტრირებაში ვლინდება (იხ. Duckworth et al., 2017). ამასთან, მიზანსწრაფულობასა და შემოქმედებითობას შორის კავშირის მცირე კვლევათაგან ერთ-ერთი (Grohman et al., 2017) აჩვენებს, რომ თვითანგარიშის საფუძველზე შეფასებული მიზანსწრაფულობა - არა, თუმცა სხვების მიერ შეფასებული მიზანსწრაფულობა დადებითად არის დაკავშირებული შემოქმედებითობასთან.

ჩვენი კვლევის მიხედვით, შემოქმედებით პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირის სპეციფიკას პერფექციონიზმი და მიზანსწრაფულობა არ ცვლის, თუმცა ისეთი მახასიათებლის კვლევისას, როგორც შემოქმედებითი სელფია, ჩანს, რომ იდეათა სიუხვით გამორჩეულ ადამიანებს ამ უნარის შემოქმედებით აქტივობებად გარდაქმნაში, შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა ეხმარება (შემოქმედებითი სელფის ერთ-ერთი ასპექტი). შემოქმედებითობის, როგორც პიროვნების ცენტრალური მახასიათებლის განხილვა შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანს ამ პოტენციალის ყოველდღიურ აქტივობებში გამოხატვაში ეხმარება, რასაც საბოლოო ჯამში, შემოქმედებით მიღწევებამდე მივყავართ.

ნავარაუდევია კავშირის საპირისპიროდ, აღმოჩნდა, რომ უხვად იდეების მოფიქრების უნარის შემოქმედებით მიღწევებად გარდაქმნას ნეგატიური შეფასების შიში უწყობს ხელს. გარშემომყოფების გათვალისწინებისას, ამ ადამიანების ემოციებითა და მოსაზრებებით მანიპულირებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, გავიგოთ რა კრიტერიუმით აფასებენ პროდუქტის კრეატიულობას, რათა ეს ცოდნა პროდუქტის შექმნისას, დიდი რაოდენობით იდეებიდან საჭირო იდეის ამორჩევისას თუ ამ იდეის რეკლამირებისას გამოვიყენოთ. ნეგატიური შეფასების შიშის მქონე ადამიანები წარმატებასა და წარუმატებლობას ობიექტურად აფასებენ და მარცხის შესაღამაზებლად რეალობას არ ამახინჯებენ (მაგ. Fay et al., 2008). სავარაუდოა, რომ რეალობის გათვალისწინების ეს უნარი ეხმარება ნეგატიური შეფასების შიშით გამორჩეულ

*პიროვნება, სოციუმი და შემოქმედებითობა*

ადამიანს ისეთი პროდუქტის შექმნაში, სადაც გარშემომყოფების მოთხოვნები გათვალისწინებული იქნება და შესაბამისად, ამ გარშემომყოფების მხრიდან დადებით შეფასებასაც დაიმსახურებს.

აღმოჩნდა, რომ უარყოფისადმი მგრძობელობის ერთ-ერთი ასპექტი - უარყოფის მოლოდინი ხელს უშლის ორიგინალური იდეების მოფიქრების უნარიან ადამიანებს ამ უნარის შემოქმედებით აქტივობებად გარდაქმნაში. უარყოფისადმი მგრძობელობა ბავშვობის გამოცდილების საფუძველზე ფორმირებული დისპოზიციაა, რომელიც საფრთხის არარსებობის პირობებშიც კი უარყოფის მოლოდინში, მოსალოდნელი უარყოფისადმი მგრძობელობაში, ამ უარყოფის თავიდან ასაცილებლად საჭირო ქცევების განხორციელებისათვის მზაობაში ვლინდება (Downey & Feldman, 1996) და დაბალ თვითეფექტურობას უკავშირდება (Terada, & Kawamoto, 2017). შესაბამისად, სავარაუდოა, რომ უარყოფის მოლოდინი შემოქმედებითი პოტენციალის ქცევაში გამოვლენას შეაფერხებს იმდენად, რამდენადაც უარყოფითი შედეგის მოლოდინი დაბალ თვითეფექტურობასთან თანაარსებობს, დაბალი თვითეფექტურობა კი წარმატებული ქცევის განხორციელების ალბათობას ამცირებს (მაგ. Schunk, 1995).

*კვლევის ღირებულება და სიახლე*

კვლევას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისა და შემოქმედებით მიღწევებად ქცევის გზაზე ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორების შესახებ არსებული თეორიული მოსაზრებების დამუშავება და ემპირიული მონაცემებით დადასტურება. ეს მონაცემები შემოქმედებითობის შესახებ არსებული სისტემური თეორების (მაგ. Csikszentmihalyi, 1988, 1999) ფარგლებში შეიძლება განვიხილოთ, სადაც შემოქმედებითობაზე საუბრისას, ყურადღება ექცევა არა მხოლოდ პიროვნებას/ინდივიდს, არამედ სისტემის იმ კომპონენტებსაც (კულტურა/დაგროვილი ცოდნა, ველი/სფეროს ექსპერტები), რომლებთან ინტერაქციაშიც ვითარდება პოტენციალი და იქმნება შემოქმედებითი პროდუქტი. თვისებრივი კვლევის შედეგები

ინფორმაციას გვაწვდის სისტემის კულტურასთან დაკავშირებული კომპონენტის შესახებ. ამ ნაწილში ასახულია ინფორმაცია მოცემული კულტურის ფარგლებში, შემოქმედებითობის შესახებ არსებული ცოდნის შესახებ; იმ წესების შესახებ, რომელთა საფუძველზეც ხდება პროდუქტის კრეატიულად მიჩნევა. თუმცა შემოქმედებითობის კვლევა ქართული კულტურის ფარგლებში აქამდეც ხდებოდა, თვისებრივი კვლევა, სადაც შემოქმედებითობის შესახებ არსებული ქართული დისკურსები გამოიკვეთებოდა აქამდე არ ჩატარებულა. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში მიღებული შედეგები ქმნის ქართულ კულტურაში შემოქმედებითობის შესახებ არსებულ ცოდნას. რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე გამოყოფილი პიროვნული მახასიათებლები (ნარცისიზმი, სოციალურობა, სიახლე, შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა, ნეგატიური შეფასების შიში, უარყოფის მოლოდინი) კი სისტემის ინდივიდთან დაკავშირებულ კომპონენტის ფარგლებში არსებულ ცოდნას ამდიდრებს. სადისერტაციო ნაშრომის შედეგებიდან ჩანს, რომ შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისა და შემოქმედებით აქტივობებად და მიღწევებად ქცევის შანსი იზრდება თუ პოტენციალის მქონე ადამიანებს ისეთი ნიშნებიც აქვთ, რომელთა საშუალებითაც გარშემომყოფების ემოციებითა და მოსაზრებებით მანიპულირებას შეძლებენ (ნარცისიზმი, სოციალურობა, სიახლე). ასევე, იმ შემთხვევაში, თუ შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანები შემოქმედებითობას მათი პიროვნების ცენტრალურ მახასიათებლად თვლიან, ამ პოტენციალის მიღწევებად გარდაქმნას უფრო დიდი ალბათობით ახერხებენ. იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე ნეგატიური შეფასების შიშის მქონე ადამიანებთან, რაც მათი მხრიდან ნეგატიური უკუკავშირის რეალისტურად შეფასებასა და საკუთარ შეცდომებზე სწავლას შეიძლება უწყობდეს ხელს. ამასთან საინტერესოა, რომ ნეგატიური შეფასების შიშისგან განსხვავებით, ამ კონსტრუქტთან მჭიდროდ დაკავშირებული უარყოფის მოლოდინი განსხვავებულ შედეგს გვამლევს. ჩანს, რომ უარყოფის მოლოდინი თუ აქვთ შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანებს, იმის შანსი, რომ ეს ადამიანები პოტენციალის აქტივობებში რეალიზებას შეძლებენ, მცირდება. ამდენად, კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები საშუალებას გვამლევს ვისაუბროთ ინდივიდის ისეთ მახასიათებლებზე, რომლებიც

სისტემის დანარჩენ კომპონენტებთან ინტერაქციაში ფორმირდება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში, სისტემის სხვა კომპონენტების გათვალისწინებას გულისხმობს.

რაც შეეხება პრაქტიკულ ღირებულებას, თანამედროვე სამყაროს გამოწვევებთან გამკლავებისთვის საჭირო ისეთი მახასიათებლის რეალიზება, როგორც შემოქმედებითი პოტენციალია, გარესამყაროსთან პიროვნების ადაპტაციასა და მის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას უზრუნველყოფს. სწორედ ამიტომ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება და გავარჯიშება, მეორე მხრივ კი ამ პოტენციალის შემოქმედებით მიღწევებად გარდაქმნა. ინფორმაცია პოტენციალის მიღწევებად გარდაქმნის ხელშემწყობი ისეთი მახასიათებლების შესახებ, როგორც არის შემოქმედებითი პიროვნული იდენტობა, თვითეფექტურობა, გარშემომყოფების გათვალისწინებისა და მათზე ზემოქმედების უნარები, საშუალებას მისცემს მენეჯერებსა თუ საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე პროფესიონალებს (მასწავლებლებს, ლექტორებს), თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან თუ სტუდენტებთან მუშაობისას პოტენციალის გავარჯიშებასთან ერთად, გაავარჯიშონ ის მახასიათებლები, რომლებიც ამ პოტენციალის რეალიზებისთვის არის საჭირო. ასევე, სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში ადაპტირებული სამი ინსტრუმენტი ხელს შეუწყობს შესაბამის სფეროსთან დაკავშირებული კვლევების ჩატარებას.

### *კვლევის შეზღუდვები და მომავალი კვლევითი მიმართულებები*

კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვა შერჩევას უკავშირდება. მართალია, შემოქმედებითი პოტენციალი ნორმალურად განაწილებული ნიშანია და მისი შესწავლა ნებისმიერი შერჩევის (მათ შორის სტუდენტების და სწორედ მსგავსი შერჩევების კვლევა ხდება უმეტეს შემთხვევაში) ფარგლებში შეიძლება, კარგი იქნებოდა შემოქმედებითობის ისეთი კრიტერიალური ჯგუფების კვლევა, როგორებიც მაგ. მწერლები, მხატვრები, ციფრული ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები არიან, სადაც შემოქმედებითი პოტენციალიც ვლინდება და შემოქმედებითი მიღწევებიც. ასეთ

კრიტიკალურ ჯგუფებთან ჩატარებული კვლევა საშუალებას მოგვცემდა შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებაზე გავლენის მქონე ფაქტორები იმ ადამიანებთან შეგვემოწმებინა, ვისაც ეს პოტენციალი რეალიზებული აქვს და ერთმანეთისგან შემოქმედებითი მიღწევების ქულა განასხვავებთ და არა ამ პოტენციალის ქონა-არქონა. ჩვენი კვლევის ფარგლებში, მსგავსი კრიტიკალური ჯგუფი თვისებრივ კვლევაში გვყავდა, სადაც დამწყები, თუმცა შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების მქონე მწერლები მონაწილეობდნენ, რომელთა აქტივობები და მიღწევები, სხვადასხვა შემოქმედებით კონკურსებში მონაწილეობასა და გამარჯვებაში ვლინდებოდა. ჩვენი ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ თვისებრივ კვლევაში მხოლოდ ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საინტერესო იქნება არამხოლოდ ლიტერატურის სფეროში არსებული გამოცდილების მქონე ხელოვანების კვლევა, არამედ იმ ადამიანებისაც, ვინც შემოქმედებითობის სხვა სფეროს წარმომადგენენ და ამ სფეროში მოღვაწეობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ.

მოცემული სადისერტაციო ნაშრომი რამდენიმე კვლევას აერთიანებს, თუმცა, სამწუხაროდ, ამ პირობებშიც კი შეუძლებელი აღმოჩნდა სხვადასხვა კრიტიკალური ჯგუფების და სფეროში დიდი გამოცდილების მქონე ადამიანების მოცვა. მოცემული სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში კვლევის კონკრეტული კითხვებისა და კონკრეტული ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოვიყენეთ როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მიდგომა. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში თვითანგარიშის ტიპის კითხვარებთან ერთად გამოვიყენეთ შესრულების საზომებიც. ამ ორი მიდგომის კომბინაცია, შემოქმედებითი პოტენციალის შეფასებისას, კონსტრუქტის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა. თუმცა კარგი იქნებოდა კვლევის სხვა ცვლადებიც - მსგავსად და არა მხოლოდ თვითანგარიშის ტიპის კითხვარზე დაყრდნობით შეგვეფასებინა. სწორედ ამიტომ, მომავალ კვლევებში შემოქმედებითობის გაზომვისას, კარგი იქნება თუ თვითშეფასებასთან ერთად, სხვების მხრიდან მიღებულ შეფასებას დავყრდნობით (ექსპერტული შეფასება), რაც საკითხის განსხვავებული კუთხიდან შესწავლის საშუალებას მოგვცემს.

მომავალი კვლევის ფარგლებში, ასევე, საინტერესოა შემდეგი მოდელების შემოწმება: შემოქმედებით პოტენციალსა და მიღწევებს შორის ნეგატიური შეფასების შიშით გაშუალებულ მოდელში, ნეგატიური შეფასების შიშსა და შემოქმედებით მიღწევებს შორის კავშირზე გავლენის მქონე ისეთი მახასიათებლების კვლევა, როგორც თვითეფექტურობა, უკუკავშირის რეალისტურად შეფასების უნარი თუ ტენდენციურობაა. ხოლო შემოქმედებით პოტენციალსა და მიღწევებს შორის ნარცისიზმით გაშუალებულ მოდელში კი, ისეთი მახასიათებლების განხილვა ნარცისიზმისა და შემოქმედებითი მიღწევების მედიატორად, როგორც გარშემომყოფებზე მოხდენილი შთაბეჭდილებაა.

მიუხედავად განხილული შეზღუდვებისა, სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებულ კომპლექსურ კვლევას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება. შედეგები ინფორმაციას გვაწვდის შემოქმედებითი პოტენცილის რეალიზებასა და მიღწევებად ქცევის ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორების შესახებ, შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების ხელშესაწყობად, პრაქტიკული ინტერვენციების დაგეგმვის საშუალებას იძლევა და მომავალი კვლევის იდეებს აჩენს. ამასთან, სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში შექმნილი ინსტრუმენტები სხვადასხვა პიროვნული მახასიათებლების შესწავლის საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს თეორიული ცოდნის გამდიდრებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

Ahmetoglu, G., Harding, X., Akhtar, R., & Chamorro-Premuzic, T. (2015). Predictors of Creative Achievement: Assessing the Impact of Entrepreneurial Potential, Perfectionism, and Employee Engagement. *Creativity Research Journal*, 27(2), 198–205. doi:10.1080/10400419.2015.1030293

Albert, R. S., & Runco, M. A. (1989). Independence and cognitive ability in gifted and exceptionally gifted boys. *Journal of Youth and Adolescence*, 18, 221–230.

Albert, R. S., & Runco, M. A. (1999). A longitudinal study of exceptional giftedness and creativity. *Creativity Research Journal*, 12, 161–164.

Amabile, T. M. (1988). A model of creativity and innovation in organizations. In B. M. Staw & L. L. Cummings (Eds.), *Research in organizational behavior* (Vol. 10, pp. 123-167). Greenwich, CT: JAI Press.

Amabile, T. M. (1999). Consensual assessment. In M. A. Runco & S. Pritzker (Eds.), *Encyclopedia of creativity* (pp. 346–349). San Diego, CA: Academic Press.

Averill, J. R. (1999). Individual differences in emotional creativity: Structure and correlates. *Journal of Personality*, 67, 331-371. doi: 10.1111/1467-6494.00058

Averill, J. R., & Thomas-Knowles, C. (1991). Emotional creativity. In K. T. Strongman (Ed.), *International review of studies on emotion* (Vol. 1, pp. 269– 299). London: Wiley.

Ayduk, O., Gyurak, A., & Luerssen, A. (2008). Individual differences in the rejection-aggression link in the hot sauce paradigm: The case of rejection sensitivity. *Journal of Experimental Social Psychology*, 44, 775-782. doi:10.1016/j.jesp.2007.07.004

Baer, J., & Kaufman, J. C. (2008). Gender differences in creativity. *The Journal of Creative Behavior*, 42(2), 75-105. DOI: 10.1002/j.2162-6057.2008.tb01289.x

Baer, M., Evans, K., Oldham, G. R., & Boasso, A. (2015). The social network side of individual innovation: A meta-analysis and path-analytic integration. *Organizational Psychology Review*, 5(3), 191-223.

Bandura, A. (1997). *Self-efficacy: The exercise of control*. New York: Freeman.

Barron, F. & Harrington, D.M (1981). Creativity, intelligence, and personality. *Annual Review of Psychology*, 32, 439-476.

Barron, F. (1955). The disposition toward originality. *The Journal of Abnormal and Social Psychology*, 51(3), 478–485. <https://doi.org/10.1037/h0048073>

Barron, F. (1963). The needs for order and disorder as motives in creative action. In C.W. Taylor & F. Barron (Eds.), *Scientific Creativity: Its Recognition and Development* (pp. 139\_152). New York: John Wiley & Sons, Inc.

Bateson, G. (1967). *Steps to an Ecology of Mind*. New York: Ballantine

Batey M., & Furnham A. (2006) Creativity, Intelligence, and Personality; A Critical Review of the Scattered Literature. *Genetic, Social, and General Psychology Monographs* 132(4), 355-429. Copyright\_2008

Batey, M. & Furnham, A. (2008). The relationship between measures of creativity and schizotypy. *Personality and Individual Differences*, 45, 816-821.

Batey, M. (2007). *A psychometric investigation of everyday creativity*. Unpublished Doctoral Thesis. University College, London.

Baudry, A.S., Grynberg, D., Dassonneville, C., Lelorain, S., & Christophe, V. (2018). Sub-dimensions of trait emotional intelligence and health: A critical and systematic review of the literature. *Scandinavian Journal of Psychology*, 59(2), 206–222. doi:10.1111/sjop.12424

Beaussart, M. L., Andrews, C. J., & Kaufman, J. C. (2013). Creative liars: The relationship between creativity and integrity. *Thinking Skills and Creativity, 9*, 129–134. <https://doi.org/10.1016/j.tsc.2012.10.003>

Beghetto, R. A. (2006). Creative Self-Efficacy: Correlates in middle and secondary students. *Creativity Research Journal, 18*, 447–457.

Beghetto, R. A., & Karwowski, M. (2017). Toward Untangling Creative Self-Beliefs. (Ed) *The Creative Self*. <http://dx.doi.org/10.1016/B978-0-12-809790-8.00001-7>

Benedek, M., Bruckdorfer, R., & Jauk, E. (2019). Motives for Creativity: Exploring the What and Why of Everyday Creativity. *The Journal of Creative Behavior*. doi:10.1002/jocb.396

Benedek, M., Muhlmann, C., Jauk, E., & Neubauer, A. C. (2013) Assessment of divergent thinking by means of the subjective top-scoring methods: Effects of the number of top-ideas and time-on-task on reliability and validity. *Psychology of Aesthetics, Creativity, and the Arts, 7*(4), 341–349. Doi: 10.1037/a0033644

Berenson, Downey, Rafaeli, Coifman & Paquin (2011). The rejection-rage contingency in borderline personality disorder. *Journal of Abnormal Psychology, 120*, 681–690.

Berenson, K. R., Gyurak A., Ayduk, O., Downey G., Garner, M. J., Mogg, K. Bradley, B. P., & Pine, D. S. (2009). Rejection sensitivity and disruption of attention by social threat cues. *Journal of Research in Personality, 43*, 1064–1072.

Bong, M., & Skaalvik, E. M. (2003). Academic self-concept and self-efficacy: How different are they really? *Educational Psychology Review, 15*(1), 1–40. <https://doi.org/10.1023/A:1021302408382>

Boyce, P., & Parker, G. (1989). Development of a scale to measure interpersonal sensitivity. *Australian and New Zealand Journal of Psychiatry, 23*(3), 341–351. <https://doi.org/10.3109/00048678909068291>

Braun, V. & Clarke, V. (2006). Using thematic analysis in psychology. *Qualitative Research in Psychology, 3*, 77-101.

Burgess, A. M., Frost, R. O., & DiBartolo, P. M. (2016). Development and validation of the Frost Multidimensional Perfectionism Scale–Brief. *Journal of Psychoeducational Assessment, 34*, 620-633. doi:10.1177/0734282916651359

Butcher, J. L., & Niec, L. N. (2005). Disruptive behaviors and creativity in childhood: The importance of affect regulation. *Creativity Research Journal, 17*, 181–193. DOI: 10.1207/s15326934crj1702&3\_5

Cai, W., & Wu, S. (2017). Powerful People Feel Less Fear of Negative Evaluation. Mediating role of personal control belief. *Social Psychology, 48*, 85-91. <https://doi.org/10.1027/1864-9335/a000299>.

Campbell, D. T. (1960). Blind generation and selective retention in creative thought as in other thought processes. *Psychological Review, 67*, 380–400.

Carson, S. H., Peterson, J. B., & Higgins, D. M. (2005). Reliability, validity, and factor structure of the creative achievement questionnaire. *Creativity Research Journal, 17*(1), 37-50.

Catmull, E., & Wallace, A. (2014). *Creativity, Inc: Overcoming the unseen forces that stand in the way of true inspiration*. Random House, New York; Bantam, London.

Chamorro-Premuzic, T. & Furnham, A. (2005). *Personality and Intelligence Competence*. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum.

Chamorro-Premuzic, T. (2011). *Personality and Individual Differences*, London, UK:Blackwell.

